ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№128 (12807) 3 ივნისი ოთხშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი

# კაკა რეალში



ფლორენტინო პერესი (მარცხნივ) და ადრიანო გალიანი

დასრულდა ევროსეზონი და უმალ გაიხსნა სატრანსფერო ბაზარი, სადაც უკვე მოხდა რამდენიმე სერიოზული გარიგება და ბევრიც ანი მოხდება. ხომ გახსოვთ, რა ამბავი იყო ამ ზამთარს „რეალში" **კაკას** მოსალოდნელ გადასვლასთან დაკავშირებით? „მილანს" თითქმის მოგვარებული ჰქონდა ყველა დეტალი და ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** უსერიოზულეს შეთანხმებასაც დებდა თავის მაშინდელ კოლეგა **რამონ კალდერონთან**, როცა **სილვიო ბერლუსკონის** ზარი გაისმა - ტრანსფერი შეჩერდა. ბოსმა ანგარიში გაუწია „მილანის" ტიფოზების პროტესტს და თავად კაკამაც უარი თქვა „რეალში" გადასვლაზე, როცა მის სახლს ფანები მიადგნენ და „მილანში" დარჩენა სთხოვეს...

მაგრამ დღეს პროცესს ველარაფერი დააბრკოლებს და ამას უკვე თავად ბერლუსკონიც აღიარებს - კაკას ტრანსფერისთვის ხელის შეშლა ძალიან ძნელი იქნებაო. უკვე ოფიციალურად დადასტურებულია, რომ გალიანი, ფეხბურთელის მამასთან (რომელიც ამავე დროს მისი აგენტიცაა) ერთად, კერძო რეისით ჩაფრინდა მადრიდში და „რეალის" პრეზიდენტის პოსტზე ტრიუმფით დაბრუნებულ **ფლორენტინო პერესს** შეხვდა. სხვათა შორის, თავიდან პერესს ელოდნენ მილანში, მაგრამ რაკი ამ დღეს დაემთხვა სამეფო კლუბის მთავარ მწვრთნელად **მანუელ პელეგრინის** დანიშვნა, გეგმებიც ამიტომ შეიცვალა...

გუშინ გვიან ღამით კი უკვე აშკარა გახდა, რომ გარიგება წუთი-წუთზე მოხდებოდა. იტალიურმა და ესპანურმა მედიამ ლამის ერთხმად გაავრცელეს ინფორმაცია - კაკას ტრანსფერი შეთანხმებულიაო! მადრიდის რადიო „კადენა სერმა", რომელიც მაღალი რეპუტაციით სარგებლობს, გარიგების საფასურად 65 მილიონი ევრო დაასახელა, ზედაც 5-წლიანი კონტრაქტით. ტრანსფერი დაადასტურეს „მარკამ" და „ასმაც", ასევე, აპენინურმა „სქაი იტალიამ" (ბერლუსკონის ტელევიზია). იმავე „მარკას" ცნობით, ბრაზილიელი მეგავარსკვლავის პრეზენტაცია მომავალ კვირაში იგეგმება.



რა ხდებოდა მანამდე...

» გვერდი 9



## აფციაური ზესტაფონში

მენთეშაშვილი და გამეზარდაშვილიც?

» გვერდი 3



» გვერდი 2

## რას გვიქადის პლატინისეული სიახლეები?

## სიოდერლინგი აღარ ხუმრობს




## მიურეი და შარაპოვა გავარდნენ

» გვერდი 16 როლან გაროსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

მზადების მეორე დღე

# მოლდოვასთან დევდარიანი გამოირიცხა

## შაშიაშვილი ხვალ ახალი კლუბით დაბრუნდება



მოლდოვასთან 6 ივნისის ამხანაგური მატჩისთვის ნაკრებმა მზადება ორშაბათს დაიწყო. **ექტორ კუპერმა** გუშინაც ორი ვარჯიში ჩაატარა - დილით უბურთოდ, სალამოს კი ბურთით. თუ 1-ელ ივნისს მწვრთნელის განკარგულებაში 19 ფეხბურთელი იყო, გუშინ კიდევ 3 მოთამაშე დაემატა - „დიორი ეტოს" ფორვარდი **რატი ალექსიძე**, „რუბინის" მცველი **დავით კვირკველია** და „ორჰუსის" ნახევარმცველი **დავით დევდარიანი**. ამ ტრიოდან ნაკრებთან ერთად ჯერ მხოლოდ ალექსიძემ და კვირკველიამ ივარჯიშეს. რაც შეეხება დევდარიანს, ის დანიის ჩემპიონატის ბოლო თამაშში დაშავდა. მას მუხლი აქვს დაზიანებული და შაბათს მისი თამაში თითქმის გამოირიცხა. ეროვნული გუნდის ექიმები აცხადებენ, რომ დევდარიანი უფრო ალბანეთში, 10 ივნისის მატჩში ითამაშებს.

„შალკეს" ნახევარმცველ **ლევან კობიაშვილს** ალერგია აწუხებდა, მაგრამ ეს პრობლემა დაძლეულია. ორშაბათის დარად, გუშინაც ინდივიდუალურად ივარჯიშა თბილისის „დინამოს" კაპიტანმა **ლევან ხმალაძემ**. თუმცა კუპერის თანაშემწე **ნიკა სახვაძის** ინფორმაციით, ხმალაძის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ის კუპერმა შეგნებულად არ დატვირთა. სავარაუდოდ, „დინამოს" ნახევარმცველი დღეს სრული დატვირთვით ივარჯიშებს.

ნაკრები დღესაც ორ ვარჯიშს გამართავს. ამჯერად, გუნდს ორი ფეხბურთელი დაემატება - „პალერმოს" თავდამსხმელი **ლევან მჭედლიძე** და „რიგის „სკონტოს" ფორვარდი **ლადო დვალიშვილი**, რომლებიც დღესვე ნაკრებთან ერთად ივარჯიშებენ. ხვალ კი, 4 ივნისს, გუნდს **გიორგი შაშიაშვილიც** შეუერთდება. საქმე ისაა, რომ დღეს შაშიაშვილის ტრანსფერის საკითხი უნდა გადაწყდეს. ნაკრების მცველმა „შტურმის" დატოვება გადაწყვიტა და სავარაუდოდ, კარიერას ბრძნულ „ერგოტელისში" გააგრძელებს. შეკრებაზე რომ დააგვიანდებოდა, შაშიაშვილმა კუპერი ადრევე ჩააყენა საქმის კურსში და ნებართვაც მიიღო.

**დავით ცაბაძე**

ევროტურნირები 2009/10

# ჯერ ჯგუფამდე მივიდეთ...

22 ივნისს შვეიცარიის ქალაქ ნიონში 2009-10 წლების ევროპის საკლუბო ტურნირების კენჭისყრა უნდა მოეწყოს. უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** როგორც „შეგვპირდა", ევროტურნირებს ბევრი სიახლით ვხვდებით: რაც მთავარია, ამიერიდან აღარ იქნება „ინტერტოტოს თასის" გათამაშება; ამას გარდა, უეფას თასს სახელწოდებაც შეეცვალა და ფორმატიც - ევროპის ლიგა ერქმევა და, ცოტა არ იყოს, რთული სისტემითაც წარიმართება.

სიახლეებია უმთავრესი ევროტურნირის გათამაშებაშიც - ჩემპიონთა ლიგამაც გარკვეული ცვლილებები განიცადა და შევეცდებით, ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ. ამიერიდან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე სამის მაგივრად, ოთხი ეტაპი იქნება; პირველ შესარჩევ რაუნდში... მხოლოდ ოთხი გუნდი ჩაერთვება: ჩერნოგორიის, მალტის, სან-მარინოსა და ანდორის ჩემპიონები ორ წყვილს შექმნიან და აქედან ორი გამარჯვებული მეორე შესარჩევ რაუნდში გადაინაცვლებს. აი, სწორედ ეს ეტაპი არის ჩვენთვის საინტერესო, რადგან, სწორედ აქედან იწყებს ასპარეზობას საქართველოს ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია".

**რამაზ მუმლაძის** გუნდი ისე როგორც ირლანდიის, ბოსნიის, მოლდოვის, მაკედონიის, აზერბაიჯანის, ესტონეთის, ალბანეთის, ყაზახეთის, სომხეთის, უელსის, ჩრდილოეთ ირლანდიის, ფარერებისა და ლუქსემბურგის ჩემპიონები (პლუს პირველი საკვალიფიკაციო ეტაპზე გამარჯვებული ორი გუნდი) განუთესავები არიან: ანუ ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების ჩემპიონებს „ვიტ ჯორჯია" ამ ეტაპზე ვერ დაუპირისპირდება. სამაგიეროდ, უკვე ახლავე შეგვიძლია ვთქვათ „ვიტ ჯორჯიას" სავარაუდო მეტოქეების შესახებ: „კოპენჰაგენი" (დანია), „ლევსკი (ბულგარეთი), „პარტიზანი" (სერბეთი), „მაკაბი" (ისრაელი), „დინამო" (ზაგრები, ხორვატია), „ვისლა" (პოლონეთი), ბატე (ბელარუსი), „ზალცბურგი" (ავსტრია), „კალმარი", (შვედეთი), აპოელ (კვიპროსი), „სტაბეკი" (ნორვეგია), „სლოვანი" (სლოვაკეთი), „ვენტსპილსი" (ლატვია), „მარიბორი" (სლოვენია), „ჰაფნარფიორდური" (ისლანდია), „ინტერი" (ტურკუ, ფინეთი) და „ეკრანასი" (ლიტვა). ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის შეხვედრები 14 და 21 ივლისს ჩატარდება და მკითხველი, ალბათ, თვითონაც კარგად გაარკვევს, თუ რომელია ჩვენი ჩემპიონისთვის მეტ-ნაკლებად სასურველი მეტოქე. რალა თქმა უნდა, „ვიტ ჯორჯიას" ამ ეტაპის დაძლევა უნდა ვუსურვოთ და ამ შემთხვევაში უკვე მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გადაინაცვლებს. აქ კი 30 გუნდი მოიყრის თავს: მეორე ეტაპის 17 გამარჯვებული პლუს 13 გუნდი („ოლიმპიაკოსი", „სლავია", „ციურიხი", „დინამო" მოსკოვი, „დინამო" ბუქარესტი, „სპორტინგი", „ტვენტე", „სელტიკი", „სივასსპორი", „შახტარი", „ანდერლეხტი," „პანათინაიკოსი" და „სპარტა"). 15 გამარჯვებული პლეიოფში გააგრძელებს ასპარეზობას (აი, ეს კი სიახლეა), სადაც ხუთი გუნდი დაემატება („არსენალი", „ატლეტიკო", „ფიორენტინა", „ლიონი" და „შტუტგარტი"), 15 დამარცხებული კი ევროპის ლიგაზე გადაინაცვლებს. პლეი ოფში გამარჯვებული 10 გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდება, ათი დამარცხებული კი - ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე.

ახლა კი ევროპის ლიგაზეც ვისაუბროთ, მით უფრო, რომ ამ ტურნირზე ერთდროულად სამი ქართული კლუბი იასპარეზებს: თბილისის „დინამო", „ოლიმპი" და „ზესტაფონი". ევროპის ლიგაზეც სამი შესარჩევი ეტაპია, მერე - პლეი ოფი და ბოლოს ჯგუფური ტურნირი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრები 2 და 9 ივლისს ჩატარდება და სწორედ ამ ეტაპიდან ჩაერთვებიან ტურნირში „ოლიმპი" და „ზესტაფონი". სულ, პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში 50 გუნდი მიიღებს მონაწილეობას და ისიც უნდა ვთქვათ, რომ ორივე ჩვენებური გუნდი განთესილებშია. „ოლიმპისა" და „ზესტაფონის" სავარაუდო მეტოქეები შეიძლება იყვნენ: მტზ-რიპო (ბელარუსი), „ტრანსი", „კალევი" (ორივე ესტონეთი), „ინტერი", „სიმურგი" (ორივე აზერბაიჯანი), „ვლაზნია", „დინამო" (ორივე ალბანეთი), „მიკა", „ბანანცი" (ორივე სომხეთი), „ირტიში, „ოკჟეპესი" (ორივე ყაზახეთი), „ლინფილდი", „ლისბურნი" (ორივე ჩრ. ირლანდია), „ლანელი", „ნიუ საინტსი" (ორივე უელსი), „ტორსჰავნი", „რუნავიკი" (ორივე ფარერები), „კაერინგი", „გრევენმახერი" (ორივე ლუქსემბურგი), „ვალეტა", „ბირკირკირა" (ორივე მალტა), „ბუდუჩნოსტი", „სუტიესკა" (ორივე ჩერნოგორია), ანდორის თასის მფლობელი და სან-მარინოს თასის მფლობელი. პირველ ეტაპზე გამარჯვებული 25 გუნდს დაემატება 55 გუნდი და ჩაერთვებიან მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე (16-23 ივლისი). სწორედ მეორე ეტაპიდან დაიწყებს ასპარეზობას თბილისის „დინამო", თანაც - განთესილთა შორის. „ოლიმპმა" და „ზესტაფონმა" პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით რომ დაძლიონ, მეორეზე უკვე განუთესელებს შორის იქნებიან. თანაც, დიდი შანსია, რომ მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი გუნდების მეტოქეები იყვნენ: „გალათასარაი", „ბაზელი", „ბრონდბიუ", „ცრვენა ზვეზდა", „რაპიდი", „ბრედა", „გენტი", „ლეგია"...




სამაგიეროდ თბილისის „დინამოს" დიდი შანსი აქვს, რომ მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლიოს და მესამეზე გადავიდეს. ამ ეტაპზე უკვე 70 გუნდი მიიღებს მონაწილეობას: მეორის 40 გამარჯვებული პლუს 30 „სერიოზული" გუნდი: „რომა", პსვ, „ჰამბურგი", „ფენერბაჰჩე", „ბრიუგე", „ბილბაო", „ფულჰემი", „აბერდინი", „კრილია სოვეტოვი", პაოკ (თამაშები 30 ივლისსა და 6 აგვისტოს ჩატარდება). 35 გამარჯვებულს 24 განთესილი („ვალენსია", „ასტონ ვილა", „ევერტონი", „ვილიარეალი", „ლაციო", „ჯენოა", „ვერდერი", „ჰერტა" და სხვა) პლუს ჩემპიონთა ლიგის მესამე ეტაპიდან გამოვარდნილი 15 გუნდი დაემატება და მას დაერქმევა ევროპის ლიგის პლეიოფი. აი, ამის მერეა უკვე ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპი, სადაც 48 გუნდი 12 ჯგუფში გადანაწილდება. ევროპის ლიგის და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ვადებზე სხვა დროს ვისაუბროთ; მთავარია, ქართული ფეხბურთის რეალობიდან გამოვიდეთ და ვისურვოთ, რომ ჩვენმა ოთხივე გუნდმა („ვიტ ჯორჯიამ", „დინამომ", „ოლიმპმა" და „ზესტაფონმა") მაქსიმალურად მეტი ეტაპი გაიარონ.

**გია ტუხაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონი



თორნიკე აფციაური

# აფციაური ზესტაფონშია, მენთეშაშვილი და გამეზარდაშვილიც?!

## ზესტაფონს ბაზისთვის ტერიტორია მალე გადაეცემა

„ზესტაფონის“ პრეზიდენტი **ილია კოკაია** და მთავარი მწვრთნელი **გია გეგუჩაძე** ახალი სეზონიდან გუნდის მნიშვნელოვან გაძლიერებას გეგმავენ. ჩვენთვის ცნობილია, რომ უახლოეს პერიოდში კლუბი რამდენიმე მოთამაშის დამატებას აპირებს და თუ ეს ჩანაფიქრი განხორციელდა, „ზესტაფონს“ წლევანდელზე გაცილებით ძლიერი გუნდი ეყოლება და შესაბამისად, შედეგებსაც უკეთესს უნდა ელოდოს.

„ლელოსთვის“ ცნობილი გახდა, რომ კლუბი საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „ვენტსპილსის“ ნახევარმცველ **ზურაბ მენთეშაშვილის** დამატებას გეგმავს. ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს კვალობაზე მას საკმაოდ სოლიდურ პირობებს სთავაზობენ. ზურას „ვენტსპილსთან“ კონტრაქტი უმთავრდება და ლატვიელებისგან საბოლოო წინადადებას ელის. თუ კონტრაქტი მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესდა, ნახევარმცველი საქართველოში დაბრუნდება.

„ზესტაფონმა“ უკვე დაიმატა აზერბაიჯანის უმაღლესლიგელ „გაბალას“ გამთამაშებელი **თორნიკე აფციაური**, რომელმაც გვითხრა, - ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ საქართველოში, გაბალაში გაძლება მიჭირს. ხალხიც მშვენიერია და გუნდშიც კარგი პირობებია, მაგრამ არის მიზეზები, რის გამოც იქ გაჩერება მიძნელდებაო.

„ზესტაფონის“ პრესსამსახურის ინფორმაციით, აფციაურთან კონტრაქტი 1-ელ ივნისს გაფორმდა - ნახევარმცველი იმერული კლუბის ფორმით უახლოეს ორ წელიწადს ითამაშებს. „ლელომ“ შეიტყო ისიც, რომ „ზესტაფონი“ თანამშრომლობას სთავაზობს ლატვიაში მოთამაშე კიდევ ერთ ქართველს - „სკონტოს“ კაპიტან **დავით გამეზარდაშვილს**.

გეგუჩაძეს რუსთავის „ოლიმპიდან“ ცენტრალური და მარჯვენა მცველების, **გიორგი ონიანისა** და **თემურ ლონლაძის** დამატება სურდა. 25 წლის ონიანი გამოცდილი მცველია, მეორე ბუნდესლიგაშიც უთამაშია, საქართველოს ნაკრების წევრობის კანდიდატიც გახლდათ და თავის პოზიციაზე ქართველებში ერთ-ერთი გამორჩეულიცაა... თუმცა ონიანმა თავად გვამცნო, რომ „ზესტაფონთან“ მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა.

მისგან განსხვავებით, ლონლაძეს გულშემატკივრები და სპეციალისტები ნაკლებად იცნობენ, მაგრამ „ოლიმპში“ ჩატარებული დამაჯერებელი სეზონის შედეგად, 23 წლის მცველი კარგად გაიცნეს და ბევრის აზრით, მისებრ ძლიერი მარჯვენა მცველი საქართველოში ფაქტობრივად არ არის - თავის პოზიციაზეც საიმედოა და შეტევებშიც კარგად ერთვება. რუსთაველთა დებიუტანტი გუნდის ერთ-ერთ საკვანძო ფიგურად გადაიქცა. მიაჩნიათ, რომ ნაკრებში მისი გასინჯვაც არ იქნებოდა ურიგო.

ახლა ლონლაძეს არჩევანი აქვს - უცხოეთი ან საქართველო. „ლელოს“ ინფორმაციით, „ოლიმპის“ მცველს ერთ-ერთ აზერბაიჯანულ კლუბსა და „ზესტაფონში“ სთავაზობენ გადასვლას. მალე გადაწყდება, რომელი მათგანია ლონლაძისთვის უფრო რეალური და მისაღები. უცნაური კი ის არის, რომ 23 წლის ნიჭიერი მოთამაშე მანამდე ვერ შეამჩნიეს. ეს იმის ბრალია, რომ პერიფერიებს ყურადღებას არავინ აქცევს, საქართველო მარტო თბილისი არ არის... ხაშურელი ბიჭის დამფასებელი მხოლოდ „ოლიმპი“ აღმოჩნდა. ახლა კი იცოცხლე - არა მარტო „ზესტაფონი“, კიდევ რამდენიმე წამყვანი ქართული კლუბი იწვევს. არის ინფორმაციაც, თითქოს მისით თბილისის „დინამოც“ დაინტერესდა.

„ზესტაფონი“ კი ორ ფეხბურთელს შეელია - თავდამსხმელ **მიხეილ კაკალაძესა** და მცველ **გიორგი კვესიეშვილს**. როგორც ჩანს, კლუბის მმართველებს წლეულს მაინც სურთ ისეთი ძალის გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც საქართველოს ჩემპიონატსა და ევროთასებზეც ღირსეულად იასპარეზებს.

„ზესტაფონის“ ბაზის მშენებლობა მალე დაიწყება. ამის თქმის საფუძველს ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატის, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ **კახა გენაძის** კომენტარი გვაძლევს.

როგორც ცნობილია, კლუბი ბაზის აშენებას ზესტაფონის ყოფილი პროფტექნიკუმის მიტოვებულ ტერიტორიაზე აპირებს. თუმცა დღემდე პროექტის განხორციელება ვერ ხერხდება. მიზეზი ბიუროკრატიული ბარიერებია. ქვეყანაში, სადაც ამდენი რამ გაიყიდა, ლამის ნაგავსაყრელად ქცეულ ადგილზე სერიოზული საფეხბურთო ბაზის (ქართული „მილანელოს“) მშენებლობა ჭიანურდება. ფიქრობენ, შეიძლება თუ არაო!

*თუმცა, როგორც ჩანს, ამ პრობლემასაც მალე მოევლება: „ზესტაფონის“ პრეზიდენტ ილია კოკაიას დიდი პროექტის განხორციელება სურს და სირცხვილია, გვერდით არ დავუდგეთ. პირადადაც გამიხარდება, ჩემი დეპუტატობის პერიოდში ზესტაფონში საქართველოში საუკეთესო საფეხბურთო ბაზა რომ აშენდეს. მალე იურიდიული საკითხები მოგვარდება და ეს ტერიტორია კლუბს მალე გადაეცემა“,* - გვითხრა კახა გენაძემ.

რეგიონი

## დავით კირკიტაძე

# ღირსეული წაგებაც უნდა ვისწავლოთ

ქვემო ქართლის რეგიონში მე-20 ეროვნულ ჩემპიონატს დიდი იმედებით ელოდნენ. თუმცა არ გამართლდა ეს იმედები - საჩემპიონო შემადგენლობის პატრონი რუსთავის „ოლიმპი“ ჩემპიონატში მესამე ადგილს დასჯერდა, თასი კი „დინამოსთან“ დაძაბულ ფინალში დათმო. არანაკლებ ამბიციურად წარმოგვედგინა ბოლნისის „სიონიც“. ოთარ კორღალიძემაც საკმაოდ ძლიერი მოთამაშეები შეკრიბა, მაგრამ ამის მიუხედავად, მხოლოდ მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა.

მოკლედ, რუსთავი და ბოლნისი წელს უტიტულოდ დარჩნენ. ამას დაემატა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგები - კლუბების სპონსორები, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა („ოლიმპის“ სპონსორი) და „მადნეული“ („სიონს“ პატრონობს) მძიმე მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, პროდუქციის გასაღება გაუჭირდათ და აქედან გამომდინარე, „ოლიმპისა“ და „სიონის“ მომავალი საეჭვო გახდა. ყოველ შემთხვევაში, ბოლო დღეებია ამას დაბეჯითებით ამტკიცებდნენ.

ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული დავით კირკიტაძე ამ ხმებს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს - ორივე კლუბს აუცილებლად შევინარჩუნებთ და არ არის გამორიცხული, კიდეც გავაძლიეროთ...



- ქართული ფეხბურთის აღორძინების ერთადერთი გზა მისი რეგიონული განვითარებაა. ძალიან მიხარია, რომ ბოლო დროს სამეგრელო გამოცოცხლდა და რამდენიმე კლუბი ერთდროულად დაწინაურდა. გუნდების გაძლიერებას ქვემო ქართლშიც ვცდილობთ. ხალხს ეს ჰაერივით სჭირდება, ბოლოს და ბოლოს, სოციალური მოვლენაა და ყურადღება უნდა მივაქციოთ. ძლიერი რუსთავის „ოლიმპი“ და ბოლნისის „სიონი“ ისევ საქართველოს ჩემპიონატისთვისაა კარგი. სამწუხაროდ, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ქართულ ფეხბურთს მასაზრდოებელი წყაროები დროებით გადაუკეტეს... ამ მიწების დაბრუნებამდე, ჩვენს ხელთ არსებული რესურსები მაქსიმალურად უნდა ავითვისოთ - რეგიონებიდან ხომ ყოველთვის მოდიოდნენ კარგი ფეხბურთელები... ამიტომ, რუსთავსა და ბოლნისში გუნდები არათუ უნდა შევინარჩუნოთ, არამედ უფრო უნდა გავაძლიეროთ ახალი სეზონისთვის. სერიოზული პრობლემების მიუხედავად, „მეტალურგიულ კომბინატსა“ და „მადნეულს“ წლეულს თავიანთ ვალდებულებებზე უარი არ უთქვამთ. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჯოზეფ ქეისა და „მადნეულის“ ხელმძღვანელობას.

**- ანუ, ხმები ამ კლუბების დაფინანსების შემცირებაზე უსაფუძვლოა? ამაზე ლაპარაკობდნენ თასის ფინალში „ოლიმპის“ წაგების შემდეგ...**

- რა თქმა უნდა, უსაფუძვლოა. სპონსორები კლუბებს კვლავ დააფინანსებენ და მათ სახელმწიფო ბიუჯეტიც შეეხიდება. ჩვენი სურვილია, „ოლიმპი“ რაც შეიძლება კარგად გამოვიდეს ევროპის ლიგაში. დარწმუნებული ვარ, „ოლიმპიცა“ და „სიონიც“ ახალ სეზონშიც ამბიციურები იქნებიან.

**- საქართველოში ყოველთვის ასე იყო - წაგებული და უტიტულო კლუბის სპონსორი თვალსა და ხელს შუა ქრებოდა...**

- რატომ უნდა შევაქციოთ ზურგი ამ კლუბებს? ჩვენ არა მხოლოდ მოგება, არამედ ღირსეული წაგებაც უნდა ვისწავლოთ. პოლიტიკურ თუ სხვა შეხედულებებში განსხვავების მიუხედავად, ფეხბურთის განვითარებას პოლიტიკოსები, ფედერაცია, კლუბები, მედია, მწვრთნელები, ფეხბურთელები და მსაჯები ერთად უნდა ვცდილობდეთ.

**- რას გულისხმობთ?**

- „ოლიმპმა“ ფინალში კარგად ითამაშა, მაგრამ „დინამომ“ თასი დამსახურებულად მოიგო. ანუ, უნდა ვიფიქროთ, როგორ გავხდეთ უკეთესი კლუბი მომავალ წელს. წაგება ყოველთვის სხვას არ უნდა დავაბრალოთ, გვეყოს ვაჟკაცობა და დავინახოთ ჩვენი შეცდომებიც. არ შეიძლება, ყოველთვის მსაჯი იყოს დამნაშავე. ფინალში ნამდვილად ძალიან კარგი მსაჯობა იყო. ჩვენს ფეხბურთს ისედაც ცოტა ჰყავს მაყურებელი და ყველაფრის სხვისთვის გადაბრალებით, ყველაფერში გარიგებისა და ჩაწყობის დანახვით, ეს მცირერიცხოვანი აუდიტორიაც მოგვაკლდება. ქართული ფეხბურთის პრობლემებს მოგვარება უნდა და არა - მისთვის სახელის გატეხა. წელს „ვიტ ჯორჯია“ ყველაზე ძლიერი იყო და ჩემპიონობაც დაიმსახურა, ისევე, როგორც „დინამომ“ - თასი.

**- ზოგიერთ რეგიონში სახელმწიფო კლუბს ინახავს, ზოგან კი ყურადღებას არ აქცევს. რატომ ხდება ასე? აქ ერთიანი პოლიტიკა არ უნდა იყოს შემუშავებული?**

- ვისაც კლუბის დაფინანსება სურს, პრობლემას არავინ უქმნის. ყველას შეუძლია, ჩვენსავით მოიქცეს და ფეხბურთს ყურადღება მიაქციოს. უმაღლესი ლიგა ბევრს მოიგებდა, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ლანჩხუთში, ფოთსა და გორში ძლიერი გუნდები რომ გვყავდეს. ჩვენი ჩემპიონატი სულ სხვა დონეზე იქნებოდა...

**- ფეხბურთი სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს. გაუგებარია, რატომ იხდიან კლუბები წყლისა და მიწის გადასახადს ჩვეულებრივზე მეტი ტარიფით?**

- ამის თაობაზე „ლელოში“ გამოქვეყნებულ წერილებს გავეცანი და უნდა გითხრათ, ეს მოსაზრებები ძალზე საინტერესოდ მეჩვენა. ფეხბურთის ფედერაციამ კლუბები სწორ გზაზე უნდა დააყენოს და აუხსნას, რომ ზედმეტი ფული არ გადაიხადონ. ეს ხომ საკმაოდ დიდი თანხაა და ინფრასტრუქტურაში უნდა დაიხარჯოს...

დინამო

# მილანმა დინამოს თასი მიულოცა

## კრშკომ, მალე დავბრუნდებიო

ჰოი, საოცრებავ! მსოფლიო ფეხბურთის გრანდს, **კახა კალაძის** „მილანს“ უამრავი საზრუნავი კი აქვს, მაგრამ კლუბმა მოიცალა და პატარა საქართველოს თასის ფინალის გამარჯვებულისთვის წარმატების მილოცვა არ დაავიწყდა.

*„საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის“ გათამაშებაში გამარჯვება უცხოური კლუბებიდან პირველმა დიდი „მილანის“ დიდმა ოჯახმა მოგვილოცა. „მილანის“ მთელი ოჯახი გილოცავთ საქართველოს თასის მეცხრედ მოგებას“,* - ვკითხულობთ **ადრიანო გალიანის** მილოცვაში. ეს ინფორმაცია „დინამოს“ ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა.



მილოშ კრშკო

თასის მფლობელის ბანაკში სხვა ამბებიც ხდება. 15 მარტს, ცხინვალის „სპარტაკთან“ თბილისური მატჩის დროს, **მილოშ კრშკომ** ფეხი მოიტეხა. აგერ, სეზონიც დასრულდა და სლოვაკი ცენტრალური მცველი მას შემდეგ მოედანს აღარ გაჰკარებია.

*„საბედნიეროდ, ოპერაცია წარმატებული აღმოჩნდა. რეაბილიტაციის პროცესმა კარგად ჩაიარა და ახლა ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. თავს კარგად ვგრძნობ, ფეხი აღარ მტკივა და წესით, გუნდს მოსამზადებელი ეტაპის დასრულებამდე შევუერთდები. ჯერჯერობით, არსად წასვლას არ ვაპირებ, რადგან „დინამოსთან“ კონტრაქტი მაკავშირებს. მძიმე ტრავმის შემდეგ კარიერის აწყობა ერთხელ უკვე მოვახერხე. მაშინ სლოვაკეთის ოლიმპიური ნაკრების წევრი ვიყავი და მთელი სამი წელიწადი დავკარგე. იმედია, „დინამოში“ ძველი პოზიციის დაბრუნებას შევძლებ“,* - გვითხრა კრშკომ.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინალის გამოძახილი

## გიორგი ლორია
# მზად ვარ, ვიყო დინამოს მთავარი მეკარე...
### პენალტების დროს მთავარია ინტუიცია. ანუ ჭანტურიას საოცარი წინასწარმეტყველება


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო
ფინალის შემდეგ გიორგი ლორია შოთა არველაძემ დააჯილდოვა

ალბათ, ზოგს გაუკვირდა, როცა თასის საფინალო განაცხადში თბილისის „დინამოს" მთავარ მეკარედ არა დიდიე ოვონოს, არამედ გიორგი ლორიას გვარ-სახელი ამოიკითხა. ქომაგთა ასეთი რეაქცია, ალბათ ბუნებრივიც იყო, თითო-ოროლა შეხვედრის გარდა, მთელი სეზონის განმავლობაში დინამოელთა კარს სწორედ ოვონო იცავდა. ლორიას მხოლოდ ჩემპიონატის ბოლო ორ მატჩში მოუწია თამაში. მოგეხსენებათ, ოვონო ფრანგულ „ლე მანში" გადადის და ეტყობა, მწვრთნელებმა ამადაც გააკეთეს აქცენტი გუნდში დარჩენილ ლორიაზე. დაგვეთანხმებით, ეს ნაბიჯი ერთი შეხედვით სარისკო იყო, მაგრამ...

...მაგრამ სწორედ ლორია გახლდათ „დინამოს" მე-9 სათასო ტრიუმფის მთავარი სულისჩამდგმელი. მან „ოლიმპის" ორი პენალტი გააუვნებლა. თუმცა ერთიც უნდა ითქვას - ლორიას შეეძლო გია მეგრელაძის მიერ ძირითადი დროის ბოლო წუთზე შესრულებული ოსტატური ჯარიმის მოგერიება. დიახ, შეეძლო, მაგრამ ვერ მოიგერია, ამიტომაც გადავიდა თამაში დამატებით დროში და ის, რაც მერე მოხდა, ეტყობა, ლორიასა და „დინამოს" ბედისწერა იყო. სწორედ აქ, 11-მეტრიანების სერიაში ელოდათ მათ წარმატება.

გთავაზობთ ინტერვიუს ფინალის ერთ-ერთ მთავარ გმირთან...

**- პირველ რიგში, გილოცავ გამარჯვებას. რა განწყობა იყო ფინალამდე გუნდში და თავად რამდენად ელოდი, რომ მწვრთნელი კარს განდობდა?**

- ბოლომდე ნამდვილად არ ვიყავი დარწმუნებული, რომ თამაში მომიწევდა. მთელი სეზონი ოვონომ ჩაატარა, მაგრამ ზუგდიდში „მგლებთან" და შინ „ბორჯომთან" მე ვითამაშე და გარკვეულწილად ვგრძნობდი კიდეც, რომ ფინალისთვის დიდი შანსი მქონდა. მით უმეტეს, ოვონოს წასვლა უკვე გადაწყვეტილი ამბავია... როცა გავიგე, რომ კარი მე უნდა დამეცვა, მაშინვე ვიგრძენი, თუ რამხელა პასუხისმგებლობა მეკისრებოდა. ამავე დროს, ეს ჩემი შანსიც იყო და ვალდებულიც ვიყავი, ის ბოლომდე გამომეყენებინა.

**- წინადღეს პენალტებშიც გივარჯიშია...**

- მარტო მე კი არა, მთელმა გუნდმა ვივარჯიშეთ 11-მეტრიანებში. წვრთნის დროს რამდენიმე პენალტი ავილე და ამან თავდაჯერებულობა შემმატა. ფინალის მსვლელობისას ვფიქრობდი - საქმე აქამდე რომ მისულიყო, არ შემეშინდებოდა. მოკლედ, მჯეროდა საკუთარი თავის.

**- უშუალოდ თამაშზე რას იტყოდი?**

- ვფიქრობ, მთლიანობაში საინტერესო თამაში გამოვიდა. მატჩის დასაწყისი სანახაობრივად დიდი არაფერი იყო, მაგრამ მერე ტემპმაც იმატა, დაძაბულობამაც და მგონი, თამაში საყურებლადაც უკეთესი გახდა... თუმცა ამაზე უფრო გულშემატკივარმა უნდა იმსჯელოს.

**- თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ „დინამო" თასის მოსაგებად 90 წუთში ჩაეტეოდა, მაგრამ არბიტრის მიერ წამატებულ დროში მეგრელაძემ ჯარიმიდან გაგიტანა. შეგეძლო იმ დარტყმის აღება?**

- ორი აზრი არ არსებობს, რომ მეგრელაძემ ოსტატურად დაარტყა, მაგრამ ეს აუღებელი დარტყმა ნამდვილად არ იყო, უნდა მომეგერიებინა და 90 წუთში დასრულდებოდა ყველაფერი. ბურთს თითები წავარტყი, მერე ძელს მოხვდა და კარის ხაზს იქით აღმოჩნდა... ცოტაღა დამაკლდა...

**- როდის იგრძენი, რომ საქმე პენალტებამდე მივიდოდა?**

- პირველივე დამატებულ ტაიმში. აშკარად ეტყობოდა და გავიფიქრე კიდეც, რომ პენალტების სერია გახდებოდა საჭირო და ფსიქოლოგიურად ამისთვის უკვე ვემზადებოდი.

**- დამატებითი დროის ტაიმებს შორის შესვენებაზე ოვონომ ორჯერ რაღაც გითხრა. თუ საიდუმლო არ არის, იქნებ გაგვიმხილო, რა რჩევა-დარიგება მოგცა გაბონელმა კოლეგამ?**

- განსაკუთრებული არაფერი და არც რაიმეა დასამალი, უბრალოდ, ფსიქოლოგიურად მამხნევებდა, შეგიძლია, „დინამოს" მთავარი მეკარე გახდე და ეს შენი შანსიაო, - მეუბნებოდა. მისი მადლიერი ვარ... თუმცა უფრო დასამახსოვრებელი და საოცარი ჩვენი გუნდის მეკარეთა მწვრთნელის გელა ჭანტურიას ნათქვამი იყო...

**- რა გითხრა ასეთი ჭანტურიამ?**

- თერთმეტმეტრიანების სერიამდე მითხრა, პირველ პენალტს აიღებ და თამაშს პირადად შენ მოიგებო... დაუჯერებელია, ფაქტია - მართლაც ასე მოხდა. ამ გამარჯვებაში ჩემი დიდი წვლილია და ეს ორმაგად მახარებს.

**- მაინც როგორ მოიგერიე ის ორი პენალტი?**

- ვფიქრობ, გადამწყვეტი იყო ინტუიცია... მოქმედი მეკარეებიდან ჩემი კერპები კასილიასი და ჩეხი არიან. ისინი თავდაჯერებულობით გამოირჩევიან და პირველ რიგში ამიტომაც ვცემ პატივს. ძველებიდან კი ჯანლუკა პალიუკა მომწონდა, მშვიდად და საიმედოდ იდგა ხოლმე კარში... როცა მეტოქე შენს თავდაჯერებულობას გრძნობს, გაცილებით მეტი შანსი გაქვს, რომ აჯობო.

**- ეს შენთვის პირველი თასია...**

- დიახ, ქვეყნის თასი პირველად მოვიპოვე... რაც „დინამოში" ვარ, ჩემპიონობა და სუპერთასი მოპოვებული მქონდა, მაგრამ პრინციპულ მატჩებში თამაში არ მიწევდა. ჩემთვის ამ თასს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს...

**- რატომ?**

- რატომ და, ეს არის პირველი ტიტული, რომლის მოპოვებაში მე პირადად დიდი წვლილი შევიტანე. სათასო მატჩებში ფინალამდეც ვითამაშე და საერთო გამარჯვებას ჩემი ენერგიაც შევალიე.

**- დიდიე ოვონო „დინამოდან" ფრანგულ „ლე მანში" გადავიდა. თუ კლუბმა სხვა მეკარე არ დაიმატა, მთავარ გოლკიპერად რჩები. საამისოდ რამდენად მზად ხარ?**

- 23 წლის გახლავართ, ბოლოს და ბოლოს, ეროვნულ გუნდშიც მითამაშია, მაგრამ ისიც ხშირად გამიგია, მეკარისთვის ეს ახალგაზრდული ასაკიაო. თუმც გაიხსენეთ - კასილიასი 19 წლის იყო, როცა „რეალის" ძირითადი მეკარე გახდა. პეტერ ჩეხი 22-23 წლისა თამაშობდა „ჩელსის" ძირითად გუნდში... ის კი მართალია, რომ მეკარის კარიერა ჩვეულებრივ ფეხბურთელისაზე ხანგრძლივია, მაგრამ მიმაჩნია, რომ მეკარისთვის ახალგაზრდული ასაკი ნამდვილად არ მაქვს. ბოლო პერიოდმა და განსაკუთრებით ამ ფინალმა თავდაჯერებულობა შემმატა. არ ვიცი, რას გადაწყვეტს „დინამოს" ხელმძღვანელობა, მაგრამ ერთს კი ვიტყვი - მზად ვარ, ვიყო „დინამოს" მთავარი მეკარე. იმედი მაქვს, საამისო შანსი მომეცემა და ამას დავამტკიცებ კიდეც.

**- ალბათ, ეროვნულ ნაკრებში წარუმატებელი თამაშის გამო ჩავარდნაც გქონდა. თუმცა ჩანს, ეს პერიოდი უკან მოიტოვე...**

- დიახ, ეს უკვე წარსულია. საიმედოდ ვერ ვითამაშე, გამოცდილება არ მეყო... თუმცა იქიდან დასკვნები უკვე გამოვიტანე. შესაბამისად, იმის იმედიც მაქვს, რომ ეროვნულ გუნდს გამოვადგები.

ინტერვიუ

## ლევან მჭედლიძე
# თუ არ მათამაშებენ, პალერმოდან წავალ...

„პალერმოს" ფორვარდ ლევან მჭედლიძეს კოჭის ტრავმა აქვს. ამის თაობაზე იტალიური წყაროები წერენ. ამასთან, მჭედლიძე ნაკრებშია გამოძახებული. სწორედ ამ ტრავმის გამო მოლდოვა-ალბანეთთან სათამაშოდ ეროვნულმა გუნდმა მზადება მის გარეშე დაიწყო. დავინტერესდით ლევანის მდგომარეობით და იტალიაში დავუკავშირდით. ამას გარდა, ვესაუბრეთ სატრანსფერო თემაზეც. მოგეხსენებათ, მჭედლიძეს „პალერმოში" სათამაშო პრაქტიკა აკლია და ეს პრობლემა თუ არ მოიხსნა, ლევანს გუნდის შეცვლა აქვს გადაწყვეტილი. როგორც ამბობენ, მის მსურველთა შორის არაერთი სერიოზული იტალიური კლუბია...

მოკლედ, გადავიდეთ ინტერვიუზე და ვნახოთ, რას ფიქრობს და რას აპირებს...


ლევან მჭედლიძე

**- ლევან, ჯერ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გკითხავთ. ტრავმა სერიოზულია? შეძლებ ნაკრებში თამაშს?**

- ხუთშაბათს, ვარჯიშის დროს, თანაგუნდელმა კოჭზე დამაბიჯა და მყესები მქონდა დაჭიმული. ლაზერული თერაპიის კურსი ჩავიტარე და ახლა უკეთ ვარ. დღევანდელი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, თამაში უნდა შევძლო. მთავარია, ტრავმა არ გამირთულდეს. როგორც ექიმებმა მითხრეს, ოთხშაბათს უკვე სრული დატვირთვით ვივარჯიშებ. ვნახოთ...

**- კეთილი, ახლა საკლუბო თემაზე გადავიდეთ. მორიგი სეზონი დასრულდა და კვლავ სათამაშო პრაქტიკის პრობლემა გაქვს. რა ხდება?**

- სულ 9 მატჩში ვითამაშე და აქედან, მხოლოდ ერთ შეხვედრაში, „ჯენოასთან" ვიყავი ძირითად შემადგენლობაში. დანარჩენებში კი მხოლოდ ბოლო 10-15 წუთი, ან ცოტა მეტხანს მიწევდა თამაში. მწვრთნელს მაშინ შევყავდი მოედანზე, როცა კაცნაკლულნი ვრჩებოდით, მინიმალური ანგარიშით ვაგებდით, ან მცირე სხვაობით ვიგებდით და მეტოქე გვჯობნიდა. სამწუხაროდ, კვლავ უთამაშებელი ვარ და მწვრთნელის გარდა, ამ თემაზე კლუბის ხელმძღვანელობასაც ველაპარაკე. ჩემი პოზიცია ასეთია - თუ კვლავ უთამაშებლობის პრობლემა მექნება, მირჩევნია „პალერმოდან" წავიდე.

**- ამბობენ, მჭედლიძით იტალიური ფეხბურთის გრანდები არიან დაინტერესებულიო. რამდენად მართალია ეს? ადრე სერიოზულად იყო ლაპარაკი „იუვენტუსზე", ეს ვიცით, სხვა?**

- ჩემი აგენტის მტკიცებით, მსურველი მართლაც არაერთია...

**- ჰო, მართლა, აპრილში „კატანიაზეც" ითქვა...**

- კი, იყო ამაზე ლაპარაკიც, მაგრამ „კატანიაში" გადასვლას, ფაქტობრივად, გამოვრიცხავ. სხვა თუ არაფერი, „პალერმო" გაცილებით უკეთესი გუნდია. რაც შეეხებათ გრანდებს, რა გითხრათ... ზოგიერთზე მეც მსმენია...

**- ამ სეზონში ერთი გოლი გაიტანე და ისიც „იუვენტუსის" კარში. ამან ხომ არ გამოიწვია ტურინელთა დაინტერესება?**

- „იუვენტუსს" ადრეც ჰქონდა ინტერესი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა „ემპოლიდან" „პალერმოში" გადავედი. შემეძლო კიდეც, თანხმობა მეთქვა ტურინელთა წინადადებაზე, მაგრამ იმ პერიოდში ჩემთვის უფრო საშური იყო სათამაშო პრაქტიკა და ამიტომაც წავედი „პალერმოში", თუმცა... ისე, აგენტმა მაშინ მითხრა, „ინტერთან" და „მილანთანაც" შეგვეძლო მოლაპარაკებების დაწყებაო... ახლაც, რაღაც ხმები მოდის ჩემამდე, მაგრამ ჯერ „პალერმოსთან" უნდა გავარკვიო ურთიერთობა, თორემ, როგორც აგენტმა მითხრა, ესპანურ და ინგლისურ კლუბებზეც მიდის ლაპარაკი.

**- „პალერმოსთან" რა უნდა გაარკვიო?**

- სეზონის წინ კლუბის პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ ევროპის ლიგის საგზურის მოპოვება დაგვისახა მიზნად. ჩვენ კი მერვე ადგილზე გავედით და ევროტურნირების მიღმა დავრჩით. ცხადია, პრეზიდენტი უკმაყოფილოა, მთავარმა მწვრთნელმა დავიდე ბალარდინიმ საჯაროდ განაცხადა, რომ „პალერმოდან" მიდის. არ ვიცი, რა და როგორ იქნება, დაველოდები... მალე გაირკვევა, ვინ იქნება მწვრთნელი მომავალ სეზონში, რამდენად ჩავჯდები მის მონახაზში...

**- ბალარდინის შემცვლელად რომელი კანდიდატურები განიხილება (ბოლო ინფორმაციით, კლაუდიო რანიერისა და „სიენას" მწვრთნელ მარკო ჯამპაოლოს ვარიანტი აქვთ. - ავტ)?**

- ჯერჯერობით, კონკრეტულად არავინ დაუსახელებიათ, გამოკვეთილი კანდიდატურა არ ჩანს, თუმცა სიტუაცია ყოველ წუთს შეიძლება შეიცვალოს. ისიც მინდა ვთქვა, რომ ძამპარინის ჩემს წასვლაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდა. თუმცა უფრო მნიშვნელოვანი იქნება მწვრთნელის პოზიცია, ახალი იქნება ეს მწვრთნელი თუ ძველი. თუ თამაში არ მომიწევს, წავალ...

**- დავუშვათ და, წასვლამ მოგიწია, რა გზას აირჩევ? რომელიმე მოკრძალებულ კლუბს მიაშურებ იმისთვის, რომ სათამაშო პრაქტიკა გქონდეს, თუ?..**

- გააჩნია, ვინ რას შემომთავაზებს, რა წინადადებები მექნება... დიახ, პირველ რიგში ჩემთვის სწორედ სათამაშო პრაქტიკაა. თუ „იუვენტუსს" უნდა ჩემნაირი ახალგაზრდა ფორვარდის აყვანა, ისიც მოფიქრებული ექნება, როგორ გამოიყენოს ეს ფორვარდი - ან ათამაშებს და სასტარტოსთვის მოამზადებს, ანდაც სხვა გუნდში გაანათხოვრებს. ასე რომ, ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი - როგორც გითხარით, მანამდე „პალერმოს" პოზიცია უნდა გავიგო.

**- მაინც როდის გადაწყდება ეს საკითხი?**

- წესით, ივნისს არ უნდა გადასცდეს... მაგრამ ჯერ ნაკრებზე ვფიქრობ. ძალიან მინდა, რომ ამ ორ ამხანაგურ მატჩში ვითამაშო. და თუ რომელიმე კლუბს უნდა, რომ საქმეში მნახოს, შეუძლიათ ეროვნული გუნდის მატჩებში დამაკვირდნენ.

**- ნაკრებით დავიწყეთ და ნაკრების თემითვე დავასრულოთ - რა მნიშვნელობას ანიჭებ მომავალ ორ შეხვედრას?**

- მართალია, წინ ამხანაგური მატჩებია, მაგრამ ამასაც თავისი დატვირთვა აქვს. ბოლოს და ბოლოს, უნდა მოვიგოთ, რათა ვირწმუნოთ საკუთარი ძალების. მეორე მხრივ, ეს იქნება მოსამზადებელი მატჩები მომავალი შესარჩევი თამაშებისთვის. თან ახალი ფეხბურთელებიც გამოიცდებიან ნაკრებში... ერთი სიტყვით, მნიშვნელოვანი თამაშები გვაქვს და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რათა ჩვენი გულშემატკივრები გავახაროთ.

გვედრი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

გაგრა

# გავარდნილები ევროსაგზურზეც კი ფიქრობენ

11-გუნდიან უმაღლეს ლიგაში „გაგრა“ მე-9 ადგილზე გავიდა და დებულების თანახმად, პირველ ლიგაში დაქვეითდა, მაგრამ... კლუბს იმედი აქვს, რომ მომავალ სეზონსაც ქართულ ელიტაში გაატარებს.

მოუწესრიგებელ და ღარიბ ლიგებში რალა არ შეიძლება, მოხდეს. შარშან, უმაღლეს ლიგაში მოსახვედრად, „გაგრა“ ჭიათურის „მაღაროელს“ შეხვდა პლეი ოფში. დამარცხდა, მაგრამ უსახსრობის გამო ჭიათურელები უმაღლესში ვერ აღზევდნენ და მათი ადგილი სწორედ „გაგრამ“ დაიკავა. შესაძლოა, მსგავსი ისტორია ახლაც განმეორდეს - განვლილ ჩემპიონატში მე-8 ადგილზე გასულ ახალციხის „მესხეთს“ საუმაღლესო ლიცენზია არ აქვს და დიდი შანსია, „მესხეთი“ „გაგრათი“ ჩაანაცვლონ.

მოკლედ, „გაგრა“ საამისოდაა განწყობილი და შვებულების შემდეგ გუნდი 15 ივნისს შეიკრიბება. მანამდე კი ფეხბურთელებს ინდივიდუალური ვარჯიშები გამოუწერეს. შეკრების დღემდე, „გაგრას“ ბიჭები საკუთარ ბაზაზე (მუხრანში) მოიყრიან თავს, ხოლო მერე უცხოური შეკრებაც იქნება. კლუბში გვაცნობეს - თუ უმაღლეს ლიგაში არ დაგვიშვებენ, საზღვარგარეთ ერთ შეკრებას მაინც გავივლითო.

ამ დროისთვის „გაგრადან“ მხოლოდ ერთი ფეხბურთელი წავიდა - უკრაინელი **ვლადიმირ კოზლენკო**. ახალწვეული კი ჯერ მხოლოდ ერთია - 19 წლის თავდამსხმელი **ილია პავლიაშვილი**, რომელმაც „ბორჯომში“ გამოიჩინა თავი.

„გაგრას“ მომავალ სეზონშიც უკრაინელი მწვრთნელი **ვიქტორ კაშჩეი** უთავკაცებს. ისიც გვითხრეს, თუ გუნდს უმაღლეს ლიგაში დატოვებენ, დამდეგ სეზონში აუცილებლად ევროსაგზურისთვის ვიბრძოლებთო.

დარჩება თუ არა „გაგრა“ უმაღლეს ლიგაში, ამას ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი გადაწყვეტს. კლუბის მესვეურთა ოპტიმიზმი იმის ვარაუდის საფუძველს გვაძლევს, რომ ამ საკითხზე ალმასკომის წევრებთან უკვე მოისინჯა ნიადაგი და რამდენიმე მათგანისგან წინასწარი თანხმობაც აქვთ მიღებული.

ლიცენზირებული „გაგრას“ არგუმენტი მარტივია - „მესხეთს“ არ აქვს ლიცენზია და რაკი ამ გუნდის მერე საუკეთესო შედეგი ჩვენ გვქონდა, უმაღლეს ლიგაშიც ამიტომ უნდა დაგვიშვანო. „გაგრას“ გარდა, უმაღლეს ლიგაში დარჩენის იმედი ცხინვალის „სპარტაკსაც“ აქვს - პირველი ლიგის გამარჯვებულებს, „სამტრედიას“ და „ამერს“, საუმაღლესლიგო ლიცენზია ჯერ არ აქვთ და „სპარტაკიც“ რომელიმე მათგანის ჩანაცვლებას ეცდება.

მოკლედ, ჯერ ისიც არ არის გარკვეული, დამდეგ სეზონში რამდენი გუნდი იქნება უმაღლეს ლიგაში. ალმასკომს არაერთი ვარიანტი აქვს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არაორდინარული გადაწყვეტილების წინაშე აღმოვჩნდებით...

**დავით თავართქილაძე**

პორტრეტი

# დაკარგული ხუთი წელი

## კახა მახარაძე: გვიანი ჯერ არ არის, ახლა უკვე სპორტსმენივით ვცხოვრობ


კახა მახარაძე

**ერთი შეხედვით, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები ერთმანეთს ძალიან ჰგვანან, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით - დაკვირვებული თვალი აღმოაჩენს განსხვავებულ ფეხბურთელებსაც, ისეთებს, ჯერ რომ ვერ ბრწყინავენ, მაგრამ ეტყობათ, რომ სხვაზე მეტი ნიჭი აქვთ...**

**კახა მახარაძე** 2004 წელს გამოჩნდა, როგორც მართლაც პერსპექტიული ფეხბურთელი. მაშინ ის თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი გახლდათ, სულ რალაც 16 წლის... ახლა მახარაძე თბილისის „ლოკომოტივშია“, **გიორგი კიკნაძისა და ზაზა ზამთარაძის** გუნდში 2008/09 წლების სეზონისთვის მივიდა. ვერ ვიტყვით, რომ განვლილ სეზონში მახარაძემ შთამბეჭდავად ითამაშა, მაგრამ იყო ეპიზოდები, მოხდენილად რომ აგორებდა ბურთს. მე-20 ეროვნულ ჩემპიონატში კახამ 3 გოლი გაიტანა და ესეც რომ არა, თავი სხვანაირადაც შეგვახსენა - ამ ფეხბურთელს აქვს ის, რაც ბევრს არ აქვს და იქნებ, მალე სრულად აამოქმედოს კიდეც საკუთარი შესაძლებლობები.

„ლოკომოტივამდე“ მახარაძე „ბათუმში“ თამაშობდა და კიკნაძე-ზამთარაძე მას თავიანთ გუნდში ცენტრალურ მცველად მოიაზრებდნენ, მაგრამ: *„მცველი არ ვარ, „ბათუმში“ რამდენჯერმე კი ვითამაშე დაცვაში, მაგრამ ჩემი ადგილი ნახევარდაცვის ცენტრშია. „ლოკომოტივში“ პირველ წრეში ძირითადში მოხვედრა მიჭირდა, მაგრამ სეზონის მეორე ეტაპზე თითქმის ყველა თამაში ვითამაშე - ხან შეცვლაზე, ხან ძირითადში. მწვრთნელებმაც ნახევარდაცვაში გამამწესეს და დაინახეს, რომ ჩემი ადგილი სწორედ იქ არის“*, - გვეუბნება მახარაძე.

„ლოკომოტივმა“ განვლილი სეზონი რიხით დაიწყო, არცთუ ცოტა ხანი ლიდერობდა ჩემპიონატს, მაგრამ მერე საქმე ჭაკად წაუვიდა, კლუბის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად შემცირდა, გუნდი ბევრმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა და „ლოკომოტივიც“ ცხრილის შუაში გამყარდა - არც გავარდნა ემუქრებოდა და ვერც ევროსაგზურისთვის იბრძოდა.

*„როცა მიზანი არ გაქვს, ფეხბურთელისთვის ძნელია ასე თამაში. გასაგებია, რომ ყველა შეხვედრაში მოედანზე მოსაგებად გადიხარ, მაგრამ მოტივაციისთვის მხოლოდ ეს არ კმარა. მომავალი სეზონისთვის „ლოკომოტივი“ ორი კარგი ფეხბურთელით მაინც თუ გაძლიერდა, მოვახერხებთ, ალბათ, მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას“*, - იმედიანადაა მახარაძე.

„ლოკომოტივი“, ცოტა არ იყოს, უცნაური კლუბია - ფეხბურთელებს პრემიები არ აქვთ. *„გუნდში ახალი მისული ვიყავი და მე ვერ გამოვიდოდი იმ ინიციატივით, რომ პრემია მოგვეთხოვა. მიმაჩნია, რომ პრემია, ანუ სტიმული, ფეხბურთელისთვის აუცილებელია“.*

მაღალი, კაფანდარა, რბილი მანერით მოთამაშე მახარაძე „დინამოს“ მეორე გუნდიდან პირველში **გია გეგუჩაძემ** გადაიყვანა, იმავე სეზონის (2004/05) ბოლოს გუნდის თავკაცი **კახა ცხადაძე** გახდა და ისიც ენდობოდა ჭაბუკ მახარაძეს, რომელიც ევრომატჩებშიც კი ათამაშა „ლევადიასა“ და „ბრონდბიუსთან“. მახარაძისთვის თითქოს ყველაფერ კარგად მიდიოდა, მაგრამ...

*„ორივე ფეხის კუნთი დამეჭიმა, დაახლოებით 30 ნემსის გაკეთებამ მომინია, რამაც ჩემს სპორტულ ფორმაზე, ცხადია, უარყოფითად იმოქმედა. მერე „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ანდრეი ჩერნიშოვი გახდა და ის საერთოდ აღარ მათამაშებდა. სიმართლე გითხრათ, ჩერნიშოვის დროს არც ვიმსახურებდი „დინამოს“ პირველ გუნდში თამაშს და ჩემს წარუმატებლობას სხვას არ ვაბრალებ. ცოტა არ იყოს, ავურიე და ხანგრძლივი ჩავარდნაც ამან გამოიწვია“*, - გულახდილია მახარაძე.

ერთი სიტყვით, მას ფაქტობრივად ხუთი წელიწადი გაუცდა. *„უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, ძალიან ბევრ რამეს შევცვლიდი, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს, ჯერ 21 წლის ვარ და ვფიქრობ, არ არის დაგვიანებული, რომ წინსვლაზე ვიფიქრო“*, - ესეც კახას სიტყვებია.

კახა **მალხაზ მახარაძის** ვაჟია. უფროსი მახარაძე მაშინ თამაშობდა თბილისის „დინამოში“, როცა ყველაზე ტიტულოვანი ქართული კლუბი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამოდიოდა. მერე მალხაზი „ბათუმში“ თამაშობდა და გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელიც იყო.

*„მამაჩემი ხშირად მაძლევდა რჩევებს ფეხბურთზეც და ცხოვრებაზეც, მაგრამ არ ვუჯერებდი... მამა ვერ მომერია, ბავშვური ახირებები მქონდა და არც სხვას ვუჯერებდი, რის გამოც 5 წელი გავანიავე. მერე კი მე თვითონ გავერკვიე ყველაფერში, შევქმენი ოჯახი, შემეძინა შვილი და ახლა უკვე მართლა სპორტსმენივით ვცხოვრობ, გამოსწორების გზას დავადექი“*, - ასეთი გამოდგა კახა მახარაძის სვე-ბედი, მამამისი კი ფეხბურთში არ საქმიანობს, უფროსი ვაჟის თბილისურ თამაშებზე სისტემატურად დადის და, ალბათ, ძველებურად რჩევებს აძლევს.

*„მამაჩემის თამაში ბუნდოვნად მახსოვს, ბევრს ვერც გავიხსენებ... მაგალითად, „ბათუმი“-“ეინდჰოვენის“ შეხვედრაში ამირან მუჯირს საგოლე პასი რომ მიაწოდა, ის ეპიზოდი კარგად მახსოვს“.*

მახარაძეების საფეხბურთო დინასტია კი გრძელდება. პირველი ლიგის „ბათუმში“ თამაშობს კახაზე 3 წლით უმცროსი ძმა - ბექა, რომელზეც ლოკომოტიველმა მახარაძემ გვითხრა - ღმერთმა ქნას, მეც მაჯობოს და მამაჩემსაცო.

კახა სპორტსმენის გზას დაადგა და სეზონის დასრულების შემდეგ, ჯანის მოსამატებლად, სატრენაჟორო დარბაზში დადის, კუნთის მასის გასაზრდელად სახლშიც ვარჯიშობს და თუ ათლეტიზმში მკვეთრად მოუმატებს, საკუთარი თავის გარდა, „ლოკომოტივსაც“ უფრო გამოადგება. მახარაძემ ფეხბურთის თამაში იცის, ახლა ის სპორტსმენობას სწავლობს და ასეთ შესაკრებთა ჯამი სოლიდური უნდა გამოვიდეს...

**დავით თავართქილაძე**

# რუმენიგემ ვიტ ჯორჯიას დააფასა

„ვიტ ჯორჯიას“ ოფისში ნიონიდან ფაქსი მოვიდა - საქართველოს ნლევანდელი ჩემპიონი ევროპის კლუბების ასოციაციის (ECA) წევრად მიიღეს. ეს ორგანიზაცია შარშან შეიქმნა და გახმაურებული G 14-ის თავისებურ ალტერნატივად მიიჩნევა. ECA-ს თავმჯდომარე **კარლ-ჰაინც რუმენიგე** გახლავთ, ვინც ამავდროულად „ბაიერნის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა. ეს ორგანიზაცია უეფაში არ შედის, თუმცა მასთან მემორანდუმი აქვს გაფორმებული და აქტიურადაც ეთანამშრომლება.

ECA-ში უეფას წევრი ყველა, 53-ივე ასოციაციის წარმომადგენელია, ოღონდაც, წარმატებულ საფეხბურთო ქვეყნებს ამ ორგანიზაციაში, რა თქმა უნდა, მეტი კლუბი ჰყავთ. ECA-ში ქართული კლუბებიდან პირველად თბილისის „დინამო“ გაანევრიანეს.

**დავით თავართქილაძე**

მეტოქეები

# ფილიპოვიჩმა და სტოილოვმა შაბათისთვის შეარჩიეს...


ნიგერია-ირლანდია

6 ივნისს, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ჩვენი მეტოქეების მატჩები გაიმართება - ბულგარეთი ირლანდიას, კვიპროსი კი ჩერნოგორიას უმასპინძლებს. ბულგარელთა ეროვნული გუნდის თავკაცმა **სტანიმირ სტოილოვმა** ირლანდიასთან თამაშისთვის 19-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. მისი სია ასე გამოიყურება:

მეკარეები - **დიმიტარ ივანკოვი** (ბურსასფორი, თურქეთი), **ნიკოლაი მიხაილოვი** (ტვენტე, ჰოლანდია);

მცველები - **ელინ ტოპუზაკოვი** (ჰაპოელი თელ-ავივი, ისრაელი), **იგორ ტომაშიჩი** (მაქაბი თელ-ავივი, ისრაელი), **ილიან სტოიანოვი** (ჰიროშიმა, იაპონია), **ჟივკო მილანოვი** (ლევსკი), **იორდან ტოდოროვი** (ცსკა სოფია);

ნახევარმცველები - **სტილიან პეტროვი** (ასტონ ვილა, ინგლისი), **მარტინ პეტროვი** (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), **სტანისლავ ანგელოვი** (კოტბუსი, გერმანია), **დიმიტარ ტელკინსკი** (მაქაბი თელ-ავივი, ისრაელი), **ველიზარ დიმიტროვი** (მეტალურგი დონეცკი, უკრაინა), **ბლაგოი გეორგიევი** (ტერეკი, რუსეთი), **რადოსლავ კიშიშევი** (ლიტექსი);

თავდამსხმელები - **დიმიტარ ბერბატოვი** (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), **ვალერი ბოჟინოვი** (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), **დიმიტარ რანგელოვი** (კოტბუსი, გერმანია), **ვალერი დომოვჩინსკი** (ჰერტა, გერმანია), **დიმიტარ მაკრიევი** (აშდოდი, ისრაელი).

რაც შეეხება ირლანდიას, ნიგერიასთან ამხანაგური, ხოლო ბულგარეთთან საკვალიფიკაციო მატჩისთვის **ჯოვანი ტრაპატონიმ** 25 ფეხბურთელი მიიწვია. დიდი „მაესტროს“ რჩეულები უკვე გაგაცანით, ხოლო გენერალური რეპეტიცია ტრაპის გუნდმა ნიგერიასთან 29 მაისს გამართულ სპარინგმატჩში (1:1) გაიარა.

მეორე წყვილზეც ვთქვათ. ამხანაგური მატჩი გამართა კვიპროსის ნაკრებმაც, რომელიც ამ შაბათს ჩერნოგორიას ეთამაშება. 30 მაისს კუნძულელებმა კანადასთან 0:1 წააგეს. თავის დროზე კვიპროსელთა შემადგენლობაც გაგაცანით, ჩერნოგორიელთა თავკაცმა **ზორან ფილიპოვიჩმა** კი შაბათის მატჩისთვის 19 ფეხბურთელი შეარჩია:

მეკარეები - **ვუკაშინ პოლეკშიჩი** (დებრეცენი, უნგრეთი), **მლადენ ბოჟოვიჩი** (პარტიზანი, სერბეთი);

მცველები - **სავო პავიჩევიჩი** (კოტბუსი, გერმანია), **მარკო ბაშა** (ლოკომოტივი მოსკოვი, რუსეთი), **რადოსლავ ბატაკი** (ანკარასფორი, თურქეთი), **ლუკა პეიოვიჩი**, **იანკო სიმოვიჩი** (ორივე მოგრენი), **მიოდრაგ ჯუდოვიჩი** (სპარტაკი ნალჩიკი, რუსეთი);

ნახევარმცველები - **ივან დელიჩი** (ბუდუჩნოსტი), **მიტარ ნოვაკოვიჩი**, **ნიკოლა დრინჩიჩი** (ორივე ამკარი, რუსეთი), **ვლადიმირ ვუიოვიჩი** (ვაშაში, უნგრეთი), **ნიკოლა ვუიოვიჩი** (პარტიზანი, სერბეთი), **ელსად ზვეროტიჩი** (ლუცერნი, შვეიცარია), **მლადენ კაშჩელანი** (ლკს, პოლონეთი);

თავდამსხმელები - **მირკო ვუჩინიჩი** (რომა, იტალია), **რადომირ დალოვიჩი** (რაპიდი, რუმინეთი), **დეიან დამიენოვიჩი** (სეული, კორეა), **გორან ვუიოვიჩი** (ფეჰერვარი, უნგრეთი).

**დავით ცაბაძე**



ლეგიონი

შეჯამება. გერმანია

# ათი სეზონი ბუნდესლიგაში



ლევან კობიაშვილი

ამ სეზონში გერმანიაში პროფესიულ დონეზე შვიდმა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა. ქვედა ლიგებში კიდევ რამდენიმე ჩვენებური გაისარჯა, თუმცა - სამოყვარულო დონეზე.

დიდხანს ველოდით **ლევან ყენიას** დებიუტს ბუნდესლიგაში. ქართველი ფეხბურთელის ხშირმა ტრავმებმა დებიუტი სეზონის მიწურულამდე გადადო, 27-ე ტურის 88-ე წუთზე „კარლსრუესთან" მატჩში ლევან ყენიამ **ჯეფერსონ ფარფანი** შეცვალა. არასრული სამი წუთი სულ ეს არის ყენიას მონაგარი ბუნდესლიგის სეზონში, ამას დავუმატოთ უეფას თასზე ნიქოზიის აპოე-ლის წინააღმდეგ ნათამაშები 26 წუთი და ორი მატჩი „შალკე 04-ის" სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში რეგიონალლიგაში. მოკლედ, იმედები გაგვიცრუვდა, თუმცა ლევან ყენიამ ერთი რეკორდი მაინც დაამყარა, 18 წლის ლეგიონერმა ყველაზე ახალგაზრდულ ასაკში ითამაშა ევროპის მოწინავე საფეხბურთო ლიგაში.

**ლევან კობიაშვილისა** და ლევან ყენიას „შალკეს" კი სეზონი აშკარად ჩაუვარდა, გუნდმა 50 ქულა და მე-8 ადგილი იკმარა და ევროთასების საგზურის გარეშე დარჩა. 31 წლის კობიაშვილმა მეექვსე სეზონი ჩაატარა „შალკეში", კობისთვის ეს მე-10 სეზონია ბუნდესლიგაში. 10 სეზონი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ლიგაში! ქართველ ფეხბურთელთა შორის მსგავსი შედეგისთვის არავის მიუღწევია. ლევანმა ბუნდესლიგაში 285 მატჩში 28 გოლი გაიტანა.

ლევანმა ბუნდესლიგის ბოლო სეზონში 29 მატჩში (22 სასტარტოში) ითამაშა. ქართველს არც გოლი გაუტანია და არც საგოლე პასი გაუკეთებია, „კიკერის" საშუალო შეფასება მისთვის 4,06 ბალია, რაც ასევე არ არის კარგი შედეგი. კობიაშვილი მხოლოდ ერთხელ გააფრთხილეს. მან უმთავრესად ორ პოზიციაზე ითამაშა ნახევარდაცვის ცენტრში და დაცვის მარცხენა ფლანგზე. ჩვენმა თანამემამულემ გერმანიის თასზე 3 თამაშში ერთი საგოლე პასი მიითვალა, ხოლო უეფა-ს თასზე 4 თამაშში ასევე ერთი საგოლე პასი გაახერხა. მართალია, კობიაშვილმა ორჯერ მეტი ითამაშა, ვიდრე შარშანდელ სეზონში (13 თამაში, 1 გოლი), მაგრამ მაშინ მას „კიკერის" საშუალო შეფასება მაღალი ჰქონდა - 3,31.

„კარლსრუე" 29 ქულით ბოლოსწინა ადგილზე გავიდა და ბუნდესლიგას დაემშვიდობა. 31 წლის **ალექსანდრე იაშვილმა** მარცხენა შემტევ ნახევარმცველადაც ითამაშა და თავდასხმაშიც, მან 23 მატჩში (16 სასტარტოში) 3 გოლი გაიტანა და 2 საგოლე პასი გააკეთა. ის მხოლოდ ერთხელ გააფრთხილეს. „კიკერის" საშუალო შეფასება იაშვილისთვის 3,57 ბალია. იაშვილს უკვე 8 სეზონი დაუგროვდა ბუნდესლიგაში, მის ანგარიშზე 32 გოლია.

მეორე ბუნდესლიგაში ოთხმა ქართველმა ითამაშა. **დავით თარგამაძის** „ფრაიბურგმა" მიზანს მიაღწია, 68 ქულით ჩემპიონი გახდა და ბუნდესლიგის საგზური მოიპოვა, მაგრამ ჯერ კიდევ საკითხავია, იქნება თუ არა 19 წლის ქართველი ნახევარმცველი გაისადაც „ფრაიბურგში". დავითმა ამ სეზონში 6-ჯერ ითამაშა და ის 6-ჯერვე შეცვლაზე შევიდა. ქართველი ერთხელ გააფრთხილეს.

**ოთარ ხიზანეიშვილის** „აუგსბურგი" 40 ქულით მე-11 ადგილზე გავიდა მეორე ბუნდესლიგაში. 27 წლის ქართველმა მცველმა ძალიან ცოტა ითამაშა - 5 თამაში, აქედან იგი მხოლოდ ერთხელ იყო „აუგსბურგის" სასტარტო შემადგენლობაში, ისიც ბოლო ტურში. მისი კიკერისეული საშუალო შეფასება ძალიან დაბალია - 4,67. ოთარი ერთხელ გააფრთხილეს, თუმცა მას 2 საგოლე პასიც დაუგროვდა. ოთარმა ცოტა კი ითამაშა, თუმცა ეს მაჩვენებელი მაინც სჯობს შარშანდელს, როცა „ფრაიბურგის" შემადგენლობაში ხიზანეიშვილმა სეზონში ჯამში 9 წუთი ითამაშა!

სეზონი სკანდალით დასრულდა **მათე ღვინიანიძისთვის**, თუმცა ამჯერად ჩვენი საუბრის თემა „მიუნხენის" მცველის სტატისტიკაა. „მიუნხენი" 39 ქულით მე-12 ადგილით დაკმაყოფილდა. ტრავმებით დატანჯულმა მათე ღვინიანიძემ კი 20 მატჩში ითამაშა (17 სასტარტოში). მათე ორჯერ გააფრთხილეს, „კიკერის" საშუალო შეფასება მისთვის 3,68 ქულაა.

„ვეენს", რომელიც 27 ქულით მეორე ბუნდესლიგას დაემშვიდობა, ვერაფერში გამოადგა **ლევან ცქიტიშვილი**. ლევანი მესამედ მიბრუნდა გერმანიაში, თუმცა ყველაზე უიღბლო სეზონი გამოუვიდა, ის ზამთარში გადავიდა ვისბადენში და მას შემდეგ 32 წლის ქართველმა ლეგიონერმა 3 მატჩში („კიკერი" - 3,50) ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

U 17

# ჭანტურია იტალიაში საუკეთესოდ დაასახელეს

**გიორგი დევდარიანის** მიერ განვრთნილმა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა იტალიის ქალაქ ჩიპრანოს საერთაშორისო ტურნირი მოილია. ჩვენი გუნდის გარდა, ჯგუფში იყვნენ მასპინძლები - „ჩიპრანოსა" და „კალიარის" გუნდები, ასევე, ირანის 17-წლამდელთა ნაკრები.

დევდარიანის შეგირდებმა პირველივე დღეს ფურორი მოახდინეს და მასპინძელი „ჩიპრანო" 7:0 გაანადგურეს. **გიორგი ჭანტურიამ** („ბარსელონა") „პოკერი", ხოლო **დათი ხოჭოლავამ** („საბურთალო") დუბლი შეასრულა, ერთი გოლიც **ხუბუას** ანგარიშზეა.

მეორე დღეს ჩვენი ნაკრები „კალიარის" შეხვდა და კვლავ გაიმარჯვა, ამჯერად, მინიმალური ანგარიშით - 1:0. ამ შეხვედრაშიც თავი ჭანტურიამ გამოიჩინა. ორი მოგების წყალობით ქართველი იუნიორები ტურნირის მეოთხედფინალში გავიდნენ. ამიტომაც იყო, დევდარიანმა მესამე შეხვედრაში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები რომ დაასვენა. ამის შედეგი იყო მარცხი (0:3) ირანის ნაკრებთან.

მეოთხედფინალში ჩვენი ნაკრების მეტოქე პარაგვაის ცნობილი კლუბის „ნასიონალის" იუნიორები იყვნენ. აი, რა გვითხრა საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს" გენერალურმა დირექტორმა **კახა ჭუმბურიძემ**, რომელიც ჩვენს 17-წლამდელებს ტურნირზე ახლდა:

*„მატჩს მე და გიორგი ნემსაძე ვესწრებოდით. სტადიონზე მისი ძველი და კარგი ნაცნობი, იტალიელი მწვრთნელი დარიო ბონეტი ვნახეთ. გიორგი მასთან „დანდიდან" მეგობრობს. ბონეტი გაოცებული დარჩა იმით, რომ პირველი ტაიმის საწყის 20 წუთში ჩვენებმა ტექნიკურ პარაგვაელებს ბურთი „დაუმალეს". თუმცა საბოლოოდ, უკეთესმა ფიზიკურმა მომზადებამ დაგვალალატა და 0:1 წავაგეთ. ამის მიუხედავად, საუკეთესო ფეხბურთელად გიორგი ჭანტურია დაასახელეს. დამეთანხმებით, იშვიათი შემთხვევაა, როცა ამ პრიზით აჯილდოებენ მეოთხედფინალიდან გავარდნილი გუნდის მოთამაშეს".*

**მერაბ მამულაშვილი**

# ღვინიანიძეს ამართლებენ, იაშვილი უარყვეს



მათე ღვინიანიძე

**მათე ღვინიანიძის** სკანდალის შესახებ ახალი ისაა, რომ გერმანული მედია უფრო დამაჯერებლად ალაპარაკდა ქართველი ფეხბურთელის სასარგებლოდ. „დოიჩე ცაიტუნგის" ინფორმაციით მიუნხენის პოლიციას არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ ლეგიონერმა კუთვნილი შვებულება თავისი სურვილის მიხედვით გამოიყენოს ანუ გერმანია დატოვოს და სამშობლოში გამოემგზავროს. გერმანული მედია საქმის მალე დახურვას ვარაუდობს.

„მიუნხენ 1860-ის" 55 წლის მთავარმა მწვრთნელმა **ევალდ ლინენმა** „კიკერთან" საუბარში უარყო ხმები თითქოს ბავარიულ კლუბს **ალექსანდრე იაშვილის** შეძენა სურს. *„ხმები იმის შესახებ თითქოს ჩვენ ივიცა მაისტროვიჩით და ალექსანდრე იაშვილით ვართ დაინტერესებული არ შეეფერება სინამდვილეს"*, - განაცხადა მიუნხენელთა თავკაცმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ალექსანდრე იაშვილი

გავშვთა ფეხბურთი

# კომენტატორებს არ ივიწყებენ



ლეგენდარული ქართველი სპორტული კომენტატორების, **ეროსი მანჯგალაძისა** და **კოტე მახარაძის** სახელთანაა დაკავშირებული არა მხოლოდ სპორტული რეპორტაჟის, როგორც ჟანრის დახვეწა და მისი აყვანა უმაღლეს ხარისხში, არამედ სპორტის მთელი რიგი სახეობების, განსაკუთრებით ფეხბურთის პროპაგანდა საქართველოში.

კარგია, რომ სწორედ ჩვენი საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლები არ ივიწყებენ ეროსი მანჯგალაძისა და კოტე მახარაძის სახელს და დამსახურებას. მათ ხსოვნას ეძღვნება ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელიც თბილისის 57-ე საჯარო სკოლის (დირექტორი **სოსო ხუციშვილი**, ესთეტიკისა და სპორტის კათედრის გამგე **ვახტანგ ბაქანიძე**) თაოსნობით ტრადიციულად ტარდება. მასში ამჯერად 16 გუნდი მონაწილეობდა ორ ასაკობრივ ჯგუფში. 2000-2001 წლებში დაბადებულთა შორის ფინალში 57-ე სკოლის გუნდმა („ნორჩი დინამო") მოუგო ფრანგული კოლეჯის თანატოლებს - 6:2. 1998-1999 წლებში დაბადებულთა შორისაც 57-ე სკოლელებმა იმარჯვეს. ფინალში მათ კასპის რაიონის სოფელ ფერმის გუნდს სძლიეს - 9:2.

გამარჯვებულებს და პრიზიორებს, აგრეთვე ცალკეულ ნომინაციებში საუკეთესო ყმაწვილ ფეხბურთელებს გადაეცათ პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები.

**თენგიზ თომაშვილი**



# ქეცბაიას მატერაცი სურს

იტალიური „ტუტომერკატო" ავრცელებს ინფორმაციას, რომ **თემურ ქეცბაია** ცდილობს ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" მსოფლიოს ჩემპიონი მცველის, **მარკო მატერაცის** მიწვევას. თუმცა იტალიური წყარო იქვე აღნიშნავს, რომ მატერაცის კვლავ „ინტერში" დარჩენა სურს. მატერაცის კიდევ ერთი წელი აკავშირებს „ინტერთან", ის იმედოვნებს, რომ ახალ, ორწლიან კონტრაქტს შესთავაზებენ, თუმცა ჯერჯერობით - ამაოდ. უახლოეს დღეებში მატერაცი ხელმძღვანელობასთან ამ საკითხზე დაილაპარაკებს და თუ **ჟოზე მოურინიო** მის გაყიდვას გადაწყვეტს, „ოლიმპიაკოსი" მატერაცის მთხოვნელთა რიგში პირველი იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# საჯაიამ კვლავ გაიტანა

**ომარ თეთრაძის** „ანჟიმ" რუსეთის პირველი დივიზიონის მე-13 ტურში 3:0 დაამარცხა „ჩიტა". ქართველთა გუნდი 24 ქულით მეორე ადგილზეა და ლიდერ „ალანიას" 4 ქულით ჩამორჩება (დაღესტნურ კლუბს ერთით ნაკლები თამაში აქვს ჩატარებული). „ჩიტასთან" მატჩში 35-ე წუთზე თავი ქართველმა მცველმა **ედიკ საჯაიამ** გამოიჩინა, რომელმაც ანგარიში 2:0 გახადა. 28 წლის საჯაიას ამ სეზონში 10 მატჩში 2 გოლი აქვს გატანილი. ახლახან ომარ თეთრაძის გუნდმა უეფას ლიცენზია მიიღო, ასე რომ „ანჟის" ევროთასებზე ასპარეზობაც შეუძლია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩელსი


კარლო ანჩელოტი


პატო

# ანჩელოტი პატოსა და ჯონსონს ელის

„ჩელსის" კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** სანაკრებო შეკრებაზე გამგზავრებამდე, შემდეგ კი შვებულებაში გასვლამდე კლუბის გულშემატკივრებს ბოლოჯერ მიმართა „არისტოკრატთა" ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით. აი, რას აცხადებს ტერი:

*„პირველ რიგში, მსურს, დიდი მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს იმ უზარმაზარი მხარდაჭერისთვის, რასაც ფეხბურთელები მთელი სეზონის განმავლობაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდით. კარგად გვესმის, რამხელა მანძილის დაფარვა გიწევთ იმისთვის, რომ ყოველ მატჩზე ჩვენ გვერდით იყოთ, იქნება ეს პრემიერლიგის გასვლითი შეხვედრა თუ მატჩი ჩემპიონთა ლიგაში. ასევე მადლობას ვუხდი გუუს ჰიდინკს, ადამიანს, თებერვალში ვისი მოსვლის დღიდანაც ჩვენი გუნდი ძველებურად ბრწყინვალე ფორმაში ჩადგა. ის ჩვენთან წარმოუდგენლად რთულ დროს მოვიდა. მაშინ გვეჩვენებოდა, რომ გამარჯვება ყველა ფრონტზე ხელიდან გვეცლებოდა. სწორედ ამიტომ არის, რომ ინგლისის თასის მოგება და ლიგის ფინალიდან ერთ ნაბიჯში გაჩერება უდიდესი მიღწევაა. პრემიერლიგის მე-3 ადგილი „ჩელსისთვის" დამაკმაყოფილებელი ნამდვილად არ არის. მას შემდეგ, რაც გუნდი რომან აბრამოვიჩმა შეიძინა, ეს ყველაზე ცუდი შედეგია. დიახ, ინგლისის თასის მოგება ფანტასტიკურია, მაგრამ ეს ძალზე ცოტაა და მომავალში კიდევ უფრო ამბიციურ გეგმებს უნდა შევეჭიდოთ. მალე შვებულებაში გავალთ, კარგად დავისვენებთ და ახალი სეზონისთვის ძველებურად მოტივირებულები დავბრუნდებით ჩვენი ახალი მწვრთნელის, კარლო ანჩელოტის განკარგულებაში. ისიამოვნეთ ცხელი ზაფხულით, შევხვდებით მომავალ სეზონში".*

ინგლისურმა ტაბლოიდმა „სანმა" **კარლო ანჩელოტის** დანიშვნისთანავე დაიწყო მის სატრანსფერო გეგმებზე წერა. გამოცემა ჯერ კიდევ ორიოდე კვირის წინ ამტკიცებდა, კარლეტო დაინიშნება და „სტემფორდ ბრიჯზე" **დევიდ ბექჰემი** გადავაო, მაგრამ, ეს რა თქმა უნდა, არავინ დაიჯერა. ახლა კი „სანი" წერს, რომ იტალიელს „სან სიროდან" **ალეშანდრე პატოს** (ლონდონელები მზად არიან, 19 წლის ფეხბურთელში 30 მილიონი გირვანქა გადაიხადონ) და „პორტსმუთის" რიგებიდან **გლენ ჯონსონის** შეძენა უნდა. სხვა წყაროები ირწმუნებიან, ლონდონში **ანდრეა პირლო** გადაბარგდებაო. ცნობილია ის, რომ **რომან აბრამოვიჩი** საკუთარი სახსრებით ერთი, მაქსიმუმ ორი, მსხვილი ტრანსფერის დაფინანსებას აპირებს („გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, თანხა 110 მილიონ გირვანქას აღწევს), შესაბამისად, გაზეთები ხმების გავრცელებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან.

დაბოლოს, გაგაცნობთ ინფორმაციას, რომელიც გაზეთმა „გარდიანმა" გაავრცელა: ანჩელოტი ბონუსის სახით ზუსტად ერთ მილიონ გირვანქას მიიღებს, თუკი ის „ჩელსის" ჩემპიონთა ლიგას მოაგებინებს. იგივე გამოცემა ამტკიცებს, რომ იტალიელმა სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა და ამ დროში ის 19,5 მილიონ გირვანქას მოიხვეჭს.

ლივერპული

# სატრანსფერო ბიუჯეტი გაიზრდება?

„სანდი მირორის" ინფორმაციით, „ლივერპულის" მესაკუთრეები, **ტომ ჰიკსი** და **ჯორჯ ჯილეტი** მზად არიან, საზოგადოებას კლუბის სამომავლო განვითარების გეგმა გააცნონ. ამით ისინი, ერთი მხრივ, გულშემატკივართა ინტერესს დააკმაყოფილებენ, მეორე მხრივ კი, დაადასტურებენ, რომ „ლივერპულის" ერთგულები არიან და ამით მათ გულებს მოიგებენ. ბიზნესმენებმა უმთავრესი პრობლემა გადაწყვიტეს: მათ „როიალ ბენკ ოფ სკოტლენდისა" (დიდი ბრიტანეთი) და „ველს ფარგოს" (აშშ) წინაშე არსებული დავალიანების რეფინანსირებას მიაღწიეს. შესაბამისად, აღნიშნული უმწვავესი პრობლემა დღის წესრიგიდან მოიხსნა. ლაპარაკი იყო 350 მილიონი ფუნტი სტერლინგის სესხზე. მეტიც, ხსენებული ბანკების აუდიტორები ამჟამად „ლივერპულის" ფინანსურ დოკუმენტაციას სწავლობენ და თუკი ამას გაუმართლებელ რისკად არ მიიჩნევენ, შეიძლება რეკომენდაციაც კი გასცენ, რათა ბანკებმა ბიზნესმენების მიერ მოთხოვნილი ახალი სესხიც დააფინანსონ. თუკი სესხის გაცემაზე დადებითი პასუხი იქნება (რასაც „ლივერპულში" მაქსიმუმ ორ კვირაში ელიან), **რაფა ბენიტესი** ახალი ფეხბურთელების შესაძენად დამატებით სახსრებს მიიღებს. ჭორების თანახმად კი მისი უმთავრესი მიზანი **კარლოს ტევესის** „ენფილდზე" გადაბირებაა. ამჟამად ესპანელ სპეციალისტს არგენტინელის აგენტების მიერ მოთხოვნილი 25 მილიონი ფუნტი არ აქვს. როგორც ამბობენ, ჰიკსსა და ჯილეტს აღნიშნული გარიგების სრულყოფისთვის საკუთარი სახსრების გამოყოფა მოუწევთ.

ბიზნესმენები მზად არიან, „ლივერპულში" დამატებით ფულის ჩასადებად ამერიკაში თავიანთი სპორტული ბიზნესის გარკვეულ წილსაც კი გამოეთხოვონ. ამერიკული პრესა წერს, რომ ტომ ჰიკსი აგენტების დახმარებით ბეისბოლის კლუბ „ტეხას რეინჯერსის" აქციათა წილის გაყიდვას აპირებს, ჯილეტი კი ჰოკეის ნაციონალური ლიგის მრავალგზის ჩემპიონის, „მონრეალ კანადიენსის" აქციათა წილის გასხვისებას ლამობს. პარალელურად მშვენიერ ინფორმაციას ავრცელებს კლუბის მენეჯმენტი: გამოქვეყნდა ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლის შედეგები, სადაც ლაპარაკია: 1. „ლივერპულის" წლიური ბრუნვის რეკორდულ მაჩვენებელზე; 2. წმინდა მოგების 40 მილიონ გირვანქამდე გაზრდაზე. ყველაფრის გათვალისწინებით, მერსისაიდული კლუბის გულშემატკივარს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ამერიკელ მესაკუთრეებს სერიოზული ფინანსური პრობლემები აღარ შეექმნებათ. სწორედ ფინანსურ დოკუმენტაციაშია იმაზე ლაპარაკი, რომ გავრცელებული ხმების მიუხედავად, თითქოს ბიზნესმენებს გაკოტრება ემუქრებოდათ, მათ ბოლო ორი წლის განმავლობაში პირადი სახსრებიდან 80 მილიონი ფუნტი დახარჯეს კლუბის საკეთილდღეოდ.

„ლივერპულის" ბოსებთან დაახლოებული ადამიანები ირწმუნებიან, რომ კლუბის მესაკუთრეები სპონსორებს ეძებენ, რათა მათ ახალი არენის, „სტენლი პარკის" მშენებლობაში ფული დააბანდონ.


ტომ ჰიკსი (მარცხნივ) და ჯორჯ ჯილეტი

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ამბები

## ნანტმა მწვრთნელი გაუშვა

მას შემდეგ, რაც „ნანტი" საფრანგეთის უმაღლესი ლიგიდან გავარდა, მოხდა ის, რასაც დიდი ხანია ელოდნენ: ხელმძღვანელობამ დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა მთავარი მწვრთნელი **ელი ბოპი**. „როიტერის" კორესპონდენტი შეგვახსენებს, რომ ბრეტონული კლუბი ბოლო სამ წელიწადში ელიტას მეორედ დაემშვიდობა. ჯერჯერობით ფრანგული წყაროები ახალი მწვრთნელის სავარაუდო ვინაობასაც კი არ ასახელებენ.

## იოლმა ვან დერ ვაარტი მოისურვა

**მარტინ იოლი** არ გამორიცხავს, რომ „აიაქსმა" „რეალთან" მოლაპარაკებები წამოიწყოს **რაფაელ ვან დერ ვაარტის** ტრანსფერთან დაკავშირებით. ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელი „რეალში" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და ეს პრობლემა, არ გვგონია, **მანუელ პელეგრინის** დანიშვნის შემდეგ გადაიჭრას. მართალია, იოლსა და ვან დერ ვაარტს ერთად არასოდეს უმუშავიათ, მაგრამ როგორც ამბობენ, მათ მშვენიერი ურთიერთობა აქვთ. ჰოლანდიელი ამჟამინდელი მდგომარეობით ძალზე უკმაყოფილოა. რაფაელს ძირითადში ადგილი სჭირდება, რასაც „რეალში" მას ვერავინ ჰპირდება.

სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელის პრეტენზიებით დაიღალა და მზადაა, დაიწყოს მოლაპარაკება რაფაელის როგორც გაყიდვაზე, ისე მისი იჯარით გაშვებაზე. ორშაბათს აქეთ მსურველებმა უკვე იციან, ვისაც უნდა მიმართონ - „რეალში" ტრანსფერების საკითხებს ამიერიდან **ხორხე ვალდანო** კურირებს.

## ჰარგრივსი ახალ წლამდე ვერ ითამაშებს

„მანჩესტერ იუნაიტედის" სამედიცინო შტაბის ინფორმაციით, გუნდის 28 წლის ცენტრალური ნახევარმცველი **ოუენ ჰარგრივსი** ახალ წლამდე ვერ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ოუენს შარშან სექტემბრის შემდეგ აღარ უთამაშია. ფეხბურთელს ორივე მუხლი აწუხებდა, რის გამოც მან ურთულესი ოპერაცია გადაიტანა. სამწუხაროდ, სარეაბილიტაციო პერიოდი სასურველი ტემპით არ მიდის. შესაბამისად, ოუენი მინდორზე იმაზე გვიან დაბრუნდება, ვიდრე ექიმები ვარაუდობდნენ. თუმცა ისინი ამტკიცებენ, რომ საბოლოო გამოჯანმრთელების შემდეგ ფეხბურთელს მუხლები აღარასოდეს შეაწუხებს.

შეგახსენებთ, „მანიუმ" ჰარგრივსი 2007 წლის აგვისტოში „ბაიერნიდან" 20 მილიონ გირვანქად გადაიბირა, თუმცა ტრავმების გამო მან „ოლდ ტრეფორდზე" სულ 25 შეხვედრის ჩატარება მოახერხა.

## მანიუს რეკორდული მაჩვენებელი

„მანჩესტერ იუნაიტედმა" სეზონი რეკორდული მაჩვენებლით დაასრულა - გასული სეზონის განმავლობაში „ეშმაკებმა" 90 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოიმუშავეს საპრიზო თანხებითა და პლუს სატელევიზიო შემოსავლებით. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობით გამომუშავებულ ფულს, ის ზუსტად ორჯერ მეტია, ვიდრე სამი წლის წინ. გთავაზობთ კლუბების მიერ სეზონის განმავლობაში მიღებული შემოსავლების ცხრილს (მიმდევრობა ემთხვევა პრემიერლიგის საბოლოო ცხრილს):

**1. მანჩესტერ იუნაიტედი** - 90.9 მლნ; **2. ლივერპული** - 72.3; **3. ჩელსი** - 81.2; **4. არსენალი** - 73.4; **5. ევერტონი** - 49.5; **6. ასტონ ვილა** - 46.4; **7. ფულჰემი** - 41.6; **8. ტოტენჰემი** - 44.4; **9. ვესტ ჰემი** - 42.0; **10. მანჩესტერ სიტი** - 44.6; **11. უიგანი** - 38.1; **12. სტოკ სიტი** - 37.0; **13. ბოლტონი** - 36.2; **14. პორტსმუთი** - 35.8; **15. ბლექბერნი** - 35.5; **16. სანდერლენდი** - 34.0; **17. ჰალ სიტი** - 34.4; **18. ნიუკასლი** - 37.2; **19. მიდლსბრო** - 32.8; **20. ვესტ ბრომვიჩი** - 31.9.

## ვესტ ჰემს კაპიტანი ტოვებს

„ვესტ ჰემის" კაპიტანი, 31 წლის ლუკას ნილი „აპტონ პარკიდან" მიდის - ამ ინფორმაციას ბრიტანული საინფორმაციო სააგენტოები ავრცელებენ. არადა, ცნობილი იყო, რომ ავსტრალიელი ფეხბურთელი მზად იყო, კლუბთან ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გაეფორმებინა. საქმე ის არის, რომ „ჩაქუჩების" ხელმძღვანელობამ ფეხბურთელს არათუ გაუმჯობესებული, არამედ იმდენად გაუარესებული კონტრაქტი შესთავაზა, რომ ფეხბურთელმა თავი შეურაცხყოფილად მიიჩნია და მოლაპარაკება იმწუთასვე შეწყვიტა. გეტყვით, რომ ახალი ხელშეკრულების თანახმად ფეხბურთელის ანაზღაურება კვირაში 60 ათასი გირვანქიდან 30-მდე უნდა შემცირებულიყო. ბუნებრივია, ხელფასის განახევრებაზე ასე იოლად ვერავინ დათანხმდება. ლუკასის ხელშეკრულებას ვადა ივნისის ბოლოს გასდის და შესაბამისად, ის კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს.

ლუკას ნილი „ვესტ ჰემში" 2007 წლის იანვრიდან თამაშობდა. ამ პერიოდში მან 76 შეხვედრაში და 1 გოლის გატანა მოახერხა.

ნიუკასლი

# ჯორდებს ომანური კონსორციუმი ყიდულობს

## ოუენი ლივერპულში ბრუნდება, მას იქ ოჯახი ელის

ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **მაიკლ ოუენი** მოლაპარაკებას „ევერტონთან" აწარმოებს. შესაძლოა, სულ მალე მხარეთა შორის ხელშეკრულებაც გაფორმდეს. შეგახსენებთ, რომ 1-ლი ივლისიდან ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი ხდება. მაიკლს „სენტ ჯეიმს პარკზე" ბოლოს გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, კვირაში 120 ათას გირვანქას უხდიდნენ, მაგრამ მას შემდეგ თავდამსხმელმა თამაშს სერიოზულად მოუკლო და ბუნებრივია, ასეთ ანაზღაურებას მხოლოდ სახელის გამო არავინ გადაუხდის. „ევერტონი" მას კვირაში 50 ათასს სთავაზობს. მაიკლი მხოლოდ ხელფასს რომ გამოეკიდოს, ნამდვილად შეძლებს ბევრად მეტის დაბევებას, მაგრამ მას სხვა ჭიაღრღნის - 29 წლის ფეხბურთელს ამბიციურ კლუბში ადგილის დამკვიდრება, ფორმაში შესვლა და ინგლისის ნაკრებში დაბრუნება უნდა. შეგახსენებთ, რომ მაიკლს ნაკრებში ჩატარებულ 89 შეხვედრაში 40 გოლი აქვს გატანილი. სწორედ ამას უნდა მივაწეროთ, რომ ოუენი ხელფასის უპრეცედენტო შემცირებაზეც კი თანახმაა. რატომ „ევერტონი"? - ყველაფერი მარტივია, ლივერპულში მაიკლს უზარმაზარი სახლი აქვს და სწორედ ამ ქალაქში ცხოვრობს ფეხბურთელის მთელი ოჯახი.



მაიკ ოუენისა და ალან შირერის გზები მალე გაიყოფა

„გარდიანის" ცნობით, მავანი ომანური კომპანია მზადაა, ჩემპიონშიფში დაქვეითებული „ნიუკასლი" შეიძინოს და გარიგებაში 100 მილიონი გირვანქა გაიღოს. ამჟამინდელმა მესაკუთრემ, 46 წლის **მაიკ ეშლიმ** კლუბის გაყიდვის სურვილი რამდენიმე დღის წინ გამოთქვა. მისი თქმით, ფინანსური კრიზისის გამო მას „ნიუკასლის" ღირსეულად შენახვის სახსრები აღარ გააჩნია. აი, რას აცხადებს გავრცელებულ ინფორმაციაზე გუნდის მთავარი მწვრთნელი **ალან შირერი**: *„მაიკ ეშლისა და დერეკ ლამბიასს (აღმასრულებელი დირექტორი. რედ) რამდენიმე დღის წინ შევხვდი. ჩვენ ერთად განვიხილეთ კლუბში შექმნილი მდგომარეობა და დავსახეთ სამომავლო გეგმები. გარწმუნებთ, განსაკუთრებული მოთხოვნები არავისთვის წამიყენებია. უბრალოდ, მოვითხოვე ის პირობები, რაც, ჩემი აზრით, პრემიერლიგაში დასაბრუნებლად არის აუცილებელი.*

*„ნიუკასლის" გაყიდვაზე მაიკის გადაწყვეტილებისა მშვენივრად მესმის, რადგან ის კლუბის კრახში თავის დანაშაულს გრძნობს, ხვდება, რომ მისი ინტერესების დაკმაყოფილება აღარ შეუძლია. იმედი მაქვს, კვირის ბოლომდე ყველაფერი გაირკვევა".*

**შალვა ბიბილაშვილი**




გამოვიდა ივნისის ნომერი

სენსაციური ტრანსფერი

# დაუმმა კიოლნი მიატოვა და ფენერბაჰჩეს გაწვრთნის!

## კრისტოფისგან ასეთ ნაბიჯს არავინ ელოდა, კიოლნელები შოკში არიან



კრისტოფ დაუმმა კიოლნი მიატოვა

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, „კიოლნის" ხელმძღვანელები და გულშემატკივრები შოკირებულები არიან: გუნდის მთავარი მწვრთნელი **კრისტოფ დაუმი** ყველასათვის მოულოდნელად, სამწლიანი მუშაობის შემდეგ, „თხების" დამრიგებლის პოსტს ტოვებს! 55 წლის დაუმმა „კიოლნთან" უკვე გაწყვიტა კონტრაქტი, რომელსაც ვადა 2010 წლამდე ჰქონდა. გერმანულ კლუბთან გამოთხოვების მიზეზი კი ის არის, რომ დაუმი თურქეთში ბრუნდება, კერძოდ, „ფენერბაჰჩეში" ინიშნება!

დაუმის წასვლის შესახებ ინფორმაცია გერმანულ პრესაში გუშინ დილიდან გავრცელდა, მოგვიანებით კი, „კიოლნის" ვიცე-პრეზიდენტმა **იურგენ გლოვაშმა** გამოცემა „კიოლნერ ექსპრესს" კრისტოფის წასვლის ამბავი დაუდასტურა: *„დიახ, გუშინ, საღამოს 7 საათზე კრისტოფ დაუმმა პრეზიდენტ ვოლფგანგ ოვერატს დაურეკა და უთხრა, გუნდიდან მივდივარო, უფრო სწორად, უკვე წავედიო!"*

აღსანიშნავია, რომ დაუმი ერთხელ უკვე წვრთნიდა „ფენერბაჰჩეს" - 2003-დან 2006 წლამდე და ეს გუნდი ორჯერ გახადა თურქეთის ჩემპიონი. ამ სეზონში „ფენერმა" ევროპის ჩემპიონი მწვრთნელის, **ლუის არაგონესის** ხელში ძალიან ცუდად იასპარეზა და თურქეთის ჩემპიონატში მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა. ცნობილია, რომ „ფენერბაჰჩეს" ბოსებმა არაგონესი ორშაბათ საღამოს გაათავისუფლეს.

ამრიგად, „კიოლნში" დაუმის მეორე ერაც დასრულებულია. როგორც იცით, კრისტოფი „თხებს" 1986-90 წლებშიც წვრთნიდა. როგორც გაირკვა, დაუმს „კიოლნთან" გაფორმებულ კონტრაქტში ჩადებული ჰქონდა პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულების გაწყვეტა პირველ ივნისამდე შეეძლო. მან 31 მაისს, საღამოს ოვერატს დაურეკა და უთხრა, რომ კონტრაქტს წყვეტს! ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, კრისტოფი „ფენერბაჰჩეში" წელიწადში 3.5 მილიონ ევროს მიიღებს, „კიოლნში" კი მისი ხელფასი 2.4 მილიონს შეადგენდა. „თხების" გულშემატკივრები შოკში არიან და სხვადასხვა ინტერნეტფორუმში დაუმს უშვერი სიტყვებით ლანძღავენ. შეგახსენებთ, რომ 2006 წელს, როცა კრისტოფი „კიოლნის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, პირველ ვარჯიშს (ხაზს ვუსვამთ, ვარჯიშს!) 10 000 ფანი დაესწრო!

არადა, დაუმი „კიოლნში" დიდი გუნდის აშენებას აპირებდა. მან მიიღო სასურველი თავდამსხმელი **ლუკას პოდოლსკი**, რომელიც „ბაიერნიდან" „კიოლნში" გადადის და ძალიან აქებდა გუნდის ხელმძღვანელებს, ყველაფერს მისრულებენ, შესანიშნავად მუშაობენო. ირკვევა, რომ „ფენერბაჰჩეს" შეფები კრისტოფს თურქეთის ჩემპიონატში მოთამაშე საუკეთესო ფეხბურთელების ყიდვას შეჰპირდნენ. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში დაუმის „კიოლნმა" მე-12 ადგილი დაიკავა.

ამრიგად, ბუნდესლიგაში უკვე ძალიან ბევრი გუნდია უმწვრთნელოდ. ახალ სპეციალისტებს, „კიოლნთან" ერთად, მიონხენგლადბახის „ბორუსია" (**ჰანს მაიერი** წავიდა), „ჰამბურგი" (**მარტინ იოლი** „აიაქსში" წავიდა) და ფრანკფურტის „აინტრახტი" (**ფრიდჰელმ ფუნკელი** გააგდეს) ეძებენ. უმწვრთნელოდ დარჩნენ მეორე ბუნდესლიგაში გავარდნილი გუნდებიც, ბილეფელდის „არმინია" (**მიხაელ ფრონტცეკი** ბოლოსწინა ტურის შემდეგ დაიფრინეს) და „კოტბუსი" (**ბოიან პრაშნიკარი** ორშაბათს გააგდეს). დიდი შანსია, რომ დღესხვალ უმწვრთნელოდ დარჩეს ლევერკუზენის „ბაიერიც", სადაც **ბრუნო ლაბადიას** წასვლაზე უჭირავს თვალი. მას „ჰამბურგი" ეპატიჟება...

**გოტფრიდ ლენცი**

შალკე

# მაგათმა ფული უნდა დაზოგოს!

## გელზენკირხენელებმა დესპოტ ფელიქსს ტრანსფერებისთვის მხოლოდ 5 მილიონი გამოუყვეს

**ფელიქს მაგათმა** „ვოლფსბურგი" გერმანიის ჩემპიონი გახადა და ცხადია, ამ სენსაციურ წარმატებას კლუბის მთავარი სპონსორისა და მფლობელის, საავტომობილო კონცერნ „ფოლკსვაგენის" დახმარებით მიაღწია. მაგათმა „ვოლფსბურგში" ორი წელი იმუშავა და ამ ხნის განმავლობაში ახალ ფეხბურთელებში 60 მილიონი ევრო დახარჯა. ეს იმ დროს, როცა „მგლებმა" ამ ორ წელიწადში ტრანსფერებიდან მხოლოდ 15 მილიონი მიიღეს. ასე რომ, „დესპოტ ფელიქსს" სრულ ძალაუფლებასთან ერთად, „ვოლფსბურგში" ფულიც საკმაოდ ჰქონდა იმისათვის, რომ **ედინ ჯეკოსა** და **გრაფიტეს** დონის ფეხბურთელები ეყიდა. ახლა კი, მაგათი „შალკეს" მწვრთნელია და უკვე გარკვეულია, რომ გუნდისგან დიდ ფინანსურ მხარდაჭერას არ უნდა ელოდოს.

გადაწყვეტილია, რომ მაგათი „შალკეს" ფინანსებს ძალიან უნდა გაუფრთხილდეს და სანამ თითოეულ ცენტს დახარჯავს, კარგად უნდა დაფიქრდეს, ღირს თუ არა ამა თუ იმ ფეხბურთელის ყიდვა. როგორც იცით, გელზენკირხენული კლუბი ევროტურნირების საგზურის გარეშე დარჩა - „შალკე" მომავალ სეზონში არც ევროლიგაში ითამაშებს, ჩემპიონთა ლიგაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

*„ფაქტია, რომ ზაფხულის სატრანსფერო სეზონზე ბევრ ფულს ვერ დავხარჯავთ. „შალკეს" არ აქვს საკმარისი ფული იმისათვის, რომ დიდი ტრანსფერები განვახორციელოთ. ამთავითვე ცნობილია, რომ ვერ გადმოვიბირებ ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან „ჰერტას" ნახევარმცველი კაჩარი ან თურქეთში გადახვეწილი შესანიშნავი გამთამაშებელი ლინკოლნი,"* - ამბობს მაგათი „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში. ცნობილია, რომ მას „შალკეში" **ლინკოლნის** დაბრუნება და **კაჩარის** ყიდვაც სურდა.

გელზენკირხენული კლუბის ხელმძღვანელები ოფიციალურად ადასტურებენ, რომ ახალი ფეხბურთელებისთვის მაგათს მხოლოდ 5 მილიონ ევროს გამოუყოფენ, რაც იმას ნიშნავს, რომ „შალკე" ხარჯებს ძალიან ამცირებს. ეს არც არის გასაკვირი თუნდაც იმიტომ, რომ გუნდი ევროპის მიღმა დარჩა და შესაბამისად, შემოსავალიც მნიშვნელოვნად შეუმცირდა. მიუხედავად ამისა, მაგათს მაინც სერიოზული წარმატებები მოეთხოვება და აქ ერთი ფაქტორიც გასათვალისწინებელია: როდესაც „დესპოტი ფელიქსი" „ვოლფსბურგში" დაინიშნა, მაშინ ეს გუნდი ფაქტობრივად დაშლილი იყო და არც ერთი მაღალი კლასის მოთამაშეც კი არ ჰყავდა, „შალკე" კი მეტ-ნაკლებად დაკომპლექტებულია კარგი ფეხბურთელებით. ყოველ შემთხვევაში, „ხუმარების" დღევანდელი შემადგენლობა გაცილებით სჯობია „ვოლფსბურგის" ორი წლის წინანდელ შემადგენლობას.

ფაქტია, რომ ფელიქსი 5 მილიონად დიდ ფეხბურთელებს ვერ იყიდის. თუმცა მან უკვე რამდენიმე ტრანსფერი სრულყო. პრაღის „ბოჰემიანსიდან" 1.5 მილიონად 19 წლის ფეხბურთელი **იან მორავეკი** შეიძინა. აახენის „ალემანიას" ნიჭიერი თავდამსხმელის, **ლუის ჰოლტბის** (18 წლის) ტრანსფერი კი, რომელიც უკვე გადაწყვეტილია, მაგათს 3 მილიონი უჯდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამოყოფილი თანხა უკვე თითქმის დახარჯულია. ცხადია, ფელიქსს კიდევ შეუძლია ამა თუ იმ ფეხბურთელის შეძენა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მანამდე რომელიმე მოთამაშეს გაყიდის. გელზენკირხენული კლუბის სახელფასო ბიუჯეტი დღეისათვის 55 მილიონ ევროს შეადგენს და ცნობილია, რომ ის 47 მილიონამდე უნდა შემცირდეს.

სწორედ ამიტომ, გადაწყვეტილია, რომ „შალკე" აუცილებლად გაყიდის ჰოლანდიელ საყრდენ ნახევარმცველ **ორლანდო ენგელაარს**, რომელიც გუნდში ფრედ რუტენმა მოიყვანა და რომელმაც იმედები ვერ გაამართლა. 29 წლის ენგელაარი, რომელიც ჰოლანდიის ნაკრებშიც თამაშობს, შესაძლოა „ეინდჰოვენში" გადავიდეს. „შალკემ" აუცილებლად უნდა გაყიდოს **ალბერტ შტრაიტიც**, რომელიც გელზენკირხენულ გუნდს ასევე არ გამოადგა. შტრაიტი ბუნდესლიგის მეორე წრეში „ჰამბურგში" იყო განათხოვრებული, ახლა ისევ „შალკეში" დაბრუნდა და ახალ გუნდს ეძებს. გამორიცხულია, რომ „ხუმარებში" დარჩეს **კარლოს გროსმიულერიც** - 26 წლის ურუგვაელი ნახევარმცველი, რომელსაც „შალკესთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს.

ასე რომ, მაგათს შეეძლება, ენგელაარში, გროსმიულერსა და შტრაიტში მიღებული თანხა ისევ ახალ ფეხბურთელებში დახარჯოს. თუმცა გამორიცხული არც ისაა, რომ ფელიქსმა კიდევ რომელიმე ან რამდენიმე მოთამაშის გაყიდვა მოისურვოს. ერთ-ერთი კანდიდატი ბრაზილიელი მარჯვენა მცველი **რაფინიაა**. ფაქტია, რომ ენგელაარში მაგათი დაახლოებით 6 მილიონს მიიღებს, შტრაიტის სანაცვლოდ მინიმუმ 2.5 მილიონს, ხოლო გროსმიულერის ფასი კი მაქსიმუმ 3.5 მილიონია. ანუ, ლაპარაკია დაახლოებით 11-12 მილიონ ევროზე.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი

# რეალი? დიდი პატივია...


კაკა

ევროპული საფეხბურთო სეზონი დასრულდა და ისლა დაგვრჩენია, მთელი ყურადღება სატრანსფერო საკითხებისკენ მივმართოთ. იტალიაში უკვე არაერთი გარიგება შედგა, რომლებზეც ოპერატიულად გაცნობეთ. თუმცა, ჯერ ყველაფერი მხოლოდ იწყება და ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერები წინ გველის. ტრადიციულად, ძალიან დიდი ინტერესია **კაკას** მიმართ. ბრაზილიელს ყოველ წელს უწინასწარმეტყველებენ „მილანიდან" წასვლას, თუმცა ჯერჯერობით ის კვლავაც „როსონერის" ერთგულია. ბოლო დღეებში, კიდევ ერთხელ ამოტივტივდა ეს თემა და კიდევ ერთხელ ალაპარაკდნენ იმაზე, რომ რიკი მადრიდის „რეალში" გააგრძელებს კარიერას. სამეფო კლუბის სათავეში **ფლორენტინო პერესის** მისვლის შემდეგ, ამ საკითხის წინა პლანზე წამოწევა, გასაკვირი ნამდვილად არ გახლავთ. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ თუ თავად ფეხბურთელი არ მოისურვებს კლუბის გამოცვლას, თვით ყოვლისშემძლე პერესიც ვერაფერს გახდება, კაკა კი „როსონერიდან" წასვლას სწორედაც რომ არ აპირებს. აი, რა განაცხადა ბრაზილიელმა MILAN CHANNEL-თან საუბარში:

*„რატომ ვდუმვარ? იმიტომ, რომ არ მინდა ჩემს სიტყვებს ათასგვარი ინტერპრეტაცია მოუფიქრონ. საკმარისია ვთქვა, რომ „რეალის" ინტერესი ჩემთვის დიდი პატივია და უმალ მადრიდში მიშვებენ. დღესაც ვადასტურებ, რომ ასეთი კლუბების ყურადღება სასიამოვნოა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „მილანიდან" წასვლას ვაპირებდე. დღეს ჩემს საბოლოო პოზიციას დავაფიქსირებ და აღარ განვმეორდები. მინდა ვუთხრა „როსონერის" მილიონობით ტიფოზს, რომ მე უკვე გავაკეთე არჩევანი და ამ გუნდიდან არსად წამსვლელი არ ვარ. თუ სიმართლე გაინტერესებთ, ძალიან დიდი სურვილი მაქვს კარიერა სწორედ „მილანში" დავასრულო და იმედია, ამას მოვახერხებ კიდეც. ვერ ვხედავ საბაბს, რომ ნავსაყუდელი გამოვიცვალო და რომელიმე სხვა გუნდის ღირსების დასაცავად გავაგრძელო თამაში".*

კაკას **პაოლო მალდინისა** და **კარლო ანჩელოტიზეც** მოუხდა საუბარი: *„ამ ადამიანებთან ერთად დიდ წარმატებებს მივაღწიე და ეს არასდროს დამავიწყდება. მინდა მადლობა გადავუხადო მათ იმისთვის, რაც ჩემთვის გააკეთეს. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ყველაზე მეტი სწორედ ამ ადამიანებისგან ვისწავლე. კარლო ანჩელოტი უშუალო ინიციატორი გახლდათ ჩემი ტრანსფერის და ამისთვის, მისი მადლიერი ვიქნები სიცოცხლის ბოლომდე. პაოლოზე კი კარგის მეტი რა უნდა ვთქვა, იგი ფეხბურთელის ეტალონია და მისი შემხედვარე, სწავლობ როგორ უნდა მოიქცე მოედანზე, გასახდელში და საერთოდ, ყველგან. რა თქმა უნდა, ძალიან დასანანია, რომ მალდინი და ანჩელოტი გვტოვებენ, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს და ალბათ, ეს ასეც უნდა მომხდარიყო. რაც მთავარია, ჩვენ ერთად დიდ წარმატებებს მივაღწიეთ და ისინი გამარჯვებულები ტოვებენ მშობლიურ კლუბს".*

სულ ბოლოს, კაკამ განვლილი სეზონი შეაჯამა: *„კმაყოფილები ვერ ვიქნებით, რადგან გუნდი წელსაც ტიტულების გარეშე დარჩა. სეზონი არასტაბილურად განვვლეთ და ეს შედეგზეც აისახა. გვქონდა გამონათებები და ერთი ხანობა ჩემპიონატს სათავეშიც კი ვედექით, მაგრამ შემდეგ ჩავარდნა დაგვეწყო. იყო ბევრი პოზიტივიც და სწორედ ამაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ვფიქრობ, დევიდ ბექჰემი გუნდში კარგად ჩაეწერა და თუ კიდევ დაგვიბრუნდა, „მილანი" ამით მხოლოდ მოიგებს. რაც მთავარია, ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვეთ და ევროპული ფეხბურთის ელიტას დავუბრუნდით. მომავალ სეზონში, სკუდეტოსთან ერთად ჩვენი პრიორიტეტი სწორედ ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირი იქნება. ვფიქრობ, შეგვწევს ძალა, რომ ლიგის თასი კიდევ ერთხელ მოვიგოთ".*

**ლაშა ნიკლაური**

ამბები


ხოაკინ კაპაროსი

## ბილბაო ლიდერების გაყიდვას არ აპირებს

ბილბაოს „ატლეტიკის" მთავარი მწვრთნელი **ხოაკინ კაპაროსი** შეშფოთებული იყო პრესაში გავრცელებული ჭორების გამო, ბასკური კლუბის ხელმძღვანელობა გაჭირვების გამო ლიდერებს ყიდისო. კაპაროსის განცდები სავსებით ბუნებრივია, რადგან მომავალ წელს გარდა პრიმერა დივიზიონისა და ესპანეთის სამეფო თასისა, „ატლეტიკს" ევროპის ლიგის გათამაშებაში გამოსვლა მართებს. ბუნებრივია, წამყვანი ფეხბურთელების გარეშე ბასკები ყველა ფრონტზე განწირულები იქნებოდნენ. კლუბის პრეზიდენტმა **ფერნანდო გარსიამ** სპეციალური პრესკონფერენცია მოიწვია, სადაც კატეგორიულად უარყო მასმედიის საშუალებათა მიერ გავრცელებული ხმები და მათ უსაფუძვლო უწოდა. პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ ხელმძღვანელობა ლიდერებთან განშორებას არც კი ფიქრობს. ასე რომ, **ფერნანდო ლორენტე**, **ანდონი ირაოლა**, **ფერნანდო ამორებიეტა**, **ხაბი მარტინესი**, **ფრან იესტე** და სხვები „სან მამესზე" დარჩებიან. კლუბმა მხოლოდ იმ ფეხბურთელების გაყიდვაზე შეიძლება იფიქროს, რომელთაც სათანადო სათამაშო პრაქტიკა მთელი სეზონის განმავლობაში არ ჰქონიათ. ლაპარაკია **უსტრაიცის**, **ხოსება დელ ოლმოს**, **ინიაკი მუნიოსისა** და **კარლოს გურპეგის** შესახებ.

სენიორ გარსიამ განაცხადა, რომ კლუბს განზრახული აქვს „ნუმანსიას" 29 წლის ნახევარმცველის **ხოსე ბარკეროსა** და „სოსიედადის" 25 წლის თავდამსხმელის **ინიეგო დიას დე სერიოს** შეძენა.

## ვილიარეალი ვალვერდემ ჩაიბარა

„ლელომ" გუშინდელ ნომერშივე გამცნოთ, რომ მადრიდის „რეალმა" მთავარ მწვრთნელად ჩილელი სპეციალისტი **მანუელ პელეგრინი** დანიშნა. სამხრეთამერიკელი კი, მოგეხსენებათ, იქამდე „ვილიარეალში" მუშაობდა. დამრიგებლის გარეშე დარჩენილმა კლუბმა ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობა ხანგრძლივი ფიქრის გარეშე დაასახელა. გუნდს ბილბაოს „ატლეტიკისა" (2002/05) და „ესპანიოლის" (2006/08) ყოფილი დამრიგებელი **ერნესტო ვალვერდე** ჩაიბარებს. ინფორმაცია გუშინ დილასვე დაადასტურა კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა. მხარეთა შორის კონტრაქტი 1+1 სისტემით გაფორმდა. ახალი მწვრთნელის პრეზენტაცია დღეს შედგება.

შეგახსენებთ, რომ 45 წლის ბასკი სპეციალისტის ბოლო სამუშაო ადგილი „ოლიმპიაკოსი" იყო, სადაც ის ჩვენებურმა **თემურ ქეცბაიამ** შეცვალა.

**შალვა ბიბილაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# პელისიერის ნაპოლიში?

„კიევოს" თავდამსხმელმა **სერჯო პელისიერმა** სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა და სხვადასხვა კლუბის ინტერესი დაიმსახურა. თუ ჟურნალისტებს ვენდობით, სერჯოს გადასაბირებლად ყველაზე მეტად „ნაპოლი" აქტიურობს. სამხრეთელები კლუბის გაძლიერებას სერიოზულად გეგმავენ და სატრანსფერო ბაზარზე ერთობ აქტიურობენ. ნეაპოლელთა პრეზიდენტმა, **დე ლაურენტისმა** უკვე გაჩარხა ერთი ტრანსფერი და „უდინეზედან" **ფაბიო კვალიარელას** გადაბირება მოახერხა. როგორც ჩანს, ახლა პერლისიერზე გადაერთო და უახლოეს დღეებში, ამ მიმართულებით ნაბიჯებსაც გადადგამს. გუშინ, ვერონულ რადიოსთან საუბრისას, პელისიერმა სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. მოვუსმინოთ 30 წლის თავდამსხმელს:

*„მართლაც კარგი სეზონი გამომივიდა, ბედნიერი ვარ, რომ ჩემი თამაშით „კიევოს" ტიფოზებს სიხარული მივანიჭე. რაც შეეხება, ჩემს სატრანსფერო გეგმებს, დღეს ამ საკითხზე ბევრს ვერაფერს გეტყვით. მეც ვკითხულობ ინფორმაციებს იმის შესახებ, თითქოს ჩემით რამდენიმე კლუბი იყოს დაინტერესებული. ამის გაგება ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ჯერ პირადად ჩემთვის არავის დაურეკავს. „ნაპოლის" ინტერესის შესახებაც გავიგე, მაგრამ ხომ გეუბნებით, პირად კონტაქტზე არავინ გამოსულა. შესაძლოა, კლუბებს შორის იყოს გარკვეული მოლაპარაკებები, მაგრამ ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში, მეც ჩამაყენებდნენ საქმის კურსში. ისე,*


სერჯო პელისიერი

*„ნაპოლის" მიმართ დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი, ეს არის გუნდი დიდი ტრადიციებით. ჩემთვის დიდი გამოწვევა იქნებოდა ამ გუნდის ურიცხვი გულშემატკივრისთვის თამაში. თანაც, „ნაპოლიში" მომავალი სეზონიდან ეზეკილ ლავეცისა და ფაბიო კვალიარელას შემტევი ტანდემი იასპარეზებს. მათ მხარდამხარ თამაში ერთი სიამოვნება იქნებოდა. თუმცა, ისე არ გამიგოთ, თითქოს „კიევოდან" წასვლაზე ვოცნებობდე - არავითარ შემთხვევაში, აქ თავს კარგად ვგრძნობ და თუ ვერონაში მომიწია დარჩენამ, ნამდვილად არ დავიჩივლებ".*

**ლაშა ნიკლაური**




ჯენოა

# პრეციოზის ამბიციები

„ჯენოამ“ ან უკვე გასრულებული სეზონი დიდებულად განვლო და გულშემატკივრებს თავი შესანიშნავი ფეხბურთით დაამახსოვრა. მოკრძალებული შესაძლებლობების გუნდს სულ ცოტა დააკლდა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოსახვედრად. თუმცა, გენუური კლუბის ტიფოზებისთვის ევროპის ლიგის საგზურიც კარგი საჩუქარია. ასეთი შედეგის ფონზე, „ჯენოას“ მესვეურებს ამბიცია მოეძალათ და გუნდის კიდევ უფრო გაძლიერებაზე სერიოზულად დაიწყეს ფიქრი. თუმცა, არა მარტო ფიქრი, მოქმედებაც.

**დიეგო მილიტოს** და **ტიაგო მოტას** გასხვისება ამ გეგმის ნაწილად ნამდვილად ვერ გამოდგება, მაგრამ ამ შემთხვევაში, გენუური კლუბის მესვეურები მართლაც უძლურნი იყვნენ. მილიტოს და მოტას თავად სურდათ გუნდის გამოცვლა და მათ ძალით დაკავებას, ნამდვილად სჯობდა სარფიანად გაეყიდათ. დანაკლისი დიდია, თუმცა არა შეუვსებელი. რამდენიმე დღის წინ, „ჯენოამ“ **ენრან კრესპო** გადაიბირა. არგენტინელი შესაძლოა ასაკშია, მაგრამ იტალიელი ჟურნალისტების ღრმა რწმენით, მას კიდევ შეუძლია რამდენიმე სეზონის უმაღლეს დონეზე ჩატარება. დღე-დღეზე ხელშეკრულება გაფორმდება კიდევ ერთ ვარსკვლავთან, რომელიც ასევე „ინტერიდან“ მიაშურებს გენუას. ლაპარაკია პორტუგალიელ **რიკარდო კვარეშმაზე**. ამ ყველაფერში, „როსობლუს“ პრეზიდენტი, **ენრიკო პრეციოზი** უკეთ გაგარკვევთ:

„კრესპოს ტრანსფერმა ძალიან გაგვახარა, თუმცა ამით დაკმაყოფილებას ნამდვილად არ ვაპირებთ. დასრულების სტადიაშია მოლაპარაკებები რიკარდო კვარეშმასთან დაკავშირებით. პირენეელში ათ მილიონ ევროს გადავიხდით და მისი სატრანსფერო უფლებების სანახევრო მფლობელები გავხდებით. რაც მთავარია, რიკარდო ჩვენს გუნდში განაგრძობს კარიერას. ეს ამბავი ძალიან ახარებს ჯან პიერო გასპერინის, ვინაც ყოველთვის დიდი დამფასებელი იყო გარემარბების. როდესაც ვუთხარი, რომ პორტუგალიელი ჩვენთან გადმოდიოდა, გადამეხვია და მადლობა გადამიხადა. არ გეგონოთ, ამით მთავრდებოდეს ჩვენი გეგმები. გვსურს ორი კვალიფიციური ნახევარმცველი შევიძინოთ და მოედნის ცენტრი საგულდაგულოდ გავამაგროთ. მოტას წასვლის შემდეგ, ამის აუცილებლობა ნათლად გამოიკვეთა. მძლავრი ნახევარდაცვის გარეშე, დიდ მიზნებს ნამდვილად ვერ შევეჭიდებით. მადლობა ღმერთს, ჩვენი საქმე კარგად მიდის და კიდევ უფრო გაძლიერებისთვის ფინანსური რესურსი მოგვეპოვება“.

„გაძეტა დელლო სპორტი“ „ჯენოასთან“ დაკავშირებით კიდევ ერთ ინფორმაციას ავრცელებს. ენრიკო პრეციოზი დიდად ყოფილა დაინტერესებული **რობერტ აკვაფრესკას** გადაბირებით. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა თავდამსხმელი „კალიარის“ ღირსებას იცავს და გუნდის აშკარა ლიდერია. 21 წლის ფეხბურთელის ყიდვა სხვა გუნდებსაც სურთ და გენუელებს დიდ კონკურენციაში მოუწევთ მიზნის მიღწევა. თუ „გაძეტას“ ვენდობით, რობერტის შეძენა „ინტერს“, „იუვენტუსს“, „ლაციოს“ და „პალერმოს“ სწადიათ.

**ლაშა ნიკლაური**



ენრიკო პრეციოზი

ამბები

## გარეთ ბერი სიტიში გადავიდა

"ასტონ ვილას" კაპიტანი გარეთ ბერი მომავალ წელს თავისუფალი აგენტი ხდება. შესაბამისად, ბირმინგემელებს ფეხბურთელის წელს გაყიდვა სურთ, რათა ის სულაც უფასოდ არ დაკარგონ. "მანჩესტერ სიტიმ" "ვილას" სარფიანი წინადადებით მიმართა – 12 მილიონი გირვანქა 28 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ. გარეთი გუშინ საღამოს მანჩესტერში ჩავიდა და სამედიცინო შემოწმება გაიარა. თუკი სასწაული არ მოხდა, ფეხბურთელი კარიერას სწორედ "ქალაქელთა" რიგებში გააგრძელებს.

P.S. როგორც მოგვიანებით დადასტურდა, ტრანსფერი შედგა და ფეხბურთელმა "სიტისთან" 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

## ადრიანო ისევ ზარმაცობს

"ფლამენგოს" თავდამსხმელი **ადრიანო** "ინტერმა" იმიტომ დაითხოვა, რომ ეს უკანასკნელი ხშირად აგვიანებდა ვარჯიშებზე, ხანდახან კი სრულიად უმიზეზოდ აცდენდა. როგორც ჩანს, მისი საშველი არ არსებობს – "როიტერის" ინფორმაციით, ფეხბურთელმა კლუბში დებიუტიდან სამიოდე დღეში ზუსტად ის გააკეთა, რის გამოც მილანელებს რამდენჯერმე ჰყავთ დასჯილი. "ფლამენგოს" თავკაც **კუკას** თქმით, ადრიანოს დასვენება დაუგეგმავი სიურპრიზი აღმოჩნდა და თუ ის რაიმე სერიოზულ მიზეზს არ დაასახელებს, კლუბს მისი სერიოზულად დასჯა მოუწევს.

**შალვა ბიბილაშვილი**

გოთფრიდ ლენცი წარმოგიდგენთ

# დრიბლინგი ევროპაში

ფეხბურთის ბიბლიოთეკა




# პაველ, როგორც ფორესტ გამპი

**იტალიაში სამმა დიდმა ფეხბურთელმა ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა, დიდი მწვრთნელი კი ერთ დიქტატორს გაეყარა და მეორეს შეეყარა; გუუს ჰიდინკს ცეკვა აღარ ეხერხება, მაიკ ეშლის კი ბიზნესი ჩაუვარდა; საფრანგეთში ისტორია განმეორდა, ესპანეთი კი „რეალის“ თავიდან დაბადებას ელის...**

**თქვენ წინაშეა „ლელოს“ დიდი დრიბლინგი ევროპაში.**

## სერია A
### ჩაო მალდინი, ჩაო ნედვედ, ჩაო ფიგუ...

იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში გუნდებმა „გოლუხვობა“ გამოიჩინეს, გაიტანეს რა 42 გოლი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სეზონში იტალიაში სულ 988 გოლი გავიდა. ეს კი საუკეთესო შედეგია მას შემდეგ, რაც სერია A 20-გუნდიანი გახდა. იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორი კი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** გახდა 25 გოლით. მეორე ადგილზე **დიეგო მილიტო** გავიდა (ჯენოა, 24 გოლი), რომელიც მომავალი სეზონიდან „ინტერში“ სწორედ იბრას მხარდამხარ ითამაშებს, მესამეზე კი **მარკო დი ვაიოა**, რომელმაც ასევე 24 გოლი გაიტანა და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ მის გუნდ „ბოლონიას“ ამ სეზონში სულ 43 გოლი დაუგროვდა. ასე რომ, დი ვაიომ ფაქტობრივად მარტომ იხსნა „ბოლონია“ გავარდნისგან.

იმის გამო, რომ ბოლო ტურის წინ ფაქტობრივად ყველაფერი გარკვეული იყო, ბოლო დღის მთავარი თემა სამი დიდი ფეხბურთელის გამომშვიდობება გახლდათ. „მილანი“ დიდ **პაოლო მალდინის** გამოეთხოვა, რომელიც „როსონერის“ 24 წლის განმავლობაში ემსახურა და კარიერა 40 წლის ასაკში დაასრულა, ტურინი კი გენიალურ ჩეხ **პაველ ნედვედს** დაემშვიდობა, რომელმაც კარიერის ბოლო რვა წელი „იუვენტუსს“ მიუძღვნა. ნედვედი „იუვეს“ ცრემლებით გამოეთხოვა, გულშემატკივრებს კი ასე მიმართა: *„უკვე 37 წლის ვარ და ფაქტია, რომ მთელი ცხოვრება ვერ ვირბენ ისე, როგორც აქამდე დავრბოდი. მოვიდა დრო, რომ სირბილი დავასრულო!* - შენ გენიალური მორბენალი იყავი, პაველ!"

ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა ლეგენდარულმა პორტუგალიელმა **ლუიშ ფიგუმაც**, ოღონდ მისი 20-წლიანი კარიერის მთავარი ამბები იტალიას ნამდვილად არ უკავშირდება, თუმცა ფეხბურთს სწორედ იტალიიდან დაემშვიდობა. *„ფიგუ მოედანს ტოვებს, ფიგუ ფეხბურთს ტოვებს!“* - თქვა ერთ-ერთმა იტალიელმა კომენტატორმა „ინტერისა“ და „ატალანტას“ მატჩის შემდეგ, მეორე კომენტატორმა კი დასძინა: *„სამაგიეროდ, ცოლს არ მიატოვებს. მისი ცოლი იმდენად მაგარი ქალია, რომ არასდროს მიატოვებს!“*

მალდინისთან ერთად, „მილანს“ მომავალ სეზონში აღარ ეყოლება **კარლო ანჩელოტიც**. რვაწლიანი მუშაობის შემდეგ, კარლეტო „როსონერის“ დაემშვიდობა და გაისად „ჩელსის“ გაწვრთნის. რაც შეეხება ძალაუფლების კომპეტენციას, ანჩელოტის ლონდონურ კლუბში განსხვავებული ვითარება ნამდვილად არ დახვდება, რადგან კარლეტო ერთი დიქტატორისგან მეორესთან მიდის - ტოვებს **სილვიო ბერლუსკონის** და ხდება **რომან აბრამოვიჩის** ხელქვეითი. როგორც გაირკვა, ანჩელოტის „ჩელსის“ ბოსებთან მოლაპარაკებების დროს თარჯიმნობას **ანდრეი შევჩენკო** უწევდა. კიდევ კარგი, რომ ეს ფუნქცია მაინც მოუძებნეს ფეხბურთელს, რომელიც „მილანში“ ფაქტობრივად ტყუილად დაბრუნდა: შევამ იტალიის ჩემპიონატში სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ 2 მატჩი ჩაატარა და არც ერთი გოლი არ გაუტანია.

## პრემიერლიგა
### ბექჰემმა, ანჩელოტი ინგლისურად ორ სიტყვას ვერ აბამსო

„ჩელსიმ“ ასოციაციის თასი მოიგო და **მიხაელ ბალაკი** ამბობს, **გუუს ჰიდინკმა** მატჩის შემდეგ, გასახდელში ტანისამოსი სამჯერ გამოიცვალაო. გამოიცვლიდა თუ არა, ფეხბურთელები მაშინვე შამპანურის შხაპს მიაღებინებდნენ! ჰოლანდიელი მწვრთნელი ლონდონურ კლუბს ემშვიდობება და რუსეთში ბრუნდება. მატჩისშემდგომ ბანკეტზე **აბრამოვიჩმა** და ჰიდინკმა თურმე აფრიკული ჰანგების ფონზე ერთად იცეკვეს. *„მეგონა, რომ კარგად ვცეკვავდი, მაგრამ როგორც გამოჩნდა, ასე არ ყოფილა. დავბერდი და სხეულს ისე ველარ ვამოძრავებ, როგორც ახალგაზრდობაში!“* - ეს ჰიდინკის კომენტარია. სამაგიეროდ, აბრამოვიჩს უცეკვია შესანიშნავად.

კვირას გამოცემა „სანდი თაიმსი“ წერდა, ლონდონში **ლუიშ ფელიპე სკოლარი** ყველას უყვარდა, მას ყველა აფასებდა, მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ სკოლარის ვერავინ ვერაფერს უგებდაო. ჩვენი ინგლისელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ დიდი შანსია, ანჩელოტისაც ასეთი სახის პრობლემა შეექმნას. ხსენებული გამოცემა წერს, **დევიდ ბექჰემმა** თანამემამულეებს, **ფრენკ ლემპარდს**, **ჯო კოულს** და **ჯონ ტერის** უთხრა, ანჩელოტი ინგლისურის გაგებაში არ არისო. როდესაც ბექზის დარი დიდი ლინგვისტი ამას იტყვის, ნამდვილად დაეჯერება...

ორი წლის წინათ, **მაიკ ეშლიმ** „ნიუკასლ იუნაიტედი“ 134 მილიონ ფუნტად შეიძინა და მერე ამ გუნდს 110 მილიონი დაახარჯა. მას მერე, რაც „ნიუკასლი“ პრემიერლიგიდან გავარდა, ეშლი გუნდს სასწრაფოდ ყიდის - მიუხედავად იმისა, რომ დღეს „ნიუკასლის“ ფასი მაქსიმუმ 80 მილიონი ფუნტია. *„ძალიან ვნანობ, რომ „ნიუკასლი“ ვიყიდე,* - ამბობს ეშლი, - *არასდროს მითქვამს, რომ საფეხბურთო ექსპერტი ვარ, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაფერი გავაკეთე, რათა დიდი გუნდი ამეშენებინა. არც ძალ-ღონე დავიშურე და არც ფინანსები, მაგრამ არაფერი გამოვიდა.“* ცხადია მან „ნიუკასლის“ ყიდვით დიდი წაგება ნახა...

## პრიმერა დივიზიონი
### ფორლანი დიდების დარბაზში

**დიეგო ფორლანი** თავდამსხმელების იმ უიშვიათეს და დიდად დაფასებულ სიას განეკუთვნება, რომლებსაც პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირის წოდება ორჯერ აქვთ მოპოვებული. ფორლანის გარდა, სხვადასხვა დროს ასეთი პატივი წილად ხვდათ **რონალდოს**, **კემპესს**, **ამანსიოს** და **რაულს**. ამ სეზონში, ურუგვაელმა თავდამსხმელმა 33 მატჩში 32 გოლის გატანა შეძლო. უკანასკნელი ფორვარდი, რომელმაც 30-გოლიანი ზღვარი გადალახა, **ხუან ანტონიო პიცი** გახლდათ, რომელმაც 1995/96 წლების სეზონში, „ტენერიფეს“ შემადგენლობაში 31 გოლი გაიტანა. ბარემ გაგახსენებთ, რომ იმ სეზონის შემდეგ პიცი „ბარსელონამ“ იყიდა და ესპანეთის ნაკრებშიც უხმეს...

მადრიდის „რეალმა“ კი სეზონის ბოლო მატჩიც წააგო - 1:2 გავარდნის კანდიდატ „ოსასუნასთან“. თუმცა „სამეფო გუნდში“ უკვე მომავალზე ფიქრობენ და აგერ, გუნდის ახალ პრეზიდენტად **ფლორენტინო პერესი** აირჩიეს, რომელსაც არჩევნებში კონკურენტი არ ჰყოლია. ამრიგად, სამწლიანი პაუზის შემდეგ დიდი პერესი „რეალში“ ბრუნდება. ფაქტია, რომ ამ სამი წლის განმავლობაში „რეალმა“ დიდი დეპრესიები გადაიტანა. პერესი მადრიდში ახალი მწვრთნელის, ახალი სპორტული დირექტორის და 5-6 ფეხბურთელის მიყვანას გეგმავს.

## ლიგა 1
### ბორდომ დაიმსახურა!

ათწლიანი პაუზის შემდეგ, „ბორდო“ საფრანგეთის ჩემპიონი გახდა! ჟირონდელებმა ბოლო 11 თამაში მოიგეს (რეკორდი) და დამსახურებული ჩემპიონები არიან. საინტერესოა ისიც, რომ პოდიუმი 10 წლის წინათაც ზუსტად ასე გამოიყურებოდა: პირველ ადგილზე „ბორდო“, მეორეზე „მარსელი“, მესამეზე კი „ლიონი“.

შარშან პსჟ ძლივძლივობით გადაურჩა პირველი ლიგიდან გავარდნას და წელს, საკმაოდ დიდხანს, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ პარიზელები ძალიან კარგად ითამაშებდნენ. მაგრამ პსჟ-მ ბოლო ექვსი თამაშიდან მხოლოდ ერთი მოიგო, რის გამოც ევროლიგის საგზურიც კი ვერ მოიპოვა. შესაბამისად, პსჟ ძლიერ ფეხბურთელებს ვერ იყიდის და გაისადაც საშუალო დონის გუნდი იქნება. **კლოდ მაკელელე** ახალ ავტობიოგრაფიულ წიგნში პარიზული კლუბის შეფებს ძალიან მაგრად აკრიტიკებს.

# მიშელ პლატინი
# ცხოვრება, როგორც მატჩი




*(გაგრძელება)*

შოზაზე **ანიელი**, როგორც ჩანს, დაიღალა გაუთავებელი ჭორებისა და უაზრო ლაპარაკისგან, შინ მესტუმრა და განმიცხადა: *„მეტი გოლის გატანაა საჭირო"*.

და მაინც, იმ რთულ პერიოდში მჯეროდა, რომ საბოლოოდ, გამარჯვება მე დამრჩებოდა. რაც უნდა ყოფილიყო, „საფეხბურთო ქვეყანაში" ვიმყოფებოდი, მსოფლიოს ერთ-ერთი დიადი კლუბის ოჯახში, იმ მოთამაშეების გვერდით, რომლებსაც თავისუფლად შეეძლოთ მოეპოვებინათ ევროპის ჩემპიონთა თასი. იმ პერიოდში კლუბიდან წასვლა უდიდესი შეცდომა იქნებოდა. თუ ჩემი თამაში არ გაუმჯობესდებოდა, შესაძლოა, ჩემთვის კარისკენ მიეთითებინათ. ასეთ რისკზე მივდიოდი. მაგრამ გუნდში დავრჩი და ისიც კარგად ვიცოდი, წინ რა მელოდა... დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი დღე დადგებოდა. ხომ მეუბნებოდა მამაჩემი **ალდო**, რომ ბავშვობაში კეთილი საფეხბურთო ფერიები დამტრიალებდნენ თავს.

და აი, თებერვლის დასაწყისში, როგორც იქნა ჩემი დღეც დადგა. „ფიორენტინას" განადგურების (3:0) შემდეგ, ჩვენ ისევ მოვიპოვეთ პუბლიკის კეთილგანწყობა. პრესამ კი, რომელსაც ამ ქვეყანაში ყველაზე სწრაფად მიაქვს თავისი სიტყვები უკან და საკუთარ თავს ეწინააღმდეგება ისე, რომ ამ მხრივ არანაირ კომპლექსს არ განიცდის, მაშინვე მომიძღვნა დითირამბები. „გაძეტა დელო სპორტმა" ყველაზე მაღალი შეფასება დამიწერა - 7.5 ათბალიანი სისტემით და ამას სასიამოვნო სათაურიც მოაყოლა: „თამაშის ბრწყინვალე წარმმართველი" და იქვე კომენტარი: *„ფრანგის ყოველთვის ზუსტი და დროული გრძელი პასები „იუვეს" შესანიშნავი წარმატების საფუძველია"*. როგორც იქნა, წარმატება მეღირსა. უკვე დროც იყო.

13 მარტს, „რომასთან" მატჩის 88-ე წუთზე ჯარიმით გატანილი გამარჯვების გოლით „იუვე" სამი ქულით დავაწინაურე იტალიის ჩემპიონატში. ეს წარმატება ჩემი ძველი ნაცნობის ილიოს რესტორან „დე მონდიში" აღვნიშნე რიზოტით და ღვინო „ბაროლოთი"...

16 მარტს, ოთხშაბათს „ასტონ ვილასთან" ჩემპიონთა ლიგის პირველი მატჩი გაიმართა. იმ შეხვედრის ანალიზი ტრანსალპური პრესის ისტორიაში სამუდამოდ დარჩება. ეიფორიაში მყოფმა ჟურნალისტებმა 10 შესაძლებლიდან 9 ქულა მომანიჭეს. ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა „შავ-თეთრების" ისტორიაში! ტურინულმა გაზეთმა „ტუტოსპორტმა" სათაურად გამოიტანა: „ფანტასტიკური პლატინი - „იუვენტუსის" სუპერვარსკვლავი!" მან ასეთი კომენტარი გაუკეთა შეხვედრას: *„იუვე" არასოდეს ყოფილა ასეთი დიადი. პროფესორი პლატინი კათედრაზე ავიდა და „ასტონ ვილამ" მოკრძალებულად დახარა თავი მის წინაშე..." „პლატინი ისე თამაშობდა, თითქოს არაამქვეყნიური ცივილიზაციის წარმომადგენელი იყო. დღეისთვის ის მსოფლიოს ფეხბურთის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია..."* მაგრამ დიდხანს გაგრძელდება ასე? ამაზე პასუხი მხოლოდ ჩემმა ტრავმირებულმა ფეხებმა იცოდნენ.

პრესა, რომელიც ენერგიულად მაქებდა, იმასაც კი წერდა, რომ საჭირო იყო ჩემი „ნატურალიზაცია" და იტალიის მოქალაქედ გამოცხადება. ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. **ფრანჩესკო** ტყუილად არ იბრძოდა იმისთვის, რომ ჩვენ ფრანგები გავმხდარიყავით: რა თქმა უნდა, სამუდამოდ ფრანგად დავრჩები.

მაისის დასაწყისში 18 გოლი დამიგროვდა და ორი ბურთით ვუსწრებდი იტალიური ფეხბურთის საუკეთესო სნაიპერ **ალტობელის**. ვგრძნობდი, რომ ბოლომდე მოვერგე გუნდს. და, როგორც იქნა, იტალიური ენაც ავითვისე. როსი და მე უახლოესი მეგობრები გავხდით. ჩემი 11-წლიანი საფეხბურთო მოღვაწეობის თავზე, იდეალურ კლუბს მივაგენი. ახლა, უკვე ზუსტად ვიცოდი, რომ „იუვესთან" კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ, იმ შემთხვევაშიც კი თუ კონტრაქტს არ გამიგრძელებდნენ, რომელიმე ფრანგულ კლუბში სათამაშოდ არ გადავიდოდი...

1983 წლის 25 მაისი, ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალი ათენში. იმ დღეს გერმანული „ჰამბურგი" უნდა დაგვემარცხებინა - ჯიუტი და ხისტი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი. 50 ათასი ტიფოზი ტურისტულ სააგენტოებთან რიგში დგას. მათ 800 ფრანკის ღირებულების საგზურებს სთავაზობენ. ყველა ჩვენგანისთვის ეს სეზონის დასასრულია.

ევროპის ჩემპიონთა თასი. დადგა ღვთაებრივი მომენტი, როცა ეს ჯილდო უნდა მოვიგოთ. 1984 წელს, თუ ტურინულმა კლუბმა კონტრაქტი არ გამიგრძელა, ახალ ხელშეკრულებას ნიუ იორკის „კოსმოსთან" გავაფორმებ. ეს კლუბი ხომ ბევრი დიადი ფეხბურთელის (ფეხბურთის მეფე **პელე, ბეკენბაუერი**) ბოლო ნავსაყუდელი იყო. მაგრამ „კოსმოსში" თამაში ხომ საფრანგეთის ნაკრებში კარიერის დასრულებას ნიშნავს. მოკლედ, რთული არჩევანია, რომელსაც 1983 წლის შობაზე გავაკეთებ. ამის პირობა დავდე.

ახლა კი ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება გველის. „ჰამბურგთან" მატჩამდე მხოლოდ სამი დღეა დარჩენილი. **ფელიქს მაგათის** გუნდის წინააღმდეგ მანევრირება რთული იქნება. მაგრამ ათენური სიცხე შეიძლება ჩვენი მოკავშირე გახდეს. გერმანელებზე სწრაფები და მოძრავები უნდა ვიყოთ...

ფინალის წინ, ფრანგულმა პრესამ თავის სამიზნედ ამირჩია. იქ ყველას ძალიან აღელვებს, თუ რა თანხას იღებს იტალიური ფეხბურთის მეფე **მიშელ პლატინი**. 15 მილიონი სანტიმი თვეში? უფრო მეტი? გარდა ამისა, ამტკიცებენ, რომ ბოლო დროიდან მოყოლებული, პლატინი ახალთახალი ვერცხლისფერი „ფიატით" მოძრაობს. იქნებ, ეს პირადად სინიორ ანიელის საჩუქარია? აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი მანქანა ჩვენი გუნდის ყველა იმ ფეხბურთელს ჰყავს, ვინც ეს საჩუქარი თავისი ერთგული და ხარისხიანი შრომისთვის დაიმსახურა.

მე კი მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობ. იმ ფეხბურთზე, რომელიც „ჰამბურგის" დასამარცხებლად იქნება საჭირო. ეს თითქმის ის გუნდია, რომელმაც სამი წლის წინ, ამავე თასის ფინალში „ნოტინგემ ფორესტთან" წააგო. მეტოქეების ძალები თითქმის თანაბარი იყო და მატჩი მინიმალური უპირატესობით - 1:0 ინგლისელთა სასარგებლოდ დასრულდა.




ჩვენ ცოტა ხნის წინ, ბრძოლას გამოვეთიშეთ „ასტონ ვილა" - შარშანდელი თასის მფლობელი. მან ფინალში დიდი გაჭირვებით, ერთი ბურთის სხვაობით, დაამარცხა მიუნხენის „ბაიერნი". ახლა ჩვენ გვიწევს ძლიერი კლუბის წინააღმდეგ თამაში, რომელსაც ორი წლის წინანდელი მარცხის გამო ძალიან სწყუროდა გამარჯვება.

მას შემდეგ, რაც ფინალი დასრულდა, ევროპული გაზეთების დიდმა ნაწილმა პირველ გვერდებზე ასეთი სათაური გამოიტანა: „მაგათმა პლატინის 1:0 მოუგო".

ახლა, მცირე უპირატესობა გერმანიის ფედერაციური რესპუბლიკის გუნდისკენ გადავიდა. ისეთი შეგრძნებაა, თითქოს „იუვემ" მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაკარგა, რომელიც იტალიამ ბოლო ჩემპიონატზე მოიპოვა. 26 მაისს, ხუთშაბათს დილით გაღვიძებულმა ყველაფერი კარგად გავაცნობიერე. პლატინი **როლფის** მხრიდან ველური პრესინგის მსხვერპლი გახდა. ისევე, როგორც **მარადონა** მსოფლიოს ჩემპიონატზე ან **კრუიფი** 1974 წელს, მიუნხენში გფრ-ისა და ჰოლანდიის დრამატული ფინალის დროს. თავი მისკდება. ღამით კოშმარები მესიზმრა. მაგრამ ეს ყველაფერი გუშინ ხდებოდა. ჩემი ოცნება საჰაერო ბურთივით გასკდა. პლატინი - უხეში მეურვეობის მსხვერპლი გახდა.... მეორე ტაიმში სულ სამი კარგი პასი მივილე. მთელი „იუვენტუსი" რაღაცნაირად მოუხეშავი და გამოფიტული გუნდი იყო. მატჩი მთელი ღამეც რომ გაგრძელებულიყო, ერთ გოლსაც ვერ გავიტანდით. ოთხშაბათმა უბედურება მოგვიტანა. ტირილიც კი ვერ შევიკავე. მატჩის შემდეგ სასტუმროში ისე მივედით, ხმა არ ამოგვიღია. წინასწარ ვიცოდი, რომ ტურინში დაბრუნებულებს, აეროპორტში არც ერთი გულშემატკივარი არ დაგვხვდებოდა.

## მიდი, პლატინი!

ორი გოლი გავიტანე და 1983 წლის ივნისში „იუვენტუსს" იტალიის თასი მოვაპოვებინე. წინ არდადეგებია, რომელსაც მალდივის კუნძულებზე გავატარებ.

და აი, ინდოეთის ოკეანეში მდებარე კუნძულებისკენ მივფრინავ და სწორედ ზედგამოჭრილი დროა იმისთვის, რომ ჩემი პირველი იტალიური საფეხბურთო სეზონი შევაჯამო. მეათე ნომერი - იტალიური და ალბათ, მთელი ევროპული ფეხბურთისთვის ყველაზე სასურველი ნომერია და ის ბევრს მავალდებულებს. მახსოვს, „იუვენტუსში" თამაშის დასაწყისისას, ბურთს პრაქტიკულად არ ვილებდი. უკან ჩავიდოდი, ბურთს წინ გაუშვებდნენ, მარჯვნივ გადავიდოდი, ბურთს მარცხნივ აწვდიდნენ. თითქოს, ვაკუუმში დავრბოდი. როგორ მოგწონთ - უბურთო მოთამაშე „იუვენტუსში"?! მაგრამ შემდეგ ქარმა სხვა მხარეს დაუბერა. მე ახლა 30 გოლით იტალიის საუკეთესო სნაიპერი ვარ: 18 გოლი ჩემპიონატში, 7 - იტალიის თასზე, 5 - ევროპის ჩემპიონთა თასის მატჩებში. მაგრამ ამის მიუხედავად, იტალიურ ფეხბურთზე რაღაც უცნაური წარმოდგენა ჩამომიყალიბდა. მეჩვენება, რომ ის ერთფეროვანია. თუმცა „რომა", რომელსაც შვედი მწვრთნელი **ნილს ლიდჰოლმი** ავარჯიშებს, „ღია" ფეხბურთს ანიჭებს უპირატესობას. გამონაკლისს წარმოადგენს აგრეთვე „ინტერი", რომელიც მოძრაობაში სილამაზის პოვნასა და ილეთების გამრავალფეროვნებას ცდილობს.

თანაგუნდელებთან ჩემი ურთიერთობა თავიდან ისეთი ვერ იყო, როგორიც მინდოდა. გამონაკლისი **ბონეკი** გახლდათ, კიდევ ერთი ემიგრანტი, რომელსაც ჩემი 18 გოლიდან მინიმუმ თერთმეტს უნდა ვუმადლოდე. ჩემთვის ერთი რამ ცხადია: თუ მომავალი სეზონი, როგორც მოთამაშეს კმაყოფილებას არ მომიტანს, კონტრაქტს „კოსმოსთან" გავაფორმებ, რომელიც სულ უფრო აქტიურობს ჩემთან მიმართებაში. შეიძლება თქვან: მიშელ პლატინი იმის გამოა ნაწყენი, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ჰამბურგის" წინააღმდეგ თამაშისას გაუშვა თავისი შანსი. სისულელეა. „ჰამბურგმა" ჩვენზე უკეთ ითამაშა და მე ქუდს ვიხრი მათ წინაშე. ფეხბურთს თავისი კანონები აქვს, ისევე როგორც, ლირსების კოდექსი. მე ყოველთვის ორივეს ვცემდი პატივს.

*(გაგრძელება იქნება)*

გია **თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# ჭადაშვილი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია


უტევს ალეკო ჭადაშვილი

ერევანმა მსოფლიოს ჭაბუკთა ჩემპიონატს უმასპინძლა. სომხეთის დედაქალაქიდან ქართული დელეგაცია ერთი ვერცხლის მედლით დაბრუნდა. ამ წარმატებას თბილისელმა **ალექსანდრე ჭადაშვილმა** მიაღწია, რომელმაც 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზა. მან ხუთი ორთაბრძოლა ჩაატარა. ფინალისკენ მიმავალ გზაზე უნგრელ, პუერტორიკოელ, ინდოელ და ავსტრალიელ მოკრივეებს სძლია, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი კუბელ მეტოქესთან 3:5 დათმო.



ნორმალური შედეგები აჩვენეს **ნიკა სეხნიაშვილმა** და **რევაზ გოგბერაშვილმა**, რომლებმაც მეოთხედფინალს უნიეს.

ალსანიშნავია, რომ შესაბამისად 2006 და 2007 წლებში მსოფლიოს ჭაბუკთა ჩემპიონატზე ასევე ვერცხლის მედლები მოიპოვეს **ზაალ კვაჭატაძემ** და **რომან თავაძემ**.

გუშინ ნაკრებმა გლდანის დკდ-ის კრივის დარბაზში ღია ვარჯიში გამართა. ჭადაშვილთან ინტერვიუს "ლელოს" ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ, კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვლადიმერ ახალკაცმა** კი ასეთი კომენტარი გააკეთა: *"მსოფლიოს ჩემპიონატი ნებისმიერ ასაკში უდიდესი ტურნირია და იქ მოპოვებული მეორე ადგილი შესანიშნავი შედეგია. ამ ჩემპიონატის სიძლიერეზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მასში 50 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ალეკომ უმაღლეს დონეზე იასპარეზა და არც ფინალში ყოფილა უშანსოდ. დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა, განსაკუთრებით სპორტის დეპარტამენტის თანადგომასა და მწვრთნელების მონდომებას გამოვყოფ. ჩემპიონატმა დაგვანახვა, რომ ქართულ კრივს დიდი პოტენციალი აქვს და სწორი მუშაობის შემთხვევაში, ნამყვან საკრივო ქვეყნებს დიდ კონკურენციას გავუწევთ"*.

ერევანში საქართველოს ნაკრების სრული შემადგენლობა ასეთი იყო: **გიორგი გოგატიშვილი (46 კგ, ფოთი), ვენედიქტ ერანოსიანი (48, ახალქალაქი), ველოდი ტყებუჩავა (50, ფოთი), ალექსანდრე ჭადაშვილი (57,თბილისი), ნიკოლოზ ჩაჩანიძე (60, თბილისი, დკდ), გიგა გიგაური (63, გორი), ზურაბ მექერიშვილი (66, გურჯაანი), ნიკოლოზ სეხნიაშვილი (70, გორი), რევაზ გოგბერაშვილი (80, ტყიბული).**

ნაკრებს ახლდნენ მწვრთნელები, კუკური შავგულიძე, როლანდ კვაჭაძე, ტარიელ ვერულაშვილი და ალეკო ჭადაშვილის პირადი მწვრთნელი ფიზული ალეკფეროვი.

ლევან ჯანეზაშვილი

მძლეოსნობა

# მარიამს ამერიკაში ბადალი არ ჰყავს

23 წლის მძლეოსან **მარიამ ქევხიშვილს** შესანიშნავი სეზონი აქვს, ქართველმა ბირთვის მკვრელმა 17 მაისს პირადი რეკორდი 45 სანტიმეტრით გააუმჯობესა და 18,05 მეტრი შედეგი აჩვენა. მარიამი წარმატებით აგრძელებს ასპარეზობას საუნივერსიტეტო შეჯიბრებებში ამერიკაში. მაისის ბოლოს მან გრინსბოროში NCAA-ის აღმოსავლეთ რეგიონის ჩემპიონატი მოიგო ბირთვის კვრაში. *„მარიამი ნამდვილი სპორტსმენია, იგი მთელი კვირის განმავლობაში ავადმყოფობდა, რის გამოც საერთოდ ვერ ივარჯიშა, თუმცა შეჯიბრებაში მაინც კარგად გამოვიდა. ფაქტობრივად, ეს იყო შეჯიბრება საკუთარ თავთან"*, - განაცხადა ფლორიდელთა მწვრთნელმა **სტივ ლემკემ**. გრინსბოროში მარიამმა ავადმყოფობის მიუხედავად კარიერის რეკორდს მხოლოდ 10 სანტიმეტრი დააკლო - 17,95 მ.

ნიკოლოზ ნეფარიძე



მარიამ ქევხიშვილი

ჭადრაკი

# ინტრიგა დაბრუნდა!

გუშინ, 16-წლამდელმა გოგო-ბიჭებმა საქართველოს ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის პარტიები გაითამაშეს. ფინიშამდე ერთი ნაბიჯით ადრე გოგონათა შორის ლამის გარკვეული იყო ჩემპიონის ვინაობა, - **მარიამ დანელია** ქულით უსწრებდა მდევრებს და რომ მოეგო, ბოლო ტურს აზრი დაეკარგებოდა. მეტოქედ დანელიას არცთუ ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე, განთესვით მეთერთმეტე **მარიამ სულამანიძე** ჰყავდა, რომელიც ქულა-ნახევრით ჩამორჩებოდა. მართალია, თეთრებით სულამანიძე თამაშობდა, მაგრამ ფავორიტად მაინც დანელიას მივიჩნევდით. ვარაუდმა არ გაამართლა - სულამანიძემ შესანიშნავად წარმართა პარტია და გაიმარჯვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტურნირის მთავარი სენსაციის მხილველნიც კი გავხდით. სატურნირო ცხრილში ამან საკმაოდ დაძაბა ვითარება - დანელია მაინც პირველ ადგილზე დარჩა, რადგანაც კოეფიციენტი აქვს სხვებზე უკეთესი, მაგრამ მას ქულებით გაუთანაბრდა **ნანი უნაფქოშვილი**, ვინც თეთრებით აჯობა ნათია ჯალაბაძეს. ამდენივე ქულა დააგროვა **ლელა უგულავამაც**, რომელმაც შავებით დაამარცხა **მარიამ თევზაძე**. ცხადია, რომ ბოლო ტურისთვის ინტრიგა დაბრუნდა გოგონათა შორის, თუმცა ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი მაინც დანელიას შერჩა, - მისი მეტოქე გადამწყვეტ პარტიაში განთესვით ერთ-ერთი აუტსაიდერი, მეთვრამეტე ნომერი **თათია კოხრეიძეა**. თათიას 4 ქულა აქვს, რაც მისთვის საკმაოდ კარგი მიღწევაა, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ შავებით შეძლოს მარიამ სულამანიძისმაგვარი წარმატების გამეორება და ლიდერი დაამარცხოს. უნაფქოშვილი შავებით ხვდება **იოლანდა მადოიანს** და აშკარა ფავორიტია. აი, უგულავას კი რთული მეტოქე ელის - სულამანიძე.

ვაჟებში ინტრიგა თავიდან ბოლომდე სდევდა ტურნირს. მერვე ტურში განვითარებულმა მოვლენებმა იგივე სურათი შეინარჩუნა, თუმცა რამდენიმე მოჭადრაკემ სხვებზე მეტი შანსი გაიჩინა: **ზურაბ ჯავახაძემ** მეორე ადგილი გაინაღდა - თეთრებით გუშინ **ნიკა ვოლკოვი** დაამარცხა, 6,5 ქულა დააგროვა და ვინაიდან კოეფიციენტით საუკეთესოა, ვერცხლიც ამიტომ დაიბევა, ბოლო ტურის წინ კი ლიდერია. მეორეზე **გიორგი ნიკოლაშვილი** გადავიდა, ვინც **ნიკოლოზ შენგელიას** მეფე დაამამათა. მასაც 6,5 ქულა აქვს. ნიკოლაშვილი ბოლო ტურში შავებით ხვდება ვოლკოვს და იოლი გასეირნება არ ელის. ჯავახაძის მეტოქე **ნიკა ლვამბერიაა**, რომელსაც 4,5 ქულა აქვს . აქაც შავებითაა ფავორიტი. მეორე ადგილისთვის და პრესტიჟული მესამე ადგილისთვის იბრძოლებენ **ნოდარ ლორთქიფანიძე, კახაბერ წერეთელი და ვაჟა დვალიშვილი**. ამათგან ლორთქიფანიძეს აქვს საუკეთესო შანსი, რადგანაც კვალიფიკაციით და გამოცდილებითაც აღემატება კონკურენტებს. ვგონებ, ამ მიზეზით ჩემპიონობის გარდა ყველა შედეგი მისთვის არადამაკმაყოფილებელი უნდა გახდეს. ჩემპიონობას ნამდვილად ველარ შესწვდება, მაგრამ თუკი დღეს ნიკოლოზ შენგელიას დაამარცხებს შავებით, კარგი კოეფიციენტის გამო ბრინჯაოს გაინაღდებს.

დვალიშვილი და წერეთელი ერთმანეთს ხვდებიან და ვნახოთ, ვინ აჯობებს და რას შემატებენ საკუთარ მარაგს.

ზვიად შათირიშვილი

ძიუდო

# კახეთის ნაკრები დაწინაურდა

ოლიმპიური ჩემპიონის **შოთა ჩოჩიშვილის** სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში დაიწყო 1997-1998 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა საქართველოს პირველობა, რომელშიც სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 300-მდე წარმომადგენელი მონაწილეობს. გუშინ ხუთ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები. საერთო გუნდურ ჩათვლაში 38 ქულ.ით კახელები დაწინაურდნენ.

— ამ ასაკში მსოფლიოს და ევროპის პირველობები არ იმართება, — გვითხრა ძიუდოს ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ანზორ მარტყოფლიშვილმა.** — არადა, გვინდა, რომ ნორჩი ფალავნები აქედანვე შეეჩვიონ საერთაშორისო სარბიელს. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ პირველ ადგილებზე გასული მოჭიდავეები რომელიმე ტურნირზე წავიყვანოთ და ევროპელ თანატოლებს შევაჯიბროთ. სამაგიეროდ, 1993-1994 წლებში დაბადებულებს ელით სლოვენიაში 24-25 ივნისს კონტინენტის პირველობა. ჩვენი ძიუდოისტები — გოგონებიც (მთავარი მწვრთნელი **გია თენაძე**) და ვაჟებიც (მთავარი მწვრთნელი **ჯემალ ნათელაშვილი**) მონდომებით ემზადებიან ამ შეჯიბრებისთვის. ბოლო ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას 6 ივნისიდან გორში გაივლიან და შემდეგ გაემგზავრებიან სლოვენიას.

**კვარცხლბეკი**

29 კგ. 1. ვანო ნინიაშვილი (ქვემო ქართლი) 2. ლუკა ორკოშნელი (კახეთი), 3. გიგა ჩანადირი (მცხეთა-მთიანეთი) და ჯეირან წულაია (სამეგრელო-ზემო სვანეთი).

32 კგ. 1. ნიკო ჭიკაიძე (კახეთი), 2. ბექა ასლანიშვილი (თბილისი), 3. გიორგი ნიაზაშვილი (თბილისი) და ბაგრატ ნინიაშვილი (ქვემო ქართლი).

35 კგ. 1. ნიკა ლაბაძე (კახეთი), 2. დიმიტრი ზედაშიძე (ქვემო ქართლი), 3. შოთა ბესიაშვილი (თბილისი) და ზაქრო გოგოლიძე (იმერეთი).

38 კგ. 1. გია დავითაშვილი (კახეთი) 2. ალუდა ჩეკურიშვილი (კახეთი), 3. გოჩა ლვაჩლიანი (იმერეთი) და შმაგი პაიჭაშვილი (კახეთი).

42 კგ. 1 დიმიტრი ცაბაძე (თბილისი), 2. სიმონ მამარდაშვილი (კახეთი) 3. დავით წურწუმია (სამეგრელო-ზემო სვანეთი) და ტატო მოსახლიშვილი (კახეთი).

დღეს ორთაბრძოლები კიდევ ხუთ წონით კატეგორიაში გაიმართება.

ვაჟა დანელია
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო


ვანო ნინიაშვილი


ნიკო ჭიკაიძე


ნიკა ლაბაძე


გოჩა დავითაშვილი


დიმიტრი ცაბაძე

# თითო ვერცხლი და ბრინჯაო


შერმადინ მიქელთაძე

გერმანიაში ვეტერან ძიუდოისტთა მსოფლიოს პირველობა გაიმართა. 45-49 წლის მოჭიდავეთა პაექრობაში ქუთაისელმა მძიმეწონოსანმა **შერმადინ მიქელთაძემ** ზედიზედ სამი შეხვედრა კი მოიგო, მაგრამ გადამწყვეტი ორთაბრძოლა ჰოლანდიელ **ჰენდრიკ კოპესთან** დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. 66 კილოში მესამე იყო თბილისელი **თემურ გიორგაძე**.

ვაჟა დანელია
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების და კლუბების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

პერსპექტივა

# 197 სანტიმეტრი სიმაღლის გამთამაშებელი

1986 წელს დაბადებულთა საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატზეც ითამაშა და ახალგაზრდული გუნდი B-დან A დივიზიონში გადაიყვანა. მას შემდეგ არაერთი ნიჭიერი კალათბურთელი გამოჩნდა, მაგრამ **მარკოიშვილი-სანიკიძე-ცინცაძის** თაობა ღირსეულად ჯერ ვერავინ შეცვალა. შეიძლება, ეს 1992-წლიანთა თაობამ გააკეთოს.

92-იანები პირველად ასპარეზზე 2007 წელს გამოვიდნენ, როცა კადეტთა ნაკრებში შეკრების დაწყების წინ მწვრთნელთა მოულოდნელი ცვლილება მოხდა. მაშინ გავიცანით: **დვალიშვილი, ჩიკვილაძე, შენგელია, ბოქოლიშვილი...**



ზუსტად ორი წლის შემდეგ ეს კალათბურთელები ისეთივე გზას ადგანან, როგორსაც თავის დროზე ცინცაძე-მარკოიშვილი-სანიკიძის თაობა. თორნიკე შენგელია "ვალენსიაში", ბექა ჩიკვილაძე – "გალეგოში", აკაკი დვალიშვილი რუსთაველებთან ერთად საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონიც გახდა და სუპერლიგაც მოიგო, ხოლო მერაბ ბოქოლიშვილმა "აკადემიას" საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატი მოაგებინა. დვალიშვილზე, შენგელიასა და ჩიკვილაძეზე აქამდე არაერთხელ გვისაუბრია. დღეს გვინდა შეგახვედროთ მერაბ ბოქოლიშვილი, რომლის გვარსაც მხოლოდ ახალგაზრდული პირველობების მატჩების მიმოხილვისას ვახსენებდით.

■ ■ ■

მერაბი **ზურაბ ბოქოლიშვილის** ვაჟია. ბატონი ზურა სპორტული მენეჯერია, სააგენტო "ენტერსპორტს" წარმოადგენს. ვფიქრობთ, კალათბურთელი მერაბ ბოქოლიშვილის ზოგად სურათს მენეჯერზე უკეთ ვერავინ წარმოგვიდგენს:

*- მერაბი პირველ-მეორე ნომრად თამაშობს. ამ ამპლუის კალათბურთელისთვის კარგი აღნაგობა აქვს: 197 სმ სიმაღლისაა. დაბადებულია 1992 წლის 27 თებერვალს. დადებით თვისებათაგან აღვნიშნავ მის შრომისუნარიანობას – კალათბურთზე შეყვარებულია და არ სჭირდება მითითება, დღეს ეს გააკეთე და ხვალ – ის. ნელ-ნელა უყალიბდება სტაბილური სროლა და საკალათბურთო აზროვნება. სამუშაოა ათლეტურობაზე. კალათბურთი მეტად ათლეტური ხდება და საჭიროა ფეხის აწყობა.*

ტრიბუნებიდან მერაბი ზოგ ეპიზოდში ზედმეტად ემოციური ჩანს...

*- მერაბი ახალგაზრდაა, შესაბამისად, ემოციურიც. მოვა დრო და ემოციების კონტროლსაც ისწავლის. ჭაბუკთა ჩემპიონატის ფინალური სერიის ბოლო მატჩში მან თავიდან ისე ვერ დაიწყო, როგორც საჭირო იყო, მაგრამ ამის გამო მოძალებული ემოცია თამაშში გადაიტანა და ბოლო პერიოდში კარგადაც გაისარჯა.*

იუნიორთა საქართველოს ჩემპიონატის ფინალში "აკადემიამ" "დინამოსთან" დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა. თანაბარ თამაშში ბოლო წუთებზე ბოქოლიშვილი-ბაქრაძის დუელი ვიხილეთ. დინამოელი **გივი ბაქრაძე** დრიბლინგის შედეგად აგროვებდა ქულებს, ბოქოლიშვილმა კი მეოთხე პერიოდში სამი სამქულიანი ჩააგდო. ერთ-ერთი დაახლოებით რვამეტრიანი დისტანციიდან... გადამწყვეტი სწორედ ეს ტყორცნა აღმოჩნდა და "აკადემიამ" ოქრო მოიპოვა.

ამ ფინალის გახსენება თავად მერაბს ვთხოვეთ.

*- თავიდანვე ტურნირის ფავორიტები ვიყავით. თუმცა, რეგულარულ სეზონშიც და ფინალებშიც "დინამოსგან" სერიოზულ წინააღმდეგობას წავაწყდით. გადამწყვეტი ფინალი დრამატული გამოდგა, ბოლო წუთებზე, როცა სიტუაცია დაიძაბა, გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა გუნდისთვის ქულები მომეტანა, ზედიზედ ორი სამქულიანი ჩავაგდე, შემდეგ ორიანიც მივაყოლე და... ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ.*

"დინამოსთან" მატჩის ბოლო წუთებზე მერაბ ბოქოლიშვილი გამთამაშებელი იყო. მას მიაჩნია, რომ თუ სამომავლოდაც ამ ამპლუაში ითამაშებს, ერთი კომპონენტი დასახვეწი აქვს:

*- სამუშაო ბევრი მელის. უნდა მოვუმატო ფიზიკურადაც, თუმცა განსაკუთრებით ბევრი სამუშაო დრიბლინგზე მაქვს. გამთამაშებელს საუკეთესო დრიბლინგი უნდა ჰქონდეს. თუმცა, ჩემი ასარჩევი რომ იყოს, მეორე ნომრად თამაში მირჩევნია.*

მერაბმა "აკადემიასთან" საქართველოს 20-წლამდელთა ფინალიც ითამაშა, მაგრამ აკაკი დვალიშვილის "რუსთაველთან" დათმო.

*- ჩვენთვის ფინალში გასვლაც დიდი მიღწევა იყო, რადგან ერთი-ორი წლით უფროსებთან გვიწევდა თამაში. მოგება ახალგაზრდულ ჩემპიონატშიც გვინდოდა, მაგრამ რუსთაველები ჩვენზე ძლიერები აღმოჩნდნენ.*

...და კიდევ ერთი ფინალი, რომელშიც ბოქოლიშვილმა წლეულს ითამაშა, "ენერჯი"-"სასოფლო" იყო. იგი სასოფლოელთა შემადგენლობაში ირიცხებოდა, თუმცა დიდებში ასპარეზობა იშვიათად უწევდა.

დროა მოვუსმინოთ ზურაბ ბოქოლიშვილს, რომელიც სამივე ტურნირზე ადევნებდა თვალყურს მერაბის თამაშს.

*- ამ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, რა შედეგს აჩვენებს გუნდი. მთავარია, კალათბურთელთა ინდივიდუალური პროგრესი. "აკადემია" სწორედ ისეთი ტაქტიკით თამაშობს, ნებისმიერ კალათბურთელს განვითარების საშუალება აქვს. ამ სეზონში მერაბის პროგრესიც შესამჩნევია. მივდივართ იმ გეგმით, რომელიც კალათბურთზე მიყვანისას მწვრთნელ გელა ნულაძესთან ერთად დავისახეთ. 18-წლამდელთა ჩემპიონატში გავიმარჯვეთ, 20-წლამდელებში ფინალი დავთმეთ. ორივე ტურნირში საკმარისი სათამაშო დრო ჰქონდა და სტატისტიკაც თითქმის ანალოგიური იყო: ჭაბუკებში საშუალოდ 37 წუთი, 23.1 ქულა, 3.7 მოხსნა, 3.5 პასი, ახალგაზრდებში 34 წუთი, 21.6 ქულა, 3.4 მოხსნა, 2.6 პასი.*

■ ■ ■

შესავალში ჩამოთვლილ მერაბის თანატოლთაგან ორი ესპანეთში თამაშობს. საინტერესოა, ბოქოლიშვილსაც თუ აქვს შეთავაზებები უცხოური კლუბებიდან. ამ საკითხზე სპორტული მენეჯერი, ბატონი ზურაბი გვესაუბრება.

*- გვაქვს მიმზიდველი მოწვევა რამდენიმე ქვეყნიდან. მათ შორის ესპანეთიდან და ამერიკიდან, მაგრამ არ ვჩქარობთ. დაველოდებით ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირს, ასევე ვნახავთ გაისად რამდენად სასარგებლო იქნება საქართველოში დარჩენა და ამის შემდეგ გადავწყვეტთ, წავა თუ არა მერაბი უცხოეთში. ოღონდ, უნდა შეირჩეს ისეთი კლუბი, სადაც მას თამაში მოუწევს.*

თავად კალათბურთელი მომავალზე საუბრისას საკონტრაქტო თემაზე ლაპარაკს ჭაბუკთა ნაკრებზე საუბარს არჩევს:

*- იუნიორთა ნაკრები 10 ივნისს იკრიბება. დავიწყებთ მზადებას ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის. თავიდან ორჯერადი ვარჯიშები გვექნება და ვიმედოვნებთ, რომ ოფიციალურ შეხვედრებში წარმატებით ვიასპარეზებთ. მანამდე საკონტროლო შეხვედრებს ისრაელის საერთაშორისო ტურნირზე გავმართავთ.*

■ ■ ■

მკითხველისთვის ისიც საინტერესო უნდა იყოს, ვის ხელში ჩამოყალიბდა კალათბურთელად მერაბ ბოქოლიშვილი. იგი მამამისსა და მწვრთნელ **გელა ნულაძეს** ასახელებს. ზურაბ ბოქოლიშვილი კი მოგვითხრობს:

*- მერაბი კალათბურთზე 6 წლისა შევიყვანეთ. იგი გელა ნულაძესთან ვარჯიშობდა, რომელსაც მის კალათბურთელად აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვის. ახლა, "აკადემიაში" გია კაზანჯიანის ხელმძღვანელობით თამაშობს. ასევე ძალიან უწყობს ხელს დედა, მაკა ყურაშვილი, რომელიც საქართველოში ჩემს არყოფნაში მერაბს არაფერს აკლებს.*

■ ■ ■

სხვათა შორის, გიორგი ცინცაძესთან პირველი ინტერვიუ რომ ჩავწერე, ისიც 17 წლისა იყო; გიორგიც "აკადემიაში" გელა ნულაძემ აღზარდა; ცინცაძესაც გამთამაშებლობას მსროლელობა ერჩივნა, გიორგიც მე-8 ნომრით თამაშობს...

გუშინწინ, 23 წლის გიორგი ცინცაძემ ესტონეთის ჩემპიონატის გადამწყვეტ ფინალში 26 ქულა ჩააგდო...

**ვაჟა სიმონიშვილი**

ლეგიონერი

# ცინცაძეს აღიარეს



გიორგი ცინცაძე

გუშინ მოგახსენეთ, რომ **გიორგი ცინცაძემ** და **ვიქტორ სანიკიძემ** ესტონეთის ჩემპიონატის ფინალური სერია 2:4 წააგეს.

მარცხის მიუხედავად, ტარტუელი გულშემატკივრები როკერებს ხმაურიანად შეხვდნენ და ერთ-ერთ ბარში საღამო კალათბურთელებთან გაატარეს.

გულშემატკივრებმა სპეციალურად დაამზადეს თასი, რომელიც "როკის" საუკეთესო კალათბურთელისთვის იყო განკუთვნილი. ეს ჯილდო წილად გიორგი ცინცაძეს ხვდა.

ბუ სეზონის საუკეთესო კალათბურთელადაც დასახელდებოდა, ჩემპიონატი "ტარტუ როკს" რომ მოეგო...

**ვაჟა სიმონიშვილი**

**საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ეროვნული და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს კალათბურთში ზაზა მაჩალაძეს მამის გარდაცვალების გამო.**

მშვილდოსნობა

# დღეიდან ანთალიის მსოფლიო თასზე

თურქეთის კურორტი ანთალია დღეიდან 7 ივნისის ჩათვლით მსოფლიოს თასის მე-3 ეტაპს უმასპინძლებს მშვილდოსნობაში, სადაც ქართველი ჩუბინებიც ცდიან ბედს. ქალთა შორის საქართველოს ღირსებას დაიცავენ **ასმათ დიასამიძე, ხათუნა ნარიმანიძე** და **ნათია ცინცაძე**. ასმათ დიასამიძემ მაისის მიწურულს ბათუმში საქართველოს პირველობა მოიგო, ხოლო ხათუნა ნარიმანიძე მეორე ადგილზე გავიდა.

მსოფლიოს თასის ეტაპზე აგრეთვე იასპარეზებენ: **ტარიელ ქადიძე, დიმიტრი სორდია** და **შალვა წიბლიაშვილი**. სხვათა შორის, საქართველოს ჩემპიონატზე პრიზიორთა შორის ამათგან მხოლოდ ქადიძე მოხვდა, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა. ანთალიაში ასპარეზობაში დღეს ქართველი ვაჟები ჩაერთვებიან, ხვალ - ქალები.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

წყალსათხილამურო სპორტი

# გურალია და მსოფლიო

წყალსათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ კალგარის (კანადა) მსოფლიოს ჩემპიონატის წინ სპორტსმენთა ახალი რეიტინგ-ლისტი გამოაქვეყნა. ჩოგბურთისგან განსხვავებით, სადაც ყოველ ორშაბათს ახალი რეიტინგი გამოიცემა, წყალსათხილამურო სპორტში რეიტინგი წელიწადში ოდენ ორჯერ ახლდება - მაისსა და ოქტომბერში. საერთო ჩათვლაში ამ სახეობაში ევროპის 2008 წლის საუკეთესო სპორტსმენი **გენადი გურალია** 2144,42 ქულით 21-ე პოზიციაზეა. პირველ ადგილზე კანადელი **ჯარეტ ლეველინია** 2719,62 ქულით. გენადი იტალიაში იმყოფება, სადაც ვარჯიშს მწვრთნელობასაც უთავსებს. მის უახლოეს გეგმებში სან ჯერვაზიოს ტროფეიში მონაწილეობაა, რომელიც 3-5 ივლისს გაიმართება. მსოფლიოს ჩემპიონატი კი კალგარიში 3-9 აგვისტოს ჩატარდება.



გენადი გურალია

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# პირველად ერთად

საქართველოს პირველი და მეორე ჩოგნები ერთ ტურნირში გამოდიან, მეტიც, კარიერაში პირველად ისინი ერთ წყვილში ითამაშებენ - იტალიის ქალაქ გალატინას თიხნარის კორტებზე (25 ათასი $) **ანა ტატიშვილისა** (176) და **მაკა ჩახნაშვილის** (234) დუეტი მე-4 ნომრად განთესეს. ქართველთა მეტოქეები ესპანელი **ესტრელა კაბესა** (169) და არგენტინელი **აგუსტინა ლეპორე** (284) იქნებიან.

დღეს ჩვენებურები ერთეულთა თანრიგში აილებენ სტარტს, იქ ანა ტატიშვილი მე-6 ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში მასპინძელ **ნატალი ვიერინს** (237) ეთამაშება, ანა ვიერინს აქამდე არასოდეს შეხვედრია. მაკა ჩახნაშვილს კი ჩოგბურთისთვის ეგზოტიკური ქვეყნის წარმომადგენელი შეხვდა, მავრიკელი **მარინე ჟირაუდი** (239). სხვათა შორის, მაკას ნათამაშები აქვს ჟირაუდთან 2003 წელს ბიარიცში (საფრანგეთი) და ორ სეტში იოლად მოუგო მეტოქეს. გალატინას ტურნირში პირველ ნომრად პარაგვაელი **როზანა დე ლოს რიოსი** (105), მეორედ კი რუსი **ელენა ბოვინა** (154) განთესეს. ასე რომ, საინტერესო ტურნირი გველის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ანა ტატიშვილი (მარცხნივ) და მაკა ჩახნაშვილი



# გიორგი შერმადინი საბერძნეთის ჩემპიონია

მაისის დასაწყისში **გიორგი შერმადინის** "პანათინაიკოსმა" ევროლიგა მოიგო, რის შემდეგაც მთლიანად საშინაო ასპარეზზე გადაერთო და საბერძნეთის ჩემპიონატის ფინალური სერია დამაჯერებლად ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ მოედნის უპირატესობა "ოლიმპიაკოსის" მხარეს იყო, "პანათინაიკოსმა" ერთი გასვლითი, ორი საშინაო შეხვედრა მოიგო და სერიაში 3:1 იმარჯვა. ბოლო შეხვედრაში შერმადინის თანაგუნდელებმა 94:81 იყოჩაღეს.

გიორგის ფინალებში არ უთამაშია, თუმცა ოქროს მედალი დამსახურებულად მიიღო. მას საბერძნეთის ჩემპიონატში 4 მატჩი აქვს ჩატარებული. საშუალოდ 12.8 წუთში 9.5 ქულას, 4.5 მოხსნას, 1 პასს, 0.5 ჩაჭრასა და 0.5 დაფარებას აგროვებდა. გგონიათ, 9.5 ქულა ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია? არა, ბატონო, "პანათინაიკოსის" სნაიპერი **ბატისტი** 12.5 ქულას ითვლიდა. ქულათა საშუალო მაჩვენებლით გიორგი შერმადინი თანაგუნდელთა შორის მეხუთეა, მოხსნებში კი – მეორე(!). გიორგის მხოლოდ ბატისტი უსწრებს – 5.3 მოხსნა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნიჩბოსნობა.** ბაიდარა და კანოე

ქ. ფოთის რეგატა. აკადემიური ნიჩბოსნობა. ღია ჩემპიონატი

# მეხუთე საერთაშორისო

ამ დღეებში ფოთმა 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის **ვიქტორ კრატასიუკის** სახელობის V საერთაშორისო რეგატას უმასპინძლა საბაიდარო და კანოეთი ნიჩბოსნობაში. გაიმართა აგრეთვე ღია ჩემპიონატი "ფოთის რეგატა" აკადემიურ ნიჩბოსნობაში აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქის 120-მდე სპორტსმენის მონაწილეობით.

ვიქტორ კრატასიუკის თასის მფლობელი გახდა ტურნირის საუკეთესო სპორტსმენი, ფოთელი ნიჩბოსანი **დავით მითაიშვილი** (კანოეთი ნოჩბოსნობა), ხოლო აკადემიურ ნიჩბოსნობაში თასს დაეუფლა ქ. ქუთაისის ეკიპაჟი **ირაკლი უკლებასა** და **გიორგი სინათაშვილის** შემადგენლობით (2-იანი ცალმოსასმელიანი).

### ბაიდარა და კანოე

#### დიდები (23 წლამდე)

| კანოე 1-ადგილიანი. 500 მ |
|---|
| დ. მითაიშვილი (ფოთი)-2.22 |
| შ. ხიზანიშვილი (მცხეთა)-2.31 |
| შ. არეშიძე (მცხეთა)-2.35 |

| ბაიდარა 1-ადგილიანი. 500 მ |
|---|
| ა. მალხაზიანი (სომხეთი)-1.59 |
| ვ. სარქისიანი (სომხეთი)-2.01 |
| ვ. მანაგაძე (ქუთაისი)-2.02 |

| კანოე 1-ადგილიანი. 1000 მ |
|---|
| დ. მითაიშვილი (ფოთი)-4.22 |
| შ. არეშიძე (მცხეთა)-4.27 |

| ბაიდარა 1-ადგილიანი. 1000 მ |
|---|
| ა. მალხაზიანი (სომხეთი)-2.27 |
| ტ. სარქისიანი (სომხეთი)-2.28 |
| გ. ტაბატაძე (ფოთი)-2.32 |

#### ჭაბუკები (18 წლამდე)

| კანოე 1-ადგილიანი. 500 მ |
|---|
| ბ. ბუკია (ფოთი)-2.16 |
| კ. რასულოვი (აზერბაიჯანი)-2.17 |
| ა. კუპრეიშვილი (ფოთი)-2.30 |

| ბაიდარა 1-ადგილიანი. 500 მ |
|---|
| ა. ველიზადე (აზერბაიჯანი)-1.54 |
| ლ. ფორჩხუა (ფოთი)-2.00 |
| გ. აბულაძე (ქუთაისი)-2.12 |

| კანოე 2-ადგილიანი. 500 მ |
|---|
| ზ.ნადირაძე, ვ.ნადირაძე (მცხეთა)-2.03 |
| ა.ალმამედოვი, მ.რასულოვი (აზერბ.)-2.20 |

| ბაიდარა 2-ადგილიანი. 500 მ |
|---|
| ე. ჯაფაროვი, ა. ჯაფაროვი (აზერბაიჯანი)-1.47 |
| ა. ალავერდიანი, გ. არევიტიანი (სომხეთი)-1.58 |
| ქ. ფარჩულია, დ. ჟოჟუა (ფოთი)-2.04 |

#### იუნიორები (15 წლამდე)

| საბაიდარო 1-ადგილიანი. 200 მ |
|---|
| ა. ალავერდიანი (სომხეთი)-0.58 |
| გ. ტაბატაძე (ფოთი)-0.59 |
| გ. გასპარიანი (სომხეთი)-1.03 |

| კანოე 1-ადგილიანი. 200 მ |
|---|
| ბ. ბუკია (ფოთი)-0.49 |
| მ. ალმამედოვი (აზერბაიჯანი)-0.51 |
| ა. კუპრეიშვილი (ფოთი)-0.55 |

| საბაიდარო 2-ადგილიანი. 200 მ |
|---|
| მ. ალმამედოვი, კ. რასულოვი (აზერბაიჯანი)-0.41 |
| გ. ფორჩხუა, მ. ტაბატაძე (ფოთი)-0.46 |
| მ. გოგელიშვილი, დ. კიკალეიშვილი (ქუთაისი)-0.47 |

### აკადემიური ნიჩბოსნობა

(მდ. კაპარჭა)

| I გაცურვა 2000 მ |
|---|
| 1-იანი წყვილმოსასმელიანი (23 წლის ზევით) |
| თ. სულაკაძე (ქუთაისი)-8.38 |
| გ. ელყანიშვილი (თბილისი)-8.41 |
| გ. გეგეშიძე (ფოთი)-9.10 |

| II გაცურვა 2000 მ |
|---|
| 1-იანი წყვილმოსასმელიანი (23 წლამდე) |
| ო. მოთიაშვილი (მცხეთა)-8.27 |
| მ. ეჯოშვილი (მცხეთა)-8.35 |
| თ. ბაიაშვილი (მცხეთა)-8.46 |

| III გაცურვა 2000 მ |
|---|
| 2-იანი წყვილმოსასმელიანი. (23 წლამდე) |
| გ. მოთიაშვილი, ო. მოთიაშვილი (მცხეთა)-7.38 |
| ა.მესტაფინი, ძ.ასძიფევი (აზერბაიჯანი-7.42 |
| ვ.კაჭარავა, დ.გაბუნია (ფოთი)-8.02 |

| IV გაცურვა 2000 მ |
|---|
| 2-იანი ცალმოსასმელიანი. (23 წლამდე) |
| ი. უკლება, გ. სინატაშვილი (ქუთაისი)-7.44 |
| დ. ჩხეტიანი, ლ. ჯიმშელაძე (თბილისი)-7.50 |

| V გაცურვა 2000 მ |
|---|
| 1-იანი წყვილმოსასმელიანი. (18 წლამდე) |
| გ. ბალათურია (მცხეთა)-8.31 |
| ი. ფესტველიძე (ქუთაისი)-8.33 |
| ა. ბალათურია (მცხეთა)-8.34 |

| VI გაცურვა 2000 მ |
|---|
| 2-იანი ცალმოსასმელიანი. (18 წლამდე) |
| ს.ბაიაშვილი, გ. თოფურია (მცხეთა)-8.33 |
| ვ.კაჭარავა, გ. ფანცულაია (ფოთი)-8.59 |
| ს. არუთუნიანი, ა. პოგოსიანი (სომხეთი)-9.17 |

| VII გაცურვა 2000 მ |
|---|
| 2-იანი წყვილმოსასმელიანი (18 წლამდე) |
| გ. მუხათგვერდელი, გ. ბალათურია (მცხეთა)-7.39 |
| ა. მესტაფინ, ძ. არძიფოვი (აზერბაიჯანი)-7.44 |
| ვ. კაჭარავა, გ. ფანცულაია (ფოთი)-7.45 |

| VIII გაცურვა 1000 მ |
|---|
| 2-იანი წყვილმოსასმელიანი. (15 წლამდე) |
| კ. კვარაცხელია, შ. პაპასკირი (ფოთი)-4.37 |

| IX გაცურვა 1000 მ |
|---|
| 1-იანი წყვილმოსასმელიანი. (15 წლამდე) |
| ი. მჭედლიშვილი (მცხეთა)-4.43 |
| გ. ლევაშოვი (ქუთაისი)-4.47 |
| ბ. ჩილინდრიშვილი (ფოთი)-4.51 |

თავისუფალი ჭიდაობა

# ეპიცენტრმა სოფლისკენ გადაინაცვლა

## ნორჩ ფალავნებს ახალმა სპორტკომპლექსმა უმასპინძლა



ერთი თვის წინათ სოფელ დიღომში კომპანია „ვისოლისა" და სოფლის ხელმძღვანელობის ერთობლივი ზრუნვის შედეგად საზეიმოდ გაიხსნა მრავალპროფილიანი სპორტული კომპლექსი (დირექტორი **დავით ხაჩიძე**), სადაც თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს, ძიუდოისტებს, მოკრივეებსა და ტრენაჟორებით ვარჯიშის მოყვარულებს ცალ-ცალკე აქვთ კეთილმოწყობილი დარბაზები გასახდელებითა და საშხაპეებით.

— ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სპორტკომპლექსში პირველი დიდი ტურნირი მოვაწყვეთ, — გვითხრა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მწვრთნელმა **ზურაბ ტატუაშვილმა**. — შეჯიბრებაში 21 ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. გამარჯვებულები და პრიზიორები ორ ასაკობრივ ჯგუფში გამოვავლინეთ. ლენტები, მედლები, თასები და ფასიანი საჩუქრები „ვისოლმა" შეგვიძინა. დიდი დახმარება გაგვიწიეს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა გენაძემ**, მაჟორიტარმა პარლამენტარმა **გიორგი მელაძემ**, სპორტკომპლექსისა და სოფლის ხელმძღვანელობამ. ჩვენი სოფლიდან შეჯიბრებაში 4 ნორჩი მოჭიდავე გამოდიოდა. უმცროს ასაკში ექვსი წლის **ლუკა ოსეფაშვილმა**, რომელიც, ფაქტობრივად 3-4 წლით უფროსებს ეჭიდავებოდა, საბოლოოდ მეორე ადგილი დაიკავა. ხოლო **ლაშა გორგაძე** მესამე ადგილზე გავიდა. არადა, ამ ბიჭებმა ხალიჩაზე კომპლექსის გახსნის შემდეგ შედგეს ფეხი. მჯერა, რომ ჩვენთან კარგი ფალავნები გაიზრდებიან.

#### კვარცხლბეკი

1997-1998 წლებში დაბადებულნი

26 კგ. 1. ლევან ცოფურიშვილი (ყვარელი), 2. ლაშა ზუხბაია (წყნეთი), 3. ლევან ონანოვი (თბილისი) და თორნიკე ფარჩუკიძე (რუსთავი).

29 კგ. 1. დიმიტრი მამინაშვილი (ყვარელი), 2. ლექსო კილაძე (რუსთავი), 3. თემურ ვანიშვილი (გორი) და ალეკო ელიაშვილი (თბილისი).

32 კგ. 1. ალეკო ლომიძე (ხაშური), 2. ლევან მუსელიანი (დედოფლისწყარო), 3. ბესო ქალდანი (წყნეთი) და ლევან ნიპარიშვილი (კასპი).

35 კგ. 1. გიორგი გონგლაძე, 2. თორნიკე კვინიკაძე (ორივე — ხაშური), 3. დავით მალატოვი (გარდაბანი) და მამუკა ჩაჩუა (თბილისი).

38 კგ. 1. გელა ქოქიაშვილი (დედოფლისწყარო), 2. გიორგი ჭალიძე (თბილისი), 3. ტარიელ მიდელაშვილი და გიორგი ნიპარიშვილი (ორივე — კასპი).

42 კგ. 1. ზაურ ბერაძე (თბილისი) 2. ირაკლი მენთეშაშვილი (დედოფლისწყარო) 3. ირაკლი კუპრეიშვილი და ირაკლი ზაალიშვილი (ორივე — კასპი).

46 კგ. 1. ბექა ხუროშვილი (კასპი), 2. ირაკლი ავსაჯანიშვილი (თბილისი), 3. ბადრი ბერიაშვილი (კასპი) და დათო კურდღელაშვილი (საგარეჯო).

50 კგ. 1. ჯანგირა ახმედოვი (ქარელი), 2. თორნიკე კიკნაძე (თბილისი), 3. პავლე ჩულაშვილი (კასპი) და ბაჩანა მიქელაძე (ხაშური).

54 კგ. 1. ნიკოლოზ კურტანიძე (თბილისი), 2. ნოდარ ჩადუნელი (კასპი), 3. თორნიკე ექიზაშვილი (თბილისი) და დავით ტიტვაძე (გამარჯვება).

58 კგ. 1. მურად თოფჩიშვილი, 2. სტეფანე ინდუაშვილი, 3. ალეკო სამხარაძე (სამივე — გორი) და თორნიკე ლაზუაშვილი (კასპი).

63 კგ. 1. ჯონი პეტრიაშვილი (გორი), 2. ზურაბ ურთაშვილი (მცხეთა), 3. ზურაბ ალელიშვილი (თბილისი) და ვანო შენგელიძე (გამარჯვება).

1999-2000 წლებში დაბადებულნი:

20 კგ. 1. შამილ გაჯიევი (ყვარელი), 2. ლუკა ოსეფაშვილი (დიღომი), 3. ოთარ მამულაშვილი (ბოლნისი) და თორნიკე ზედგენიძე (გამარჯვება).

23 კგ. 1. დათო მიკჩიანი (გორი), 2. შოთა გვრიტიშვილი (ყვარელი), 3. გიგა შეთეკაური (გამარჯვება) და გიორგი ცქვიტიშვილი (კასპი).

26 კგ. 1. ელშან ნაფტალოღლი (ქარელი), 2. დათო ყველიაშვილი (გორი), 3. ნიკა ბიკიაშვილი (დედოფლისწყარო) და ნიკა მათიაშვილი (რუსთავი).

29 კგ. 1. ნიკა შაშიაშვილი (ახმეტა), 2. ზელიმხან საიდოვი (ყვარელი), 3. ლევან ყიფიანი (წყნეთი) და ლევან არდოტელი (გამარჯვება).

32 კგ. 1. რატი გაგნიძე (გამარჯვება), 2. ჯაბა მაისურაძე (რუსთავი), 3. მაგომედ რასულოვი (ყვარელი) და გოგა მაისურაძე (თბილისი).

35 კგ. 1. სიმონ ოსკანიანი (ქარელი), 2. მიხეილ ბოჭორიძე (რუსთავი), 3. ცოტნე მიქელაშვილი და გიორგი ბარბაქაძე (ორივე — ხაშური).

38 კგ. 1. ედიკ ბულღიაშვილი, 2. თორლვა ნიკლაური (ორივე — კასპი), 3. ლაშა გორგაძე (დიღომი) და ზურაბ ელოშვილი (ყაზბეგი).

42 კგ. 1. გიგა ჭულუხიძე (გორი), 2. ჯაბა მაისურაძე, 3. გიორგი ქობულაშვილი (ორივე — თბილისი) და ლუკა ხორგვაშვილი (კასპი).

47 კგ. 1. ზურაბ ტაბატაძე, 2. პაპუნა ჩხაიძე (ორივე — თბილისი), 3. მანუჩარ ფიცხელაური (ყაზბეგი).

5 ივნისს „ვისოლის" ინიციატივით აქ სპორტული ზეიმი მოეწყობა 1994-1996 წლებში დაბადებულთათვის. შეჯიბრებები თავისუფალ ჭიდაობაში, მინი-ფეხბურთში, ძიუდოსა და კარატეში გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ფოტომატიანე



ქართული სპორტის ვეტერანები ალლუმზე თბილისის „დინამოს" სტადიონზე. წინა რიგში, მარცხნიდან: გიორგი გამზარდია, ბორის პაიჭაძე, ბორის დიაჩკოვი, რაფაელ ჩიმიშკიანი; მეორე რიგში: ნინო დუმბაძე, რობერტ შავლაყაძე, მიხეილ სალაძე

ფოტო ლელოს არქივიდან

ფორმულა 1

# ვინ გადაარჩენს ინტრიგას?



მოახლოვდა თურქეთის გრან-პრი და ფორმულა 1-ის ექსპერტებსა და გულშემატკივრებს ისევ აწუხებთ კითხვა: შეძლებს თუ არა რომელიმე საჯინიბო რეალური წინააღმდეგობა გაუწიოს „ბრაუნ გრან-პრისა" და მის ლიდერ **ჯენსონ ბატონს**? ამ კითხვაზე სავარაუდო პასუხის გასაცემად განვლილი ექვსი ეტაპი განვიხილოთ და ამ მომენტისთვის ცალკეული გუნდების ნაჩვენები შედეგები შევაჯამოთ.

ჯენსონ ბატონი აგრძელებს გამარჯვებათა ბრწყინვალე სერიას. მან ბოლო ორი გრან-პრი (ესპანეთი, მონაკო) ერთნაირად დამაჯერებლად მოიგო და სეზონში ექვსი რბოლიდან ხუთი დიდი პრიზი დაუგროვდა. ჩემპიონატის დანარჩენი მონაწილეები თავს იმტვრევენ იმაზე ფიქრით, რა უნდა მოიმოქმედონ იმისთვის, რომ სეზონმა ფინიშამდე დიდი ხნით ადრე არ დაკარგოს მთავარი ინტრიგა.

არადა, „ბრაუნს" თითქოს არ აკლია ძლიერი ოპონენტები. ბატონი საკვალიფიკაციოში ნამდვილად არ უსწრებს კონკურენტებს ორი წამით და რბოლის დროსაც ყველას წრეზე ვერ ეწევა. პირიქით, ყოველ უიქ ენდზე ბრიტანელის მეტოქეები ხელიდან გაშვებული შანსების გამო წუწუნებენ. სიმართლე რომ ითქვას, ეს გუნდები უფრო კლავენ ჩემპიონატის მთავარ ინტრიგას, ვიდრე თავად „ბრაუნის" პილოტები, რადგან დანარჩენ საჯინიბოებს სტაბილურობა აკლიათ.

მოდით გავიხსენოთ, ვინ ეწინააღმდეგებოდა ბატონსა და ბარიკელოს განვლილ ეტაპებზე. მელბურნში „ბრაუნების" უკან „ტოიოტას" ორი ბოლიდი აღმოჩნდა. მალაიზიაში - სტრატეგიის გენიოსი ნიკ ჰაიდფელდი და ისევ ორი „ტოიოტა". ჩინეთში, ბაჰრეინსა და ესპანეთში „რედ ბული" გამოვიდა წინა პლანზე, თანაც არა მარტო **სებასტიან ფეტელი**, არამედ **მარკ უებერიც** აქტიურობდა. დაბოლოს, მონაკო, სადაც სეზონში პირველი პოდიუმი მოიპოვა „ფერარიმ".

როგორც ხედავთ, გუნდები რიგრიგობით უწევენ კონკურენციას „ბრაუნს". ვერც ერთი მათგანი სტაბილურობით ვერ დაიკვეხნის, რის გამოც, როს ბრაუნის გუნდი ყველას ქულათა სოლიდური სხვაობით უსწრებს.

მაგრამ მაინც არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ჩემპიონატის ბედი გარკვეულია. ამის თქმის საშუალებას თუნდაც ის გვაძლევს, რომ „ფერარი" თავის ოპტიმალურ ფორმას უბრუნდება.

„სკუდერიასთვის" ბოლო ორი უქმეები (განსაკუთრებით მონაკოში) საკმაოდ წარმატებული იყო. მონტე კარლოში ყველას ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ იტალიური საჯინიბოს ბოლიდი გამარჯვებისთვის ბრძოლის საშუალებას იძლევა. **კიმი რაიკონენს** 25 მეასედი წამი არ ეყო პოულის მოსაპოვებლად. ფინელს პირველი სასტარტო ადგილი რომ მოეპოვებინა, რბოლა, ალბათ, „სკუდერიას" დომინირებით ჩაივლიდა. მაგრამ თუ ჩემპიონატში სუსტ სტარტს გავიხსენებთ, ამის ფონზე „ფერარის" დღევანდელ ფორმას შეიძლება ძალიან კარგი ვუწოდოთ. სავარაუდოდ, „სკუდერია" უახლოეს დროში მოიგებს ეტაპს.

მიუხედავად იმისა, რომ „ფერარიმ" მოუმატა, ბატონის ყველაზე რეალურ კონკურენტად მაინც „რედ ბულის" სებასტიან ფეტელი მოჩანს. მართალია, გერმანელს ხშირად არ უმართლებს, მაგრამ მთელი სეზონი ასე არ იქნება და ბედი მასაც გაუღიმებს. ნიჭი კი სებას არ აკლია.

ახლა კი ორიოდე სიტყვით ხელმოცარული გრანდების შესახებ. იმ დროს, როცა „ფერარიმ" მნიშვნელოვნად წაიწია წინ და ბოლო ორ გრან-პრიზე კონკურენტუნარიანი ბოლიდები წარმოადგინა, „მაკლარენი" ერთ ადგილზეა გაყინული და მას ვერც მოქმედი ჩემპიონის **ლუის ჰემილტონის** ოსტატობა შველის. ესპანეთისა და მონაკოს ეტაპებმა ისე ჩაიარა, რომ ბრიტანულმა გუნდმა ერთი ქულის მოპოვებაც კი ვერ შეძლო.

წინა რბოლებთან შედარებით, რეგრესის გზას ადგას „ტოიოტა", არადა, იაპონურმა გუნდმა ბაჰრეინის ეტაპის კვალიფიკაციაზე დუბლი შეასრულა. მონაკოში ამ გუნდს არანაირი შანსი არ ჰქონია. უფრო მეტიც, გუნდის მესვეურებს თავად ვერ გაუგიათ, სად დაკარგა სისწრაფე იაპონურმა გუნდმა.

კიდევ უფრო საცოდავი სანახავია „BMW-ზაუბერი". მისი დაბალი ტემპი გაუგებარია, განსაკუთრებით შარშანდელი წარმატებული სეზონის ფონზე. **რობერტ კუბიცა** უკმაყოფილოა შექმნილი სიტუაციით და გასაკვირი არ იქნება, თუ პოლონელი გუნდის გამოცვლის პირველი კანდიდატი გახდება.

ფორმულა 1-ს შემდეგი გაჩერება თურქეთი იქნება, რასაც ბრიტანეთის გრან-პრი მოჰყვება. ორივე ავტოდრომი „რედ ბულის" ბოლიდებისთვის უფრო მოსახერხებელია, რადგან ისინი კარგად იმართებიან გრძელ სწრაფ მოსახვევებში.

თუმცა ბატონს ქულათა ისეთი დიდი მარაგი აქვს, რომ შეუძლია ფეტელსა და უებერს ოდნავ მიახლოების უფლება მისცეს. სამაგიეროდ, „ბრაუნ გრან-პრი" ძალიან ძლიერი იქნება ნიურბურგრინგზე, ბუდაპეშტსა და ვალენსიაში. ჩემპიონატის ასეთი აგრესიული პირველი ნაწილის შემდეგ, ჯენსონს შეუძლია უფრო გონიერი და რისკმოკლებული ტაქტიკა აირჩიოს. ბრიტანელის შანსები ამით უფრო აიწევს.

კარტინგი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# შუმის სამი გამარჯვება

ფორმულა 1-ში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა **მიხაელ შუმახერმა** გასულ უქმეებზე მონაწილეობა მიიღო კარტინგებით რბოლაში.

შუმიმ მოულოდნელად გერმანიის ქალაქ კერპენში კარტინგებით საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობაზე შეიტანა განაცხადი. კვალიფიკაციაში მიხაელმა მეორე ადგილი დაიკავა, კვირას კი სამივე რბოლა მოიგო.

*„სასიამოვნოა იქ დაბრუნება, საიდანაც იწყებოდა შენი კარიერა. ეს აბსოლუტურად გასართობი უქმეები იყო, რომელმაც უდიდესი სიამოვნება მომანიჭა"*, - განაცხადა შუმახერმა.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ომანი-კორეა | 0:0 |
| თურქეთი-აზერბაიჯანი | 2:0 |
| საემიროები-გერმანია | 2:7 |

**გერმანია:** ნოიერი - ჰინკელი (79. ტრაში), ა. ფრიდრიხი (46. რობ. ჰუტი), ვესტერმანი, ლამი (57. მ. შაფერი) - შვაინშტაიგერი, ჰიტცლშპერგერი (66. ვაისი), გენტნერი, ტროხოვსკი - პოდოლსკი (46. კაკაუ), გომესი.

**გოლები:** 0:1 ვესტერმანი (29), 0:2 გომესი (35), 0:3 ტროხოვსკი (39), 0:4 გომესი (45+2), 0:5 გომესი (47), 0:6 ფარის იუმა (52-საკ. კარში), 1:6 სალემი (53), 2:6 ნ. მუბარაკი (73), 2:7 გომესი (90+2)

**მაყურებელი:** 7 000

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-ნიგერია | 0:1 |

**საფრანგეთი:** მანდანდა - ფანი, სკილაჩი, ესკუდე, ევრა - რემი, ვიეირა, ა. დიარა (46. ტულალანი), რიბერი (70. გოვუ) - ანელკა (46. გურკუფი), ბენზემა (46. ჟინიაკი).

**ნიგერია:** ენიეამა - ადეფემი, ადელეიე, სოჯე (60. ნვანერი), ეჩიეჯილი - ი. უჩე, ოლოფინჯანა, კ. უჩე (72. ეტუჰუ), ოდემვინგი (88. ენერამო) - კანუ (46. იუსუფი), აკპალა (73. ობინა).

**გოლი:** 0:1 აკპალა (31)

**მაყურებელი:** 32 000

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტრიომსგოდსეტი-ბრანი | 2:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ნოტოდენი-კონგსვინგერი | 3:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-გალვეი | 2:0 |
| ბრეი-სლიგო | 3:1 |
| დერი-სტ. პატსი | 1:0 |
| დროგედა-კორკი | 2:1 |
| შემროკი-დანდალკი | 3:1 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ნოსტა-სკა ენერგია | 1:3 |
| ანჟი-ჩიტა | 3:0 |
| ალანია-ნიჟნი ნოვგოროდი | 2:0 |
| კამაზ-ვოლგა | 2:0 |
| გაზპრომი-მვდ | 0:1 |
| შინიკი-სალუტი | 4:2 |
| ჩერნომორეცი-სიბირი | 2:1 |
| კრასნოდარი-ურალი | 2:2 |
| ვიტიაზი-ლ. ენერგია | 1:0 |
| ბალტიკა-მეტალურგი | 3:0 |

**კალათბურთი**

**იტალია**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| მილანი-ბიელა | 75:70 |

**საფრანგეთი**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ნანსი-როანი | 95:82 |
| ვილერბანი-სტრასბური | 88:59 |

# 2010 წლის სეზონი: ბაზარი გახსნილია!

სეზონი ეკვატორს უახლოვდება და სულ უფრო აქტუალური ხდება პილოტთა შესაძლო გადაადგილებები ფორმულა 1-ის გუნდებს შორის. მთავარი თემა ესპანელი **ფერნანდო ალონსოს** „ფერარიში" მოსალოდნელი ტრანსფერია, მით უმეტეს, რომ „რენოს" პილოტმა თავად დაასხა ცეცხლზე ნავთი, როცა გაურკვეველი მიზეზით მარანელოს ესტუმრა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ახლა ჭორებს ყველაზე მეტად გააჩნიათ არსებობის უფლება.

**ნიკო როსბერგი** ვერ გაუყვიათ ერთმანეთში „მაკლარენ-მერსედესსა" და „BMW-ზაუბერს" - ორივე საჯინიბო დაინტერესებულია ნიჭიერი გერმანელი პილოტის გადაბირებით. „მერსედესთან" მრავალწლიანი თანამშრომლობის პერიოდში, „მაკლარენი" რალაცნაირად ახერხებდა გერმანელი პილოტის გარეშე ფონს გასვლას, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, რომ ეროვნება შესანიშნავად ემთხვევა თავად პილოტის პოტენციალს.

პრინციპში, სრულიად რეალურია როსბერგის BMW-ში გადასვლა, სადაც ბევრნი უკვე დიდი ხანია სუსტ რგოლად **ნიკ ჰაიდფელდს** მიიჩნევენ. თუმცა წელს გუნდის მიერ მოპოვებული ექვსივე ქულა სწორედ ნიკის ანგარიშზე მოდის. ამ ტრანსფერის განხორციელებას შეიძლება ხელი შეუშალოს თავად საჯინიბოს ამჟამინდელმა სპორტულმა ფორმამ. როსბერგს არაერთხელ უთქვამს, რომ ახალი გუნდის არჩევისას პირველ ადგილზე მანქანის სისწრაფეს დააყენებს და მხოლოდ შემდეგ - ხელფასს. სწორედ ამიტომაც, გამორიცხული არ არის ვარიანტი, რომ როსბერგი კიდევ ერთი წლით აირჩევს „უილიამსში" გამოსვლას.

შესაძლებელია ისეთი ვარიანტიც, რომ ნიკოს წასვლის შემთხვევაში, „უილიამსი" ერთბაშად შეცვლის ორივე პილოტს: ბრიტანელები მომავალი სეზონიდან იოლად შეელევიან **კაზუკი ნაკაჯიმას**, რომელიც აშკარად ჩამოუვარდება როსბერგს სისწრაფეში და სავარაუდოდ, დაკარგავს „ტოიოტას" მხარდაჭერას. „უილიამსის" თადარიგში დიდი ხანია ელის თავის შანსს ნიჭიერი **ნიკო ჰიულკენბერგი**, რომელსაც თავისუფლად შეუძლია იაპონელის შეცვლა.

მსგავსი ვარაუდების მოყვანა მრავლად შეიძლება, მაგრამ უმჯობესია 2010 წლის ჩემპიონატის მონაწილეთა ოფიციალურ სიას დაველოდოთ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




TV პროგრამა

**3 ივნისი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:50 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
07:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:20 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის გოლები.
09:20 ლიბერტადორესის თასი.
10:10 არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-სან ლორენსო.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-რენი.
14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-რეალი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:20 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის გოლები.
18:20 ლიბერტადორესის თასი.
19:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:35 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:35 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
22:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. კანი-ბორდო.
00:15 ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ბარსელონა.
02:05 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:05 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის გოლები.
04:05 ლიბერტადორესის თასი.
04:55 გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგის პლეი ოფი. საპასუხო მატჩი. ნიურნბერგი-კოტბუსი.

**EUROSPORT**

10:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.
10:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. 1/4 ფინალი.
15:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.
16:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. 1/4 ფინალი (LIVE).
21:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.
21:30 ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
22:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ეგვიპტე-საემიროები. ტულონი. საფრანგეთი.
22:45 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. პოლანდია-არგენტინა. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
00:30 მულტისპორტი.
00:35 ცხენოსნობა. ერთა თასი. იტალია.
01:30 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
01:35 მულტისპორტი.
01:45 გოლფ-კლუბი.
01:50 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
02:05 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. 1/4 ფინალი.
03:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
10:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბავი.
11:00 ახალი ამბები.
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბავი.
12:00 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ფინალი. პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი.
14:30 ახალი ამბები.
15:00 ხტომები.
15:30 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XIII ტური. ჯეფ იუნაიტედი-იოკოჰამა.
16:45 ავსტრალიური ფეხბურთი.
17:45 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ფინალი. პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი.
18:45 ახალი ამბები.
19:00 სპორტული ცეკვები. საფრანგეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ეგვიპტე-საემიროები. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
22:15 ახალი ამბები.
22:45 პრო-რესტლინგი.
23:15 პროფესიული კრივი. პირველი ნახევრად საშუალო წონა. რ. ჰერნსი (აშშ)-უ. იორგეი (აშშ). აშშ.
00:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბავი.
01:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ფინალი. პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი.
01:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბავი.
02:00 ახალი ამბები.
02:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბავი.
03:00 ახალი ამბები.
03:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბავი.
04:00 ახალი ამბები.

ეროვნული

ჩოგბურთი

როლან გაროსი



# სიოდერლინგი აღარ ხუმრობს

## მეოთხედფინალი გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა ენდი მიურეისა და მარია შარაპოვასთვის

**რაფაელ ნადალისა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩის** შემდეგ, როლან გაროსი დატოვა რეიტინგის საუკეთესო ოთხეულის მესამე წევრმა, ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ**. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალგაზრდა შოტლანდიელმა სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწია თიხნარის სპეციალისტს, ჩილელ **ფერნანდო გონსალესს** და ოთხ სეტში წააგო მეოთხედფინალი.

მიურეიმ მხოლოდ მეორე სეტში ითამაშა ჩვეულ დონეზე, სადაც ერთადერთი ბრეიკის წყალობით გაიმარჯვა და სეტებს შორის ანგარიში გაათანაბრა. სხვათა შორის, ეს იყო გონსალესის მიერ პირველი წაგებული პარტია წლევანდელ როლან გაროსზე.

ენდისთვის ნამდვილი კატასტროფა იყო მესამე პარტია, სადაც ფერნანდომ ერთი გეიმიც ვერ გაიმეტა მეტოქისთვის. მეოთხეში ბრიტანელმა გაიბრძოლა, ერთხელ დაკარგული ბრეიკიც დაიბრუნა, მაგრამ მეათე გეიმში ჩილელმა საბოლოო წერტილი დასვა და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

რაფაელ ნადალის ძლევის შემდეგ, შვედმა **რობინ სიოდერლინგმა** რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** გაანადგურა. სკანდინავიელი ბრწყინვალე თამაშს აჩვენებს და მას უკვე როლან გაროსის ფავორიტებს შორის მოიხსენიებენ. გუშინ ნიკოლაი დავიდენკოს დაბადების დღე ჰქონდა და სიოდერლინგისგან საჩუქრად 5 გეიმი მიიღო. სამი სეტის განმავლობაში სწორედ ამდენი გეიმი გაიმეტა შვედმა რუსი ჩოგბურთელისთვის.

შეხვედრა საათსა და 41 წუთს გაგრძელდა. ორივე ჩოგბურთელმა დაახლოებით ერთნაირი რაოდენობის შეცდომები დაუშვეს, სამაგიეროდ, სიოდერლინგს ორჯერ მეტი დაუგროვდა საკუთარი დარტყმებით მოგებული ქულები.

შვედს ფინალში გასასვლელად გონსალესთან მოუწევს თამაში. ამ ჩოგბურთელებს ოფიციალურ შეხვედრებში შვიდჯერ უთამაშიათ ერთმანეთის წინააღმდეგ და მინიმალური უპირატესობა ჩილელის მხარესაა - 4:3, თანაც ფერნანდომ ბოლო ოთხი მატჩი მოუგო სიოდერლინგს.

■ ■ ■

როლან გაროსზე გამოსვლა დაასრულა მარია შარაპოვამ. ერთი წლის უთამაშებელი ჩოგბურთელისთვის „დიდი სლემის" ტურნირის მეოთხედფინალში გასვლაც დიდი მიღწევაა. მარიას ნახევარფინალის საგზურზეც შეეძლო ეფიქრა, რადგან მეტოქედ WTA-ის ტურის რიგითი მოთამაშე, 20 წლის სლოვაკი **დომინიკა ციბულკოვა** ჰყავდა. მაგრამ ისევე როგორც მამაკაცთა ბადეში რობინ სიოდერლინგი, ქალებში ციბულკოვა სენსაციურად მიიწევს წინ და მხოლოდ ნახევარფინალით დაკმაყოფილებას არ აპირებს.

მარია შარაპოვამ მხოლოდ მეთორმეტე ცდაზე აიღო მატჩში პირველი გეიმი. ციბულკოვა 6:0 და 5:0 იყო დაწინაურებული, როცა რუსმა ჩოგბურთელმა ჩვეულ აგრესიულ სტილში დაიწყო თამაში, მაგრამ მხოლოდ ორი გეიმის მოგება მოასწრო. 5:2-ზე მარიამ ბევრი იბრძოლა, თუმცა ციბულკოვამ მეხუთე ცდაზე გამოიყენა მატჩ-პოინტი და კარიერაში პირველად გავიდა „დიდი სლემის" ტურნირის ნახევარფინალში.

ამ ეტაპზე სლოვაკ ჩოგბურთელს მსოფლიოს პირველი ჩოგანი **დინარა საფინა** ელის, რომელსაც გუშინ ყველაზე დიდი ბრძოლა გადახდა თავს. რუსმა ძალიან ცუდად დაიწყო ბელარუს **ვიქტორია აზარენკასთან** შეხვედრა, უამრავ შეცდომას უშვებდა და შედეგად, მხოლოდ ერთი გეიმის აღება მოახერხა. სხვათა შორის, დინარამ პირველად წააგო სეტი წლევანდელ ტურნირზე.

საფინამ მეორე სეტში გამოასწორა მდგომარეობა და 4:1 დაწინაურდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც იჩინა თავი რუსი ჩოგბურთელის გაუწონასწორებელმა ხასიათმა. აზარენკამ ზედიზედ სამი გეიმი აიღო და ანგარიში გაათანაბრა. თუმცა ფსიქოლოგიურ ხასიათის პრობლემებს მხოლოდ საფინა არ უჩივის. მატჩის შემდეგ, ბელარუსმა აღნიშნა, რომ უნდა ისწავლოს საკუთარი ემოციების გაკონტროლება და რთულ სიტუაციებში ნერვების მოთოკვა. მატჩის გადამწყვეტ მომენტებში ცუდი თამაში აზარენკამ სწორედ ნერვებს დააბრალა და აგრეთვე გამოუცდელობის გამოც დაიჩივლა. ასე თუ ისე, საფინამ მეორე სეტის ბოლო ორი გეიმი მოიგო, მესამე პარტიაში კი მხოლოდ ორი გეიმი მოაგებინა მეტოქეს. ამით რუსმა რევანში აუღო ვიქტორიას ინდიან უელსის ტურნირის მეოთხედფინალში წაგების გამო, რაც შეეხება აზარენკას, **ანა ივანოვიჩის** დამარცხების შემდეგ, მან მეორე სენსაციის მოხდენა ვერ შეძლო და ტურნირს გამოეთიშა.

საფინას WTA-ის ტურში ზედიზედ 15 გამარჯვება დაუგროვდა. ეს ჩოგბურთელი 20 აპრილს გახდა კლასიფიკაციის პირველი ნომერი და მას შემდეგ, 20 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი წააგო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

**1/4 ფინალი**

**კაცები**

**ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 12)**-ენდი მიურეი (ბრიტ, 3) 6:3, 3:6, 6:0, 6:4; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 23)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 10) 6:1, 6:3, 6:1.

**ქალები**

**დინარა საფინა (რუს, 1)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 9) 1:6, 6:4, 6:2; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 20)**-მარია შარაპოვა (რუს) 6:0, 6:2.

# სიმონას მკერდი იუნესკოს მემკვიდრეობაა

ნამდვილი აურზაური გამოიწვია 17 წლის რუმინელი ჩოგბურთელის **სიმონა ჰალეპის** განცხადებამ იმის თაობაზე, რომ ის უახლოეს მომავალში მკერდის დასაპატარავებლად ოპერაციის გაკეთებას აპირებს. რუმინელის თაყვანისმცემელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება და მათ ქირურგიული ჩარევის საწინააღმდეგოდ ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს.

თავად გოგონამ, რომელსაც ექვსი ზომის ბიუსტი აქვს, ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ მკერდი სერიოზულად უშლის ხელს თამაშში. ეს არც არის გასაკვირი, რადგან რუმინულ გამოცემებს დაუდგენიათ, რომ ჰალეპის სიამაყე 12(!) კილოგრამს იწონის, რაც კორტზე გადაადგილებას ართულებს. გამორიცხული არ არის, რომ რუმინელმა ჟურნალისტებმა გადაჭარბებული ციფრი დაასახელეს, მაგრამ სიმონა დისკომფორტს მართლაც გრძნობს.

მაგრამ ჰალეპის გულშემატკივრები უკან დახევას არ აპირებენ და როგორც გითხარით, სპორტსმენის გადაწყვეტილებას პროტესტს უცხადებენ. ზოგიერთებმა სიმონას მკერდს იუნესკოს მემკვიდრეობის ნაწილიც კი უწოდა.



კრივი

# ვალუევი ყველაზე მშიშარა მძიმეწონოსანია

გერმანული პრომოუტერული კომპანია Universum-ის პრეზიდენტმა **კლაუს-პეტერ კოლმა** WBA-ის ვერსიით სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონ **ნიკოლაი ვალუევს** კრივის სამყაროში ყველაზე მშიშარა მოკრივე უწოდა. ასეთი კომენტარი გაუკეთა გერმანელმა პრომოუტერმა რუსი მოკრივის საქციელს, რომელმაც უარი თქვა **რუსლან ჩაგაევთან** ბრძოლის წინ ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრის გაკეთებასა და რინგზე გასვლაზე. შეგახსენებთ, რომ 30 მაისს, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში უნდა გამართულიყო WBA-ის ვერსიით სატიტულო ბრძოლა ნიკოლაი ვალუევსა და რუსლან ჩაგაევს შორის, მაგრამ ჩხუბი გაუქმდა იმის გამო, რომ უზბეკი მოკრივის სისხლში B ჰეპატიტის ვირუსი აღმოჩნდა.



*„ვალუევი ყველაზე მშიშარა სუპერმძიმეწონოსანია მსოფლიოში. ის არამარტო ჩაგაევს უფრთხის, არამედ პატარა ნემსისაც ეშინია, რომელიც ბრძოლაში მის უსაფრთხოებას დაიცავდა. ეს აცრა საკმარისი იქნებოდა შეხვედრის გასამართავად. შესაძლოა, გამოძიების ჩატარება გახდეს საჭირო, რადგან ჩემი აზრით, ბრძოლის გაუქმების სხვა მიზეზებიც არსებობს.*

*ჩვენ პასუხისგებაში მივცემთ ადამიანებს, რომლებიც ჩხუბის ჩაშლაში მონაწილეობდნენ. მაგრამ თავდაპირველად WBA-ის გადაწყვეტილებას დაველოდებით, რათა იურიდიული თვალსაზრისით ჩვენი ყველა ნაბიჯი გამართლებული იყოს",* - ამბობს კოლი.

კალათბურთი

# ნელსონი ფინალს ითამაშებს

„ორლანდო მეჯიქის" გამთამაშებელი **ჯამირ ნელსონი**, რომელიც მხრის ტრავმის გამო თებერვლიდან მოყოლებული არ თამაშობდა, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" წინააღმდეგ ფინალურ სერიაში მიიღებს მონაწილეობას.

ნელსონის არყოფნაში, „ორლანდოში" გამთამაშებლის ფუნქციებს ბრწყინვალედ ასრულებდა სეზონის მსვლელობისას „ჰიუსტონიდან" შეძენილი **რაფერ ელსტონი**. მიუხედავად ამისა, „მეჯიქისთვის" ნელსონის დაბრუნება ძალიან სასარგებლო იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს კალათბურთელი საშუალოდ მატჩში 16.7 ქულას, 5.4 შედეგიან პასსა და 3.0 მოხსნას აგროვებს.

„ლეიკერსისა" და „ორლანდოს" ფინალური სერიის პირველი მატჩი 4 ივნისს გაიმართება.

■ ■ ■

50-წლიან სამწვრთნელო კარიერას ასრულებს „ჩიკაგო ბულზის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **დელ ჰარისი**.

ივნისში ვეტერან მწვრთნელს 72 წელს უსრულდება. სასკოლო, საუნივერსიტეტო და NBA-ის გუნდებთან მუშაობისას ჰარისს თითქმის 50-წლიანი სტაჟი დაუგროვდა.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ჰარისი სამ კლუბს - „ჰიუსტონს", „მილუოკისა" და „ლეიკერსს" წვრთნიდა. მის ანგარიშზე 556 მოგება და 457 წაგებაა. 1994-95 წლების სეზონში კი წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს. მაშინ ჰარისი „ლეიკერსს" ხელმძღვანელობდა.

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge